მაყვლოვანი

სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტრის პერიოდული გამოცემა.
ქურნალი გამოდის სამ თვეში ერთხელ. 2011 წლის 25 მარტი.

№4

„მიყუარან მაყუალნი ებე შენნი
და მუნ მნებავს ბონებითა“

წმიდა მეფე მირიანი

გულითადად მივესალმებით სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტრის მიერ დაარსებული ჟურნალის „მაყვლოვანის“, – გამოცემას. მოხარულნი ვიქნებით, თუ მისი შემდგენელნი შეძლებენ, მკითხველს გააცნონ საქართველოში დაცული სიწმინდენი, ბერ–მონაზვნური ცხოვრების სიღრმე, აზრი და მნიშვნელობა, ის, თუ რა არის ჩვენი ეროვნული ფასეულობანი, როგორია ჩვენი ტრადიციები, ისტორია, ეთნოგრაფიული თავისებურებანი, ჩვენი ხალხური სიბრძნე.

ეს ყოველივე დიდად შეუწყობს ხელს ჩვენი საზოგადოების სულიერი და ინტელექტუალური დონის ამაღლებას და მათში ჭეშმარიტების გზით სვლის სურვილის გაღვივებას.

ღმერთმა და წმიდა ნინომ დალოცოს „მაყვლოვანის“ გამომცემელნი და მკითხველნი.

ღმერთმა დალოცოს სრულიად საქართველო.

სრულიად საქართველოს

კათოლიკოს-პატრიარქი

25 მაისი 2010 წელი

„როცა ვფიქრობთ იმაზე,თუ რა არის ქართული იდეა, მივდივართ დასკვნამდე, რომ ქართველი ერის დანიშნულებაა – იქადაგოს ჭეშმარიტი სარწმუნოება. ხომ არსებობს წინასწარმეტყველება, რომ საქართველო, ქართველი ერი უკანასკნელ ჟამს გაბრწყინდება. ვიცით სახარებიდან, რომ უკანასკნელ ჟამს ყველგან დაეცემა რწმენა, ზნეობა, საქართველო კი ღვთის მადლითა და წყალობით გაბრწყინდება და ჯილდოდ ამისა, როგორც დიდი მამა და მოღვაწე ამბობს, მეორედ მოსვლის ჟამს მთელი ქვეყნიერება განიკითხება „ქართულითა ენითა“. ეს იქნება კიდევ ერთი მადლი, რომელსაც მოგვანიჭებს უფალი. მადლობას ვწირავთ ყოვლადწმიდა ღვთისმშობელ დედას, რომელმაც ინება, რომ იყოს პატრონი საქართველოსი... “

უწმიდესი და უნეტარესი ილია II

შინაარსი

ხიდი წმიდა მთასა და საქართველოს შორის.....5

არქიმანდრიტი ეფრემი (კოცოუვატოპაიდინოსი)
„მონოზვნობა ხერხემალია ეკლესიისა“.....6

სიტყვა – ზოგადცხორებულთა მონასტერი.....9

არქიმანდრიტი ლაზარე (გაგნიძე)
საკვირაო ქადაგება.....12

წმიდა შიო მღვიმელის ანდერძი
სულიერ შვილებს.....14

მღვდელთმთავრისა დამწყსობა
პირველისა იღუმენიასა.....18

წმიდა ალექსანდრე (ოქროპირიძე)
დარიგება.....21

მღვდელმონოზონი გრიგოლი (ნადარეიშვილი)
ეპისტოლეები.....23

წმიდა ალექსი ბერი (შუშანია)
სწავლა მონოზონთათვის.....29

ვაჟა კიკნაძე
ეპისკოპოსი პეტრე (კონჭოშვილი).....33

მარინე ცინცაბაძე
ქართველი ჰიმნოგრაფი ქალი.....36

რუსუდან დაუშვილი
მართლმადიდებელ სამეფო ოჯახთა ხვედრი..42

ოკულტიზმის შესახებ.....46

დაუჯდომელი საგალობელი წმიდათა
კვიპრიანესა და იუსტინასი.....50



* * *

„უპირველეს ყოვლისა, ჩვენ უნდა აღვაშენოთ და განვამტკიცოთ რწმენა, ჭეშმარიტი მართლმადიდებელი სარწმუნოება, უნდა გავაძლიეროთ სიყვარული. ღმერთი არის სიყვარული“.... „ღმერთმა შეგინდოთ, ყოველთა ქართველთა და ყოველ ადამიანს, რომელიც მართლმადიდებელი სარწმუნოებით და სიყვარულით ცხოვრობს საქართველოში“...

`YOVLADWMIDA RVTISMSOBLIS BARIDAN _ RVTISMSOBLIS WILXVEDR QVEYANASI~

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, **უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-**ის მოწვევით, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას ათონის წმიდა მთის ბერების ჯგუფი ეწვია: ვატოპედის მონასტრის წინამძღვარი, **არქიმანდრიტი ეფრემი (კოცოუვატოპაიდინოსი),** მონასტრის ძმები: ბერი ტრიფონი (კელაპტრიშვილი), ბერი თეოდოხოსი (მრელაშვილი), ბერი ნექტარიოსი (გელაშვილი) და საერო პირები. სტუმრებს მეგზურობდა ვიზიტის ორგანიზატორი ლაშა პაპაშვილი.

ათონელი ბერების ვიზიტს თან სდევდა მორწმუნე მრევლის სიხარული, რაც წმიდა მთასა და საქართველოს შორის საუკუნოვან სულიერ-კულტურულ კავშირს ემყარება. ვატოპედის მონასტრის წინამძღვრის სიტყვებში სწორედ ამ კავშირების აღდგენაზე და მათ საჭიროებაზე გაკეთდა აქცენტი.

არქიმანდრიტმა ეფრემმა საქართველოს ეკლესიისა და მისი საჭეთმპყრობელის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის მიმართ მრავალი საგულისხმო სიტყვა წარმოთქვა, კერძოდ, მან აღნიშნა:

„ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ბაღიდან მოვდივართ ღვთისმშობლის წილხვედრ საქართველოში, ხელით შევეხეთ და ვიხილეთ თქვენი უძველესი, ღრმა მართლმადიდებლური ტრადიციები და საეკლესიო გარდამოცემების დაცვა“.

„საქართველო ღვთისმოშიში ქვეყანაა. თქვენ გაქვთ უდიდესი სულიერი განძი, ეს არის მართლმადიდებლობა.“

„ჩემი აზრით, საქართველოს ეკლესიას ჰყავს თავმდაბალი პატრიარქი, რომელიც ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის უდიდესი მადლის ღირსი შეიქნა... იგი ჭეშმარიტად უწმიდესია – წოდებითაც და საქმითაც. ყველამ იცოდეთ, საქართველოს მისი ლოცვები იცავს და იფარავს.“

„მინდა გითხრათ, რომ გვახსოვხართ, არ ვივიწყებთ მართლმადიდებელი ქვეყნების კავშირებს და ათონის მთაზე მოღვაწე იმ უამრავ ქართველ წმიდანს, რომელთაც მხოლოდ ათონის მთა არ შეუმკიათ თავიანთი წმიდა ცხოვრებით...

ჩვენი დიდი სურვილია, რომ ხიდი გაიდოს, რომელიც დააკავშირებს წმიდა მთასა და საქართველოს.“

ARQIMANDRITI EFREMI (KOCOUVATOPAIDINOSI)

`MONOZVNOBA XERXEMALIA EKLESIISA~

საუბარი სამთავროს წმიდა ნინოს მონასტრის დედებთან
2011 წლის 20 თებერვალი

ძალიან დიდი მოვლენაა, რომ ამ დროში, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, უფალი ვინმეს მოუწოდებს მონოზვნობაში, რადგან ამაზე დიდი ღვთის კურთხევა არ არსებობს. ღმერთმა ჩვენ განგვარიდა ქორწინებას, მატერიალურ და ქვეყნიურ კარიერას და დიდებას – მოვედით აქ რათა თავი დავდოთ უფლისათვის; ჩვენ უნდა გავიმარჯვოთ და წარმატებას მივაღწიოთ. ვაი, იმ მონოზონს, ვინც უფალს მონასტერში მოჰყავს და ქრისტესთან ყოფნის ღირსი არ იქნება, ანუ ვერ წარემატება. ჩვენ მარტო იმისთვის კი არ მოვედით მონასტერში, რომ გადავრჩეთ – ღვთის მადლით, ვისაც გადარჩენა უნდა, მთელი ერი გადარჩება. ჩვენ აქ მოვედით (მონოზვნები – რედ.), რომ გავხდეთ წმიდანები: – გახდი წმიდანი, რადგან მე წმიდა ვარ, გახდით სრულყოფილნი, რადგან მამა თქვენი სრულყოფილია – ეს უფლის მცნებაა. ამიტომ, ყურადღებით იყავით, გქონდეთ სუფთა აღსარება, ნურაფერს ნუ დამალავთ, რათა აიძულოთ დედა იღუმენია, ნუ ეცდებით თქვენი სურვილები რომ შეასრულოთ და მაშინ სასუფევლისაგან შორს არ იქნებით.

არქიმანდრიტი ეფრემი სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტრის ფერისცვალების ტაძარში

ვინ არის მონოზონი? – მონოზონი ის არის, ვისაც ის ცეცხლი აქვს, რომელიც უფალმა მოიტანა, ქრისტემ მოიტანა; ის არის მონოზონი, ვისაც გულში ქრისტე ჰყავს და ვისი გულიც მისი ცეცხლით არის გაჯერებული. ეს ცეცხლი მას კი არ სწვავს, არამედ – აგრილებს. აი, სწორედ ეს ღვთის კურთხევა გვაქვს ჩვენ, მონოზვნებს. იცით, რომ წმიდა ათანასე ათონელს დედაღვთისმშობელი გამოეცხადა, რომელიც წმიდა ათონის მთის პატრიარქად ითვლება, და უთხრა: – მე არ მსურს სხვადასხვა მატერიალურ საზრუნავზე იზრუნოთ, მე ვიქნები თქვენი მკურნალი, მე ვიქნები თქვენზე მზრუნველი; მხოლოდ ერთი მსურს თქვენგან – მინდა რომ თქვენი მონაზვნური დაპირებები შეასრულოთ. აი, ეს უნდა გაინტერესებდეთ თქვენ და უწყვეტი ლოცვა – არცერთი წამი არ გახარჯოთ ლოცვის გარეშე.

თანამედროვე წმიდანი, მამა პაისი ათონელი, ამბობდა, რომ მონოზონი მიწიერი ორბიტიდან უნდა გადავიდეს ღვთიურ ორბიტაზე, როგორც ასტრონავტები მიდიან მიწიდან და გადიან კოსმოსში, სხვა სამყაროში. აი, ჩვენც ასე უნდა ავმაღლდეთ სულიერებაში. ამიტომ არის, რომ ვინც ქრისტეს გემოს იგემებს, ვერასოდეს ვერ ძღება მისით. ამიტომ ამბობს უფალი, რომ: მწყურვალს არ მოწყურდება და მშიერს არ მოშივდება, „ვინც მე შემსვამს აღარ მოსწყურდება და რაც უფრო მეტად შესვამთ ამ სასმისს (ქრისტეს სასმისს), მით უფრო მოგწყურდებათო – აი,

ესე არის ქრისტე, ეს არის მისი მადლი, აი ეს უნდა შევიყვაროთ. ჩვენთვის სხვა სიმდიდრე, ქრისტეს გარდა, არ არსებობს.

... მოუკლებლად დაესწარით ღვთისმსახურებას, ნუ გააცდენთ მას და თუ დედა იღუმენია გეტყვით, რაიმე მორჩილებას მოგცემთ და გაგაგზავნით – წადით, ხოლო თქვენით ნუ გამოძებნით ნურანაირ მიზეზს იმისათვის, რომ მსახურებას მოაკლ-

ვატოპედის მონასტრის სასწაულმოქმედი ხატის „მანუგეშებელის“ ასლი

დეთ. ყურადღება მიაქციეთ ამ საკითხებს. ეცადეთ, უმიზეზოდ არ დატოვოთ წირვა-ლოცვა. მონოზონი იმ განაწესს უნდა ემორჩილებოდეს, რომელიც მონასტერში აქვთ. ფრთხილად იყავით, რადგან ეშმაკი არა მარტო იმას ცდილობს, რომ სულიერ ადამიანებს ცოდვისკენ უბიძგოს, არამედ იგი უბიძგებს ან „ზედმიწევნითი“ ან „ნაკლულევანი“ ღვაწლისკენ; იცოდეთ, რომ ეს „ზედმიწევნითი“ და მარჯვნივ-მარცხნივი, ან ნაკლულევანი ღვაწლი, ეშმაკისგან არის. დებო, იცოდეთ, რომ ქრისტე არ დატოვებს თავის ეკლესიას, იგი ყოველთვის ჩვენთან არის. ერთხელ, ჩვენს ბაბუა იოსებ ისიხასტს (დიდი სულიერი მოძღვარი), რომელსაც ბევრი განსაცდელები ჰქონდა და როდესაც განსაცდელებმა, ასე ვთქვათ, ზენიტს მიაღწია, ჯვარზე გაკრული ქრისტე იხილა და უთხრა მას: „შემომხედე, ნახე, თქვენს გამო რა დამემართა“ – ასეა, აი, ეს უნდა გვახსოვდეს. ჩვენ არ გვყავს ქრისტე, რომელიც ტახტზე ზის, ჩვენ გვყავს ქრისტე, რომელიც ჯვარზეა. ხედავთ, ქრისტე მიატოვეს მოწაფეებმა, რადგან მაშინ მათ ნათელი არ ჰქონდათ. როდესაც მაცხოვარს პილატეს წინაშე მდუმარეს, გარეგნულად დამარცხებულს და წარუმატებელს ხედავდნენ (ხოლო ქრისტე იყო დიდების მეუფე) და როდესაც ქრისტე პილატეს წინაშე დუმდა, პილატემ ჰკითხა: – იცი ვინ ვარ მე? ჩემზეა დამოკიდებული, ჯვარზე გაგაკრავენ, თუ გაგათავისუფლებენ. ქრისტემ, რომელიც გულით მდაბალი იყო, კი არ უპასუხა მას, რომ მე ერთი ნიშნით შემიძლია გაგანადგუროო, არამედ იმ წამს, როდესაც იგი დუმდა

არქიმანდრიტმა ეფრემმა დალოცა მონასტრის იღუმენია ქეთევანი და საჩუქრად გადასცა ვათოპედის მონასტრის ხატის ასლი „მანუგეშებელი“

და თავისი დუმილით მთელ სამყაროს განაგებდა, პილატეს მიუგო: – ძალაუფლება არ გექნებოდა შენ, თუ ეს ზემოდან არ დაეშვებოდა. მაცხოვარმა პილატეს არ უთხრა, რომ აქ მე ვარ ყველაფრის მბრძანებელიო. ჩვენ ვიცით, რომ ჯვარცმის შემდეგ, ებრაელები ეუბნებოდნენ მას: თუ მეფე ხარ, ჩამოდი მაშინ ჯვრიდან. და რადგან იგი ღმერთი იყო, სწორედ ამიტომ არ ჩამოვიდა; პილატემ ჯვარს დააწერა: იესო ნაზარეველი იუდეველთა მეფე; ხოლო ეკლესიამ რა დააწერა ჯვარს? – „დიდების მეუფე,“ ანუ ვის ვადიდებთ ჩვენ? –

ათონელი ბერები მამა გაბრიელის საფლავთან. არქიმანდრიტი ეფრემი: „– ძალიან დიდია თქვენი საგანძური და ამავდროს, დიდადსაპასუხისმგებლოა, რომ აქვეა თქვენი მოძღვრის, ბერი გაბრიელის, საფლავი. ვგრძნობ, რომ დიდი მადლია ამ საფლავთან“.

ჯვარზე გაკრულს. ამიტომ, თქვენც თქვენი ჯვარი შეიყვარეთ, შეიყვარეთ ჯვარცმული ცხოვრება და მაშინ განდიდდებით.

... იცოდეთ, რომ წინამძღვარი და მოძღვარი ზრუნავენ და ფხიზლობენ თქვენთვის და პასუხს აგებენ თქვენზე. და ისინი თქვენს გამო არ უნდა ნაღვლობდნენ, ეს თქვენთვის სასარგებლო არ არის. ვაი, იმ მონოზონს, რომლის გამოც კვნესის მისი მოძღვარი, როგორც იოანე კიბისაღმწერელი, ამბობს: ვაი იმ მონოზონს, ვის გამოც მისი მოძღვარი წუხსო...

ვლოცულობ ღვთისმშობლის ხატის წინაშე, რომ გქონდეთ ერთობა, გიყვარდეთ თქვენი იღუმენია და მას დაემორჩილოთ; რადგან მონოზვნობაში ალფა-ომეგა, დასაწყისი და დასასრული არის მორჩილება არის მორჩილება. მონოზონი ყველაფერში მორჩილებაში მყოფ ღვთის სიტყვას ბაძავს, რომელმაც ბრძნულად განგვიცხადა, რომ განკაცების შემდეგ, არათუ ჩემი ნების აღსასრულებლად მოვედი, არამედ – ჩემი მომავლინებელისა.

ჩვენი მოძღვარი, ბერი იოსებ ვატოპედელი ხშირად გვეუბნებოდა: – ქრისტეს რომ თავისი ნება-სურვილი შეესრულებინა განა ეს ცოდვა იქნებოდა – მაგრამ მან ჩვენ კურნების სრულყოფილი გზა გვიჩვენა, თუ როგორ უნდა წამოდგეს დაცემული კაცი. მაცხოვარი მოევლინა ქვეყანას და იგი სრულ მორჩილებაში იყო, როგორც მამა ღმერთის, ასევე ამქვეყნიური მშობლების: ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის და მართალი იოსებისა. ჩვენ, მონოზვნებმა, სწორედ მას უნდა მივბაძოთ, როგორ ღვაწლშიც არ უნდა იყოთ, თუ საკუთარ ნება-სურვილს არ აღკვეთთ, თქვენი წინსვლა უნაყოფოა...

როდესაც წმიდა ბასილი დიდი მისი ეპარქიის ერთ-ერთ მონასტერს ესტუმრა, მან წინამძღვარს უთხრა: – თქვენს მონასტერში არის ჭეშმარიტი მონოზონი? წინამძღვარმა უპასუხა: – მეუფეო, თქვენი ლოცვით, ყველა თავის ძალის შესაბამისად იღწვის. წმიდა ბასილმა მეორედ იკითხა: – სულიერი გამოცდილების მქონე გყავთ ვინმე? მაშინ წინამძღვარი მიხვდა, რომ იგი დიდი სულიერი გამოცდილების მქონე მონოზონზე ეკითხებოდა და ერთ-ერთ ბერზე მიუთითა. წმიდა ბასილმა ამ ბერს სთხოვა ფეხი დაებანა მისთვის, ბერმა შეასრულა ეპისკოპოსის თხოვნა, შემდეგ ეპისკოპოსმა თავად ისურვა ბერისთვის ფეხის დაბანა, რაზეც ბერი მორჩილებით დათანხმდა: – მეუფეო იყოს ნება თქვენი. როდესაც წმიდა ბასილმა ბერის ასეთი მორჩილება დაინახა, გადაეხვია მას და თავის ეპარქიაში განაწესა თანაშემწედ.

უნდა გითხრათ, რომ მონოზვნობა არის მორჩილება, საკუთარი ნება-სურვილის უარყოფა; მონოზონი უნდა მოკვდეს წუთისოფლისათვის, რათა აღდგეს ახალი კაცი...

იღუმენიის კურთხევის გარეშე ვინც რამეს მოიმოქმედებს, იგი ეშმაკის მსახური ხდება, ამიტომ ძალიან ფრთხილად იყავით. თუ გინდათ გაიგოთ სათნოა თუ არა ღვთისათვის თქვენი ცხოვრება და შეხვალთ თუ არა სასუფეველში – ჰკითხეთ იღუმენიას, როცა მარტო იქნება,

კმაყოფილია თუ არა თქვენით. თუ გიპასუხათ, რომ ის თქვენით კმაყოფილია – მაშინ სათნო ეყოფით ღმერთს; მაგრამ თუ გიპასუხებთ, რომ თქვენი საქციელით ის დამწუხრებულია, მაშინ ზეცა თქვენთვის დაკეტილია. ხედავთ რა თქვა ქრისტემ, რომ: ვინც თქვენ გისმენთ – მე მისმენს და ვინც თქვენ არ გემორჩილებათ – მე არ მემორჩილებაო (გააიგივა პიროვნება მადლთან).

ჩვენს მონასტერში იყო ერთი ბერი, რომელსაც განსაკუთრებული სიყვარული და სასოება ჰქონდა ღვთისმშობლისადმი, ერთხელ მას კბილი ასტკივდა, ღამე იყო და მოერიდა ვინმეს გაღვიძება; კბილი ძალიან სტკიოდა, ხელით ეკავა სახე და ღვთისმშობელს სთხოვდა, რომ დახმარებოდა. და იმ დროს, როდესაც ასე შესთხოვდა დახმარებას ღვთისმშობელს, მასთან კელიაში გამოჩნდა შაოსანი, პირჯვარი გადასახა მტკივან ადგილზე და იმ წამსვე გაუარა ტკივილმა. აი, ასე ახლოს არის ღვთისმშობელი ჩვენთან – ის ხომ ჩვენი დედაა, ამიტომ, სთხოვეთ მას შეწევნა, შესამოსელი ზუსტად ღვთისმშობლისა გაქვთ თქვენ; რამდენჯერაც გამოცხადებია დედაღვთისა ვინმეს, ზუსტად აი, ამნაირი შავი შესამოსელით ეცხადებოდა და იცოდეთ, რომ „ვათოპედი“ არის მონასტერი, რომელიც ღვთისმშობლის განსაკუთრებული მფარველობის ქვეშ არის, ძალიან ბევრჯერ გამოეცხადა ის მრავალ მონოზონს.

მიხარია თქვენთან შეხვედრა. პირველ რიგში, თქვენი მონოზვნური წარმატებების სიმრავლისათვის ვლოცულობ, შემდეგ კი – რიცხობრივისათვის და კარგი იქნება, ახლადაღკვეცილ მონოზონს დაარქვათ იოსიფია, რამეთუ – წმიდა იოსების (ისიხასტი) შეეწევა თქვენს მონასტერს. მორწმუნე ჩვენ შემოგვყურებს და მაგალითს ჩვენგან იღებს, რადგან ხერხემალი ეკლესიისა მონოზვნობაა. ღმერთმა დაგლოცოთ.

SITYVA

(„Земное небо“
Священная великая обитель Ватобед 2011)

დღეს ათონის წმიდა მთაზე ზოგადცხორებულთა მონოზვნობის აყვავების ხანაა, რაც დედოფლისა ჩვენისა, ღვთისმშობელის, დიდი მოწყალებაა; რამეთუ XX საუკუნის პირველ ნახევარში წმიდა მთა იქ მკვიდრთა ნაკლებობას და იდიორიტმული სამონასტრო ცხოვრების პრობლემებსაც განიცდიდა. ათონის ათასწლეულის დღესასწაულზე, 1963 წ. მსოფლიო პატრიარქმა ათინაგორამ მდგომარეობა ასეთნაირად შეაფასა: „ათასწლეულთან ერთად ჩვენ „ვდღესასწაულობთ“ წმიდა მთის უკანასკნელ ამოსუნთქვასაც“. მაგრამ ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ნება სხვა იყო... ათონის ყველა მონასტერი დღეისათვის მრავალრიცხოვან ძმათა კრებულით არის დასახლებული და ზოგადცხოვრებულთა სამონასტრო წეს-განგებით ცხოვრობს.

კინოვიალური ტიპიკონი, რომელიც დღეს წმიდა მთაზე უპირატესია, სტუდიური ტრადიციიდან მომდინარეობს. იგი ათონზე ღირსმა ათანასე ათონელმა დაამკვიდრა, რომელიც კონსტანტინეპოლიდან წმიდა მთაზე X ს. მოვიდა და დიდი ლავრის წინამძღვარი გახდა. ზოგადცხორებულთა წეს-კანონში ჰარმონიულად არის შერწყმული ისიხაზმი და მორჩილება. ღირსი ათანასე, რომელმაც განმარტოებული ცხოვრება განვლო და უდაბნოს სიტკბოება იგემა, თავისსავე დაარსებულ მონასტერში, როგორც მისი ცხოვრება გადმოგვცემს, მდუმარება (ისიხია) და „მრავალთა ხსნისათვის“ მორჩილება წარმატებით შეურწყა ერთმანეთს.

კინოვია, როგორც ჩვენი ნეტარი მამა იოსები ამბობდა, „ყოველი მონოზვნისთვის უსაფრთხო გზაა“, ეს არის – ამქვეყნიური

ღირსი მამა იოსებ ისიხასტი

ზეცა. კინოვია, თუმც კი დროის და სივრცის ჩარჩოში ზის და ამქვენად მყოფობს, მაგრამ ამქვეყნიური არ არის.“

წმიდა ბასილი დიდი, კინოვიალური ცხოვრების დამამტკიცებელი, ზოგადცხორებულთა სამონასტრო წესს „ცხოვრების სრულყოფილ ურთიერთობად“ მიიჩნევს, რომელიც გამორიცხავს ქონების საკუთრებას, დაპირისპირებას, შურს, კამათს და სხვ; რამეთუ მათთან ყველაფერი საერთოა: მსახურება, სულიერი და ფიზიკური, სხეულის საზრდო, ერთია ღვაწლი, ხსნა და ერთია გვირგვინი, რომელშიც მრავალნი შეადგენენ ერთს და თითოეული ერთი არ არის, არამედ – მრავალთანაა.

ზოგადმცხოვრები მონოზონი თავის თავს შეგნებულად სრულად აბარებს წინამძღვარს, რომელშიც ღვთის სული მკვიდრობს და იხვეჭს სული წმიდის ნაყოფებს: სიბრძნეს, განსჯას, მშვიდობას, მოთმინებას, სიყვარულს და სხვა სათნოებებს. მონოზონი მორჩილებით მოაკვდინებს თავის ნებას, ცოდნას, სიამაყეს და ბაძავს უფალ იესო ქრისტეს, მდაბალსა და მორჩილს (ფილ. 2. 8). მორჩილისათვის (ასე იწოდება კინოვიალური მონოზონი) – წინამძღვარი წარმოადგენს „ქრისტეს სახეს“. ქრისტემ თქვა: „რომელმან თქუენი ისმინოს, ჩემი ისმინა; და რომელმან თქვენ შეურაცხგყვნეს, მე შეურაცხმყოფს და რომელმან მე შეურაცხმყოს, შეურაცხყოფს მომავლინებელსა ჩემსა“(ლუკ.10.16).

წმიდა მთის ყველა სავანეში მორჩილებას განაწესებს მონასტრის წმიდა საბჭო (კრება) – მამათა ძალისამებრ, მათი ცხოვრების წესისა და სულიერი ინდივიდუალური მოთხოვნისამებრ. ძირითად მორჩილებას წარმოადგენს იღუმენის, განმგებლის, იკონომოსის და წმიდა კინოტში წარმომადგენლის საქმიანობა, აგრეთვე, ყოველ ხუთ წელიწადში არჩეული პროტეპისტის თანამდებობა. მონასტერში კიდევ არსებობს მდივნის, არქივარიუსის, ბიბლიოთეკარის, მგალობლის, ხატწერის, მზარეულის, მეტრაპეზის, მესტუმრის, მებაღის, სეფისკვერის მცხობელის და სხვა მორჩილებები.

მორჩილებების მეშვეობით მონასტერში აღესრულება მაცხოვრის სიტყვები: „რომელსა უნებს თქვენ შორის დიდ ყოფაჲ, იყავნ თქვენდა მსახურ; და რომელსა უნებს თქუენ შორის დიდ ყოფაჲ, იყოს იგი თქუენდა მონა. ვითარცა ძე კაცისაი არა მოვიდა, რაითამცა იმსახურა, არამედ მსახურებად და მიცემად სული თვისი სახსრად მრავალთათვის“ (მათე 20. 27-28). მამა სოფრონის თქმით, სასუფეველი ღვთისა „დაყირავებულ პირამიდას“ შეიძლება შევადაროთ – უპირატესი უმცირესს ემსახურება, უძლიერესი სუსტის წინაშე მდაბლდება. მორჩილი თავის ძმებს ისე ემსახურება, ვითარცა მსახურებდეს თვით უფალს.

სასტუმროში, სატრაპეზოში ან სხვა ნებისმიერ ადგილზე, მორჩილი სიყვარულით და ძმათმოყვარებით აღასრულებს წინამძღვრის კურთხევას. და იგი არათუ გარეგნულად, არამედ გულწრფელად უმორჩილებს პირად მოსაზრებებს წინამძღვრის შეხედულებებს. ლოცვითა და მორჩილების საიდუმლოს მეშვეობით გამოხატავს სულის ყოველ მოძრაობას.

მაგრამ მონოზვნის მთავარ საქმიანობას სამეურნეო მორჩილება კი არ წარმოადგენს, არამედ, ღვთისმსახურება, რომელიც ზოგადცხოვრებულთა მონასტერში ყველა საქმეთა შორის უპირველესია. საეკლესიო ღვთისმსახურება წმიდა მთის კინოვიაში

განუწყვეტელი ღვთისმსახურებაა, რომელიც განასახიერებს მარადიულში ანგელოზთა დაუცადებელ გალობას.

ათასწლეულზე მეტი ხნის მონასტრის ტაძარში მონოზონს საშუალება ეძლევა მონაწილეობა მიიღოს ღვთისმსახურებაში, რომელიც აღევლინებოდა წმიდა მამათა მიერ და დღესაც იგივე წესით აღესრულება საყოველთაო ეკლესიის მიერ, „ერთითა პირითა და ერთითა გულითა."

უქმნელი ნათელი ღვთისა ანათებს იმათ გულსა და გონებას, ვინც რწმენით და სურვილით მიელტვის ჭეშმარიტ და ცხოველ ღმერთს. მონოზონი „სულითაც ლოცულობს და გონებითაც" (1კორ. 14,15). ღვთისმსახურება ადამიანის ხელითქმნილი არ არის. იგი ადამიანურ ლოგიკაზე აღმატებულია. ღვთისმსახურება სულიწმიდის ენერგიაა ეკლესიაში. მისი მეშვეობით ყოველი გონიერი და პირმეტყველი ქმნილება ზეციური მამისადმი განუწყვეტელ დიდებას აღავლენს სამარადისოდ.

ზოგადცხორებულთა მონასტრის შიგნით ვითარდება პიროვნებათა შორის ურთიერთობები. მორჩილი ცდილობს სათნოეყოს არა მარტო წინამძღვარს, არამედ ყოველ ძმას. მას სურს ყველას მოემსახუროს და მსხვერპლად გაიღოს თავი, რაც მისთვის სიხარულის მომნიჭებელია; და თუ ის არ თვლის, რომ რაიმე მნიშვნელოვანი გააკეთა, მაშინ შინაგან სიმშვიდეს გრძნობს, სიხარულს, სისავსეს, რაც იმის დასტური იქნება, „რომ მასში ხმობს უფალი", რომ იგი ეზიარა ღვთის მადლს. ასე ნელ-ნელა, თანდათან, საკუთარი გამოცდილებით, უახლოვდება ბერი ყოვლადწმიდა სამებას და მონოზვნის ცხოვრების სახე და მისი ადამიანებთან ურთიერთობა იქცევა მადლის ანარეკლად. მონოზონი განიცდის ყოვლადწმიდა სამების გამოუთქმელ საიდუმლოს და ამავე დროს ადამიანის ამოუწურავ იდუმალებას.

ნეტარი მამა იოსებ ვატოპედელი და მონასტრის წინამძღვარი არქიმანდრიტი ეფრემი (კოცოუვატოპაიდინოსი) ჯვრით მსვლელობისას. აღდგომა 2009 წელი

... მორჩილის სიყვარული და ლოცვა მის მტრებსაც განეფინება, იგი მტრებისთვის და მათი ხსნისთვისაც ლოცულობს, რადგან ერთიანი სხეულის ნაწილად აღიქვამს მათ, თუმცაღა სნეულ ნაწილად.

მონოზვნის ასეთი ლოცვა, რომელიც „მოჩვენებითად" არ აღევლინება, არამედ – მისი წრფელი გულით, მონოზვნის მიერ ერისათვის გაღებული უდიდესი მსხვერპლია და ასეთი ლოცვების მეშვეობით შესაძლებელი ხდება ქვეყნად არსებობა. როგორც ღირსი სილოვან ათონელი ამბობდა: „ჭეშმარიტი მონოზონი ქვეყნის ხსნისათვის მლოცველია".

ვლოცულობთ, რომ წმიდა მთამ და კერძოდ, ჩვენმა სავანემ ამ მნიშვნელოვანი ღვაწლის აღსრულება განაგრძოს, რაც მათზე ღვთის განგებულებით არის დადგენილი; რათა მართლმადიდებლობის კულტურის მცველად დარჩნენ და ჩვენი წმიდა ეკლესიის ჭეშმარიტი მონოზვნობის ჩამოყალიბებაში თავიანთი წვლილი შეიტანონ.

თარგმნა **მარიამ ნიაურმა**

ARQIMANDRITI LAZARE (GAGNIZE)

SAKVIRAO QADAGEBA



წმიდა მათეს სახარების დღევანდელი საკითხავი თავისი არსით უაღრესად საინტერესოა და მასში დასმულ პრობლემას, უკეთუ მას ადამიანი სწორად გაიაზრებს და დაამკვიდრებს თავის ცხოვრებაში, ცხოვრების წესად აქცევს მას, უდიდესი სულიერი სარგებელი შეუძლია მოუტანოს თავის თავს, რამეთუ დიდი მოძღვრის, იოანე ნათლიმცემლის მოწოდება სინანულისაკენ, არის გადამწყვეტი საშუალება, ადამიანმა აცხოვნოს თავი დაიმკვიდროს ღმრთის სასუფეველში. როგორც სახარებაში წავიკითხეთ, იესო ქრისტე ორმოცდღიანი მარხვის შემდეგ იწყებს განცხადებულ მოღვაწეობას და ქადაგებას, ხილული საქმეებით და სასწაულებით ადამიანებისათვის ცხოვნების, ხსნის გზის ხარებას. ადამიანთა სულიერი აღდგომისთვის უფალი შეამზადებს ჟამს, რომელსაც წინ უძღვის წინამორბედი უფლისა იოანე.

„შეინანეთ, რამეთუ მოახლებულ არს სასუფეველი ცათაჲ“ (მთ. 4,17). ამ სიტყვებში მოცემული იყო პირველი და უმთავრესი მოთხოვნა უფლისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი: ადამიანებს უარი უნდა ეთქვათ თავიანთ ცოდვილ ცხოვრებაზე და დაეწყოთ სულიერი განახლება. ადამიანს თავის ამქვეყნიურ ცხოვრებაში არ უნდა ავიწყდებოდეს, რომ მას მარადის ესაჭიროება უფლის მიმართ სინანული და რიდი.

ადამიანი პასუხისმგებელია ღმერთის წინაშე თავისი ამქვეყნიური ქმედებების გამო. „არარაჲ არს დაბადებული დაფარული წინაშე მისსა, არამედ ყოველივე შიშველ და ქედდადრეკილ არს წინაშე თუალთა მისთა...“ (ებრ. 4,13) – გვასწავლის პავლე მოციქული. მაგრამ, იმის მიუხედავად, რომ ღმერთმა უწყის ყოველივე, რასაც ადამიანი სჩადის, ადამიანი მაინც ცდილობს თავისი ცოდვების დამალვას, ისევე, როგორც ადამმა დამალა საკუთარი შეცოდება, როცა უფალმა ჰკითხა მას: აკრძალული ხის ნაყოფი ხომ არ სჭამეო. ადამიანები ვერ აცნობიერებენ საკუთარ პასუხისმგებლობას უფლის წინაშე და ისინი მალავენ თავიანთ უკეთურ საქმეებს, ნაცვლად იმისა, რომ შეინანონ თავიანთი უკეთურებანი და განიწმიდონ.

ძველი აღთქმის ეკლესიას მსხვერპლის შეწირვის წინ, წესად ჰქონდა იუდეველთაგან საკუთარ ცოდვათა საჯაროდ აღიარება. ლევიანთა წიგნი გვაუწყებს ამის შესახებ: „თუ დამნაშავეა... უნდა აღიაროს, რომ ცოდვა აწევს და მიუყვანოს უფალს ჩადენილი ცოდვის გამოსასყიდი – დედალი ცხვარი ან თხა და მღვდელი ცოდვის შენდობას გამოითხოვს მისთვის. თუ ცხვარზე ხელი არ მიუწვდება, მიუყვანოს უფალს ჩადენილი ცოდვის გამოსასყიდად ორი გვრიტი ან მტრედის ორი ხუნდი.“(ლევ. 5,5-7)

ღვთისათვის ცოდვათა აღიარება განწმენდისა და გადარჩენის საშუალებად მიაჩნდა ებრაელთა მეფეს, მეფსალმუნე დავითსაც. გავიხსენოთ 31-ე ფსალმუნი, რომელშიც ვკითხულობთ: „ნეტარ არიან, რომელთა მიეტევნეს უსჯულოებანი და რომელთა დაეფარნეს ცოდვანი. ნეტარ არს კაცი, რომელსა არა შეურაცხოს უფალმან ცოდვა, არცა არს პირსა მისსა ზაკვა, რამეთუ დავდუმენ მე, განკფდეს ყოველნი ძვალნი ჩემნი ღაღადებითა ჩემითა მარადღე. რამეთუ დღე და ღამე დამიმძიმდა ჩემ ზედა ხელი შენი; მივიქეც მე გლახაკობად, რამეთუ განმესხა მე ეკალი. ცოდვა ჩემი გაუწყე შენ და უსჯულოება

ჩემი არა დავფარე შენგან; ვსთქუ, აღუარო ბრალი ჩემი უფალსა და შენ მომიტევე მე უღმრთოება გულისა ჩემისა“ (ფს. 31, 1-5).

მოკლედ გადმოგცემთ ციტირებულ შინაარსს: ნეტარია, ვისაც უფალი შეუნდობს უკეთურებას. უფალო,თავდაპირველად მინდოდა დამეფარა ჩემი ცოდვები, მაგრამ გოდებამ ჩემმა ძვლები დამიწვრილა. დღისით და ღამით ვგრძნობდი შენს ხელს, უფალო, დამაკვეთა მიწაზე და გაზაფხული გვიან ზაფხულად მექცა და გადავწყვიტე შენთვის მეუწყებინა ცოდვანი ჩემნი და უსჯულოება ჩემი შენგან არ დამეფარა ხოლო შენ კი მომიტევე უღმერთობა გულისა ჩემისა.

უნდა ითქვას, რომ წმიდა მეფსალმუნე დავითს ცოდვათა აღიარება ღმერთისაგან ცოდვათა მიტევების ერთადერთ საშუალებად მიაჩნია, მაგრამ დავითისივე თვალსაზრისით, ცოდვათა აღიარება აუცილებლად უნდა ხდებოდეს წრფელი გულით.

ახალი აღთქმის ეკლესია მეტ სრულყოფილებას ანიჭებს ცოდვათა აღიარებას და საბოლოო სახეს აძლევს ცოდვათა მიტევება-არმიტევების კანონს.

წმიდა იოანე ნათლისმცემელთან ცოდვათა აღიარება და ნათლობა მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული (მთ. 3,6; მკ. 1,5). მას თან ახლავს საუბარი იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა იქცეოდეს და რას უნდა აკეთებდეს ადამიანი ნათლისღების შემდეგ (ლკ. 3,10-10). იოანე ღვთისმეტყველთან გარკვევითაა განსაზღვრული, რომ აღმსარებელმა ცოდვა მომავალში აღარ უნდა გაიმეოროს (იო. 8,11).

ძველი და ახალი აღთქმის წიგნები ნათელ წარმოდგენას გვიქმნიან იმის შესახებ, თუ როგორ მიჰყავს უფალს უკეთურობაში მყოფი ადამიანი სინანულისაკენ; თუმცა ჩვენ, ადამიანებს, როგორც პავლე მოციქული გვეუბნება რომაელთა მიმართ ეპისტოლეში, „ვერ გვიცნობიეს“, რომ „სიტკბოებაჲ ღმრთისაჲ სინანულად მიგვიყვანებს ჩვენ“ (რომ. 2,4). როგორც იერემია წინასწარმეტყველი იტყვის: „უფალი ღმერთი მოაქცევს ებრაელ ერს და შემდგომად მოქცევისა შეინანებს ერი მისი“(იერ. 31,18). უფალი ღმერთი ხიდს სდებს ადამიანებთან და სინანულის გავლით ცხონების გზაზე მიჰყავს ისინი: „შეინანეთ,რამეთუ მოახლებულ არს სასუფეველი ცათაჲ“ (მთ.4,17).

„არა ნებით მნებავს სიკვდილი უსჯულოჲსაჲ,– იტყვის უფალი,– ვითარ მოქცევაჲ მისი გზისაგან ბოროტისა და ცხოვნებაჲ მისი“ (ეზეკ. 18,23), – წინასწარმეტყველებდა თავის დროზე ეზეკიელი და ჩვენც ყველას მოგვეხსენება, რომ „მოვიდა ძე კაცისაჲ ცხორებად წარწყმედულისა“(მთ. 18,11).

იგავი უძღები შვილის შესახებ (ლკ. 15) გვიჩვენებს, რომ სინანულის გამოვლინება მდგომარეობს მოქცევასა და საკუთარი ცოდვების აღიარებაში. ასევე კიცხავს თავის თავს მრავალჭირნახული იობი: თავზე მტვერსა და ნაცარს იყრის და ასე ინანიებს უფლის მიმართ თავის შეცოდებებს (იობ. 42,6). მსგავსადვეა ნინეველთა ისტორიაშიც, როცა ამ ქალაქის უკეთურებით დაცემულ მოსახლეობას უფალმა იონა წინასწარმეტყველი მიუგზავნა და სინანულისაკენ მოუწოდა მათ. ხოლო სიბრძნე სოლომონისა მოძღვრავდა იუდეველებს: „ვინც თავის ცოდვებს მალავს, ხელი არ მოემართება, ხოლო ვინც აღიარებს და მიატოვებს, შეწყალებული იქნება“ (იგავნი 28,13).

სინანული ერთი შვიდი მართლმადიდებლურ საიდუმლოთაგანია, რომელიც თავად იესო ქრისტემ დაუდგინა ეკლესიას. სინანულს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სულის ხსნისათვის. ამ გადამწყვეტ მნიშვნელობაზე მიუთითებს მაცხოვრის მიერ თავის მოწაფეებზე ხელმწიფების გადაცემა: „უკეთუ ვიეთნიმეს მიუტევნეთ ცოდვანი, მიეტევნენ მათ და უკეთუ ვიეთნიმე შეიპყრნეთ, შეპყრობილ იყვნენ“ (იო. 20,23); „მიგცნე შენ კლიტენი სასუფევლისანი; და რომელი შეჰკრა ქვეყანასა ზედა, კრულ იყოს იგი ცათა შინა; და რომელი განჰხსნა ქვეყანასა ზედა, ხსნილ იყოს იგი ცათა შინა“ (მთ. 16,19). ამ ხელმწიფების არსი, ქრისტიანული სწავლების მიხედვით, იმაში მდგომარეობს, რომ აღმსარებელი მოძღვართან სინანულით სიტყვიერად, ამასთან, ხილულად გაანდობს მას მის მიერ ნებსით თუ უნებლიეთ ჩადენილ ცოდვებს; გულწრფელად, ხილულ ვითარებაში მოძღვრისათვის აღიარებული ეს ცოდვები უხილავად მიეტევება აღმსარებელს თავად იესო ქრისტეს მიერ. მონანული უხილავად განიწმიდება აღიარებული ცოდვებისაგან და უბრუნდება ნათლობის შემდგომ სულიერ მდგომარეობას. ამ ვითარებიდან გამომდინარე, უნდა ვიცოდეთ, რომ ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ რამდენად გულითადი და გულწრფელია აღმსარებელი, რამდენად დიდია მისი ძალისხმევა შეცვალოს და ქრისტიანული მოძღვრების შესატყვისად განაახლოს თავისი ცხოვრების წესი. წმიდა წერილი სინანულთან და აღსარებასთან მიმართებაში, ადამიანის მხრიდან ცოდვათა უბრალოდ მონანიების ფაქტს კი არ გულისხმობს, არამედ – ადამიანის სრულ გარდაქმნას, ქრისტიანული სწავლების მოთხოვნათა შესატყვისად.

WMIDA SIO MRVIMELIS ANDERZI SULIER SVILEBS

„ცხოვრება და საკვირველებანი წმიდისა და ნეტარისა შიოსნი...“

(ამონარიდი)

... ხოლო აღუწერა ნეტარმან შიო მათ ას სამოცი ყოვლად შუენიერი და ტკბილი, რომლითა განისწავლებოდეს ყოველნი იგი კრებულნი მარადის და ირწყვებოდეს, ვითარცა ნერგნი ღვთივსულიერნი წყაროთა სამოთხისათა და აღორძნდებოდეს ნაყოფითა კეთილთა საქმეთა. აღიპყრნა ხელნი თვისნი უფლისა მიმართ ნეტარმან შიო და შევედრნა ყოველნი იგი ძმანი ღმერთსა და მერმე ამბორსუყო თითოეულსა მათსა და დაჯდა მღვიმისა მის პირსაზედა და ეტყოდეს ესრეთ:

ღვთისმშობლის მიხედვა წმიდა დიდისა და საკვირველმოქმედისა შიო მღვიმელისა

„შვილნო ჩემნო, საყუარელნო და ძმანო ჩემნო, სულიერნო და უფროსღა უფალნო ჩემნო! კურთხეულ არს ქრისტე ღმერთი ჩუენი, რომელმან შეგკრიბნა თქუენ უდაბნოსა ამას, მაქებელად წმიდისა სახელისა მისისა. აწ ისმინეთ ჩემი, შვილნო, მოხუცებულისა ამის მამისა თქუენისა; უწყით განაღა, რამეთუ არა იძულებითა ვისითა შემოხუედით წესსა ამას შინა, არამედ – ნებსით და სიყვარულისათვის ღუთისა იჯმენით, აღმოთქმულთა წინაშე მისსა და ყოველთა ანგელოზთა მისთა, უარყოფად სოფლისა და საქმეთა მისთაგან და მოქალაქობად სიწმიდით და მორჩილებად წმიდისა სახარებისა მისისა, ყოვლითა გულითა შეუძლებლად და აღებად ჯუარი მისი მხართა ზედა თქუენთა და მოძულებად მამა, დედა და ცოლი და შვილნი და ძმანი და დანი და თვით სულიცა თქუენი და ეგრეთ შედგომად მისდა.

ეკრძალენით, ძმანო ჩემნო, მტერსა ბოროტსა მას, რომელსა ჰნებავს მარადის წარწყმედა ჩუენი, ნუ სადა მიერჩდეთ სულსა მკულელსა მას გუელსა და ვითარ ჰყავთ აღთქმა თქუენი, რამეთუ დღე და ღამე მღვიძარე არს მტერი ჩუენი, ვითარცა იტყვის წმიდა და დიდებული თავი მოციქულთა პეტრე, ვითარმედ „განიფრთხვენით და მღვიძარე იყვენით, რამეთუ წინამოსაჯული თქუენი ეშმაკი, ვითარცა ლომი მყვირალი მიმოვალს და ეძიებს ვინმცა შთანთქას“; არამედ, წინააღუდექით მტკიცენი სარწმუნოებითა. უწყოდეთ იგივე მიზეზად ამას სოფელსა შინა, ძმობასა მას თქუენსა კეთილად და სათნოდ აღასრულებდით.

ძმანო ჩემნო, მტკიცედ დეგით, რომელსა ზედა იჩინენით! რამეთუ უმჯობეს იყო ყოვლად არა შესლვად მონაზონებად, უკეთუ არა დავიცუნეთ თავნი ჩუენნი, ყოვლისაგან ცოდვისა, რომელი იქმნების გარეშე ხორცთასა. ისმინეთ წმიდისა სახარებისა, რომელსა იტყვის ვითრმედ: „სი-

ტყუათა თვისცა უქმთა, სიტყუა მისცეთო დღესა მას.“ ეჰა! ვითარ ზარის სახდელ არს ბრძანება ესე მეუფისა, რამეთუ არა წინასწარმეტყველისა არს, არცა მოციქულისა, არცა ანგელოზისა, არამედ თვით მის უფლისა, მსაჯულისა ცხოველთა და მკუდართასა; რამეთუ თვით მან თქუა ესე. „რომელსა ეგულვების განსჯა საქმეთა ჩუენთა, ევედრენით თუალ-უხუავს მას მსაჯულსა,“ რათა არა სიტყუათა ჩუენთაგან დასჯად გამოვჩნდეთ წინაშე მისსა, ვითარცა იგი კუალად წერილ არს „ვითარმედ სიტყუათა შენთაგან განმართლდე და სიტყუათა შენთაგან დაისაჯო.“

უწყოდეთ, საყუარელნო, რამეთუ სიკუდილი ახლოს არს და კართა ზედა ხმობს მეუფე. იღვიძებდით, რამეთუ არა იცით, ოდეს მოვიდეს მპარავი, ნუ უკუეცა განხურიტოს გუერდი სახლისა თქუენისა ოდეს არა უწყოდით და მიგპარონ სული თქუენი და არღარა გერგებოდეს, იღვიძებდით უკუე, რამეთუ არა იცით დღე, არცა ჟამი, რომელსა შინა ძე კაცისა მოვიდეს.

განეკრძალენით, ძმანო, ყოველსა, რომელი მიიყვანებს სულთა წარწყმედად; იყვენით მორჩილ სწავლათა შინა და მსახურებასა შინა აღუზუავებელ და ესრეთ შერაცხენით თავნი თქუენნი, ვითარცა მკუდარნი მოძაგებულნი, რამეთუ პირველი კიბე სათნოებათა არს სიმდაბლე, რომელი იგი აღიყუანებს ღუთისა შემტკბობელთა მისთა, რამეთუ შეიყუაროთ თუ სიმდაბლე, მსწრაფლ მოიხილოს ღმერთმან თქუენზედა; გესმის, ვითარ იტყვის: „ვის მივხედნე, გარნა მშვიდსა და მდაბალსა და რომელი ძრწოდის სიტყუათაგან ჩემთა“.

მოიხსენეთ, უფალნო ჩემნო, ოდეს იგი სოფლით გამოხუედით, ვითარ აღუთქვით ღმერთსა, უნდოსაცა რასამე სახმრისა არა მოგებად თქუენდა, არამედ – რათა იყუნეთ თქუენ ზოვებით, ვითარცა წერილ არს „და იყუნეს ყოველთა სულნი და გულნი ერთ“. ნუ ხართ უსასო ქრისტესგან და ნუ ესავთ სიმდიდრესა და მოგებასა და სახმართა, რამეთუ ესე არს დედა ყოველთა ბოროტთა და ესრეთ განხრწნის გონებანი უმანკოთანი, ბოროტმან ამან ძვირმან;

რამეთუ იწყის პირველ მცირით რათმე და უნდოთ სახმრით და თქუის, ესე არა რაჲ არს და კუალად სხუა რაიმე მოიგის და თქვის, ვითარმედ ესე არა სიმდიდრე არს, არამედ – ხორცთათვის საჭირო და კუალად განვაჭრის რაიმე და თქვის: ვერ ეგების კაცი თუმცა ცხონდა თვინიერ ამისა და სხუასა ხელთა მიხედვიდა, არამედ უფროს უმჯობეს არს, რათა მოვიგო ჩემთვისცა და ვიღუწვიდე გლახაკთა და კულად მიასესხინ ვისმე და ჰნებავს უფროსი და თქვის არვისგან მომიხუეჭიეს, ჩემი არს, უბრალო და არა ჰრქვიან ამას აღნადგინები და კუალად მქვის: „მივსცე ვისმე ესე, რათა ამიერ ვიზრდებოდიცა და უკანასკნელ ჩემთვის წარაგოს სხუათა.“

ჰოი, უბადრუკებასა ბოროტსა, რამეთუ მრავალგზის არცა თუ ერთი, ნიჭი წარაგის მისთვის და ესრეთ – მცირედ ანგარებაჲ და ყოველთა უძვირეს კერპმსახურება, ვითარ არა უწყინ, – ეგრეთ აღასრულის; განეშორენით ძმანო, სულთა დამაქცეველსა ამას სენსა, რომელი მოიგო იუდა და იხილეთ ვითარსა ფსკერსა ჯოჯოხეთისასა მისცა თავი თვისი; ნუცა იპოვებინ თქუენ შორის კრებანი ვაჭარნი და ვაჭრობანი, უფროსდა იღუაწეთ, რათა მოივაჭროთ სასუფეველი ცათა; რამეთუ

რაი შეიძინოს კაცმან, უკეთუ ყოველი სოფელი მისი იყოს? ანუ რაჲ გვიცავს სოფლით განდებად, თვინიერ კეთილთა საქმეთა, რომელთა სასყიდელი მუნ მოვიღოთ. შეიყუარეთ უპოვარებაჲ, რომელი იგი მიმაახლებელ არს ღვთისა. აჰა, ესერა, გუესმის წმიდათა მამათ ცხოვრება, რამეთუ ამით მოიღეს ღმერთი და ესრეთ თუ იყუენით თქუენცა – მოგეახლოს ღმერთი, უკეთუ მისა მიმართ დასდვათ სასოება. ლოცუანი თქუენნი, ვითარცა საკმეველნი სულნელნი, მსწრაფლ შევიდენ წინაშე მისა, რამეთუ იტყვის „ამან გლახაკმან ხმა ჰყო, უფალმან ისმინა მისი და ყოველთა ჭირთა მისთაგან იხსნა იგი.“ ესე გამამდრიდებელი სიგლახაკე შეიყვარეთ, რათა ამის მიერ მოიღოთ გული შემუსვრილი და სული – მდაბალი, რომელი არა შეურაცხჰყო ღმერთმან.

ევლტოდეთ, ძმანო ჩემნო, სოფლისა ამის გულისთქმისა ხრწნილებასა. განისწავლენით სამოციქულოთა სიტყუათა მიერ, ჰყავთ სარწმუნოებათა შინა თქუენთა სათნოება და სათნოებასა შინა მეცნიერება და მეცნიერებასა შინა მარხუა და მარხუასა შინა მოთმინება და მოთმინებასა შინა ღუთისმსახურება და ღუთისმსახურებასა შინა ძმათმოყუარება და ძმათმოყუარებასა შინა სიყუარული. ხოლო უკუეთუ სიყუარული გაქუნდეს, გაქუს თქუენ შორის დამკუიდრებულად ღმერთი.

ამათ მცნებათა შინა იწურთიდ კაცად კაცადი თქუენი და სახე კეთილ იყუენით ურთიერთას კეთილისმასწავლე ნუ – ბოროტისა და მთვრალობისა სულთა წარმწყმედელისა, რომლითა იქმნების ბილწებაჲ;

ნუ სცემთ ადგილსა შემოსვლად თქუენ შორის ეშმაკსა;

ნუ იქმნებიან თქუენ შორის ლალვანი, ნუცა დაგისწრობნ მზე შთასულასა განრისხებულთა;

ნუ ხართ მდრტვინავ, ურჩ და მაცილობელ და წინააღმდგომ უხუცესთა;

ნუ გიყუარნ განსულა სოფლად, რომლისაგან იჯმენით;

ნუმცა არს თქუენ შორის შური და ხდომა; მოშურნე და მობაძავ კეთილთა იყუენით და აღმაშენებელ ურთიერთას;

რაჲ იგი გისწავიეს ქრისტესგან მას ჰყოფდით და მას ასწავებდით ურთიერთარს, რათა ღუთისა და შუილ სასუფეველისა გეწოდებოდის;

მოიძულეთ ყოველი შუება სოფლისა და შეიყუარენით მცნებანი ქრისტესნი, ვითარცა წმიდათა მამათა და მოძღუართა ჩვენთა შეიყუარნეს და დაიცუნეს და დაიმკვიდრეს სასუფეველი; რამეთუ რაოდენ ქუეყანისაგან განეყენნეთ, ეგოდენისა წილ მოიგნეთ სულიერნი. ხოლო უკეთუ ქუეყანისასა ზრახვიდეთ და იქმოდეთ მიერითგან, განგეშოროს თქუენ ზეცისა იგი, რამეთუ ვითარცა წერილ არს, „სიყუარული სოფლისა მტერობა არს ღუთისა.“

იტვირთენით საწერტელნი იგი უფლისა იესოსნი ხორცთა, ხმობს პავლე „მოითმენდით ყოველსა სიყუარულისათვის ქრისტესისა, რამეთუ მან სიყუარულისათვის ჩვენისა თავს იდვა ვნება და ყუედრება, პირსა ცემა, ბასრობა, ძმარი და ნაღუელი, ჯუარითა დასჯა და სიკუდილი.“ ესე ყოველნი და უმრავლესნი მოითმინა ჩუენთვის, რათა ჩუენ გვაცხოვნეს; ჩუენცა მოვითმინოთ ძმანო სახელისა მისისათვის: სიგლახაკე, სიშიშულე, წყურვილი, ბასრობა, კიცხევა, გინება და ყუედრება; რათა უკანასკნელ, ვითარცა მან თავადმან აღმითქუა ჩუენ, მოვიღოთ ნეტარება იგი და გვიხაროდის სასუფეველ ცათასა...

ნუ დაბრკოლდებით ძმანო, რაჟამს ღვთისა მიერ განისწავლებოდით, ისმინეთ წერილისა მახლობითა მიერ უსჯულოებისათვის განსწავლე კაცი, კუალად ძმა უფლისა, იაკობ, იტყვის: „უკეთუ განვიცდებოდით, თვისისაგან გულისთქმისა განვიცდებით, რამეთუ უფლისა მიერ განვისწავლებოდით, გინა თუ განვისწავლებოდით – სიფრთხილე გვიხმს ფრიადი, რათა ლოცუასა მისცნეთ თავნი და არა დრტვინვასა და უფროსდა განსაცდელთა ადგილის მცემელსა. ილოცვიდეთ ძმანო მოუწყინებლად, რათა არა შეხვიდეთ განსაცდელსა, ნუ ითხოვთ ლოცუასა შინა, რაი იგი თქუენ გონავს, არამედ, მას ითხოვდით, რაჲ იგი უფალსა ჰნებავს, რამეთუ მას დაბადებულთა მისთათვის კეთილი ჰნებავს.“

უეჭველად უწყოდეთ, ძმანო, რამეთუ აღთქმანი ჩემნი აღწერნეს წმიდათა ანგელოსთა და მიიხუნეს წინაშე ქრისტესა და დამარხულ არიან აღწერილნი დღემდე მოსვლისა მისისა, და კუალად ანგელოზნი მცუელნი ჰწერენ ცხოვრებასა ჩუენსა და იგიცა დამარხულ არს დღედმდე მოსვლისა მისისასა და მბრძოლი იგი კაცთა ნათესავისა, წინამოსაჯული იგი ჩუენი, ყოველსა, რაოდენსა გუაცთუნებს და გარდაგურევს გზისაგან სადმრთოისა, წერს იგიცა და დაიმარხავს იგიცა თვისსა ჟამადმდე გამოძიებასა უფლისა. აწ უკუე შევიშინოთ, ძმანო, სამთა ამათ ხელითწერილთაგან, რამეთუ მაშინ სამართალი ოდენ იქმნას და არა წყალობაცა, ჟამი წყალობისა დღეს არს, ხოლო მაშინ – არცა ქრთამი არს, არცა სიტყუისმიცემა, არცა შეწირულ იქმნენ ცრემლნი, არცა დრო მოგუეცეს; არამედ – წარვდგეთ შიშუელნი და ქედდადრეკილნი ყოველნი ერთბამად და განეხუნენ წიგნი თითოეულისა საქმეთანი და მიეხდებოდეს თვითოეულსა თვისი აღთქმა და თვისი საქმენი და გამოვიდეს საშინელი იგი ხმა, მომწოდებელი მართალთა სასუფევლად, ხოლო წარმგზავნელი ცოდვილთა ცეცხლად უშრეტად.

ჰოი, ჩემდა, ძმანო! ვითარ ვძრწი დღისა მისგან, უკეთუ ვიპოვო მარცხენით და მესმას ხმა წარმგზავნელი ჩემი სატანჯუელად საუკუნოდ. რაიმე ვჰყო უბადრუკმან მაშინ, რამეთუ არცა არს დასასრული სასჯელისა მის, არღარა არს ლხინება, არცა გარემოიქცეს საუკუნო იგი, არღა კუალად განხორციელდენ ქრისტე, არღა იქმნეს სხუა ცუალება ერთგზის განბრჯობილისა მიერ; რამეთუ ვითარცა ღმერთი უცვალებელ არს, ეგრეთვე განჩინება და განბჭობა ჟამისა მის არღარა შეიცუალოს, არცა მართალთა ზედა და არცა ცოდვილთა ზედა.

შევიშინოთ შვილნო, რათა, რომელი იგი ნებსით აღუთქვით, უნებლიეთ არა მოგუეხადოს მისთვის სიტყუა.

ვიღუაწოთ მცირედჟამ და დაუსრულებელსა საუკუნესა მოვიღოთ წმიდათათვის განმზადებული იგი სასუფეველი და შუება იგი წარუვალი და კეთილნი იგი სამოთხისანი, ვითარცა ხმობს მოციქული, რომელი „თუალმან არა იხილა და ყურსა არა ესმა და გულსა კაცისასა არა მოუხდა.“

ნუ საჭირველ გვიჩნს ჟამისა ესე ნაკლულევანებაჲ ხორცთა, რამეთუ ასი წილი განმზადებულ არს თქვენთვის, რომელთა ეგე იღუაწეთ.

ესე ვითარად ეზრახა მათ მყოვარჟამ და ნუგეშინისცა მათ და სწავლითა განამტკიცნა ყოველნი იგი ძმანი. მიერითგან მოსწრაფებით და ყოვლითურთ კეთილად მსახურებასა ჰყოფდა ძმათასა ევაგრე და სიმარჯვით უძღოდა მათ და განაკრძალებდა ყოველთავე მიმართ სივერაგეთა და მანქანებათა ეშმაკისათა, ვინაცა კეთილად სათნოეყო უფალსა ჯეროვნად მართებითა და წინაძღომითა პირმეტყუელთა სამწყსოთათა.

ხოლო წმიდა და სანატრელი შიო შთახდა მღვიმესა მას ბნელსა შინა ქუესიღრმეთა მიწისათა, რათა სიმპალესა ხორცთასა მიცემითა აღმოაჯეჯლოს ხუვილი წმიდა და რამეთუ იფქლიცა ესრეთ მიწად შთათესული და სიმპალესა მიმთხუეული გამოიღებს ნაყოფსა კეთილსა, არა შეშთობილი ეკალთაგან, არამედ ღრმადშთამტევებელი ძირთა შინა და წმიდაცა ესე, მიმცემელი მიწად თავსა თვისსა, აღიხილვიდა ზენა მთათა მიმართ თუალთა გონებისათა და მოელოდა შეწევნასა ცუართა საკურნებელთა სულისათა, რომელთა მიერ განაპოხნეს იგინი ღუთისა ზედმოხილვისა წვიმათა მიერ მორწყული.

მიხეილ-გობრონ საბინინი
„საქართველოს სამოთხე“

MRVDELMTAVRISA DAMWYSOBA

MICEMISA JAMSA KVERTXISASA, PIRVELISA IRUMENIASA SAMTAVROS MONASTRISA WMIDISA NINOISA

მცხეთის სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტრის იღუმენია ქეთევანის ლოცვა-კურთხევით, ხელნაწერთა ინსტიტუტში მოიძიეს XIX საუკუნის შუახანებში შედგენილი ზოგადცხოვრებულთა მონასტრის ტიპიკონი, რომელიც სამთავროს მონასტრის პირველ იღუმენია დარია ფაღავას სახელს უკავშირდება (1805-1853 წ.)

ვაქვეყნებთ ტიპიკონის პირველ ნაწილს, სადაც წარმოდგენილია დედათა მონასტრის წინამძღვრის სამოღვაწეო განგება.

მიიღე კვერთხი ესე რომლითაცა დამტკიცებითა სამწყსო შენი წარმართო, რამეთუ ჯერგიჩნს სიტყვისაცა მიცემად მათთვის ღვთისა ჩვენისა მიმართ დღესა მას სასჯელისასა.

და ასწავებს სწავლასა ამას.

უფლისა იესო ქრისტეს მიერ საყუარელო შვილო, დარია, მომიპყრენ ყურნი ეგე შენნი და მოხედენ ხმასა ამას ჩემსა,რომელსა გეტყვი შენ. მადლითა ყოვლადწმიდისა ცხოველსმყოფელისა სულისა ღვთისათა, აღყვანილხარ ჩვენ მიერ სასულიეროსა სამთავროსა წმიდასა მონასტერსა მოციქულთასწორისა ნინოსა იღუმენიად, რათა სამწყსო შენი სიტყვიერნი ცხოვარნი, სამწყსო ქრისტესი, მოგებულნი პატიოსნითა და უსასყიდლოთა მით სისხლითა მისითა განაგო და ხელთა გედების შენ ჩვენგან კვერთხი ესე სასწაულად, წარმართებისათვის სასულიეროსა, რომლისაცა მიმღებელხარ თიხეულისა ამის ხელისა ჩემისაგან, ჰგონებდე, ვითარმედ მარჯვენისა მისგან თავადისა ღვთისა, რომელი ხელთგიდებს შენ ჩემ მიერ უხილავად, ხოლო შენ ხელდებულთა ამათ შენდა სამწყსოთა წარუძღუ გზად მცნებათა მათ მწყემსმთავრისა მის და მეუფისა მაცხოვრისა ქრისტესთა ყოვლითავე გულსმოდგინებითა და მოსწრაფებითა, არა მიდრკე მარჯვენით, გინა მარცხენით – არამედ საშუალითა მით გზითა, რომელსა ეწოდების გზა იგი სამეუფო, და განმყვანებელ ექმენ მათ ხრწნილებისაგან – უხრწნელებად, ქვეყანისაგან ზეცად. ვითარცა მოსემ შემდგომად მოღებისა კუერთხისა უფლისაგან ღვთისა განიყვანნა ერნი ისრაილთანი მონებისაგან მეგვიპტელთასა ქვეყნად აღთქმისად. თანაგაცს უკუე დედებრივად დამტკიცებად დათა, რომელნიცა უძლურებით სცხოვრებენ მონოზანობასა შინა, არა კუერთხითა გულისწყრომისა და ცემისათა, არამედ სიტყვითა მით მშვიდითა დადგინებისათა და



სახელითა ცხოვრებისა სიწმიდისა შენისათა და უძლურებისა მათისა მოთმინებით თავსდებად. ხოლო ჟამსა ოდეს მოგიხდებოდეს მოძღვრიდე, აიძულებდე მარჯუესა ჟამსა და უმარჯვესაცა ამხილებდე რა, შერისხვიდე და ულოცვიდე ყოვლითავე სულგრძელებითა, არამედ, მოგეცა, შენ კუერთხი ესე არა ხელმწიფებად სოფლისად, რათა

ქედმაღლობდე ხელდებულთა თვისთა ზედან, ანუ ცემად მათდა, თვინიერ სიტყვისა, არამედ ვითარცა მენავეთმოძღვარსა, გული ხელთგედვას შენ წარმართებად ნავისა სულიერისა, რომელი ვალს მრავლად მღელვარესა ზედა სოფლისა ამის ზღუასა კუერთხი ესე, ვითარცა ჭეშმარიტსა მწყემსსა, და არა სასყიდლით დადგინებულსა არა, რათა დანთქა ცხოვარი, არამედ მგელთა გონიერად მტაცებელთაგან იფარვიდე და სცევდე სიტყვისაებრ წმიდისა პეტრესა: ჰმწყსიდით რომელნიცა არიან თქვენ შორის სამწყსოთა ღვთისათა ზედამხედველობით არა საჭიროებით, არამედ მნებებელობით და სამღუთოებით და უფლებად კრებულთა ზედან; არამედ მწყემსობისა სახისა ყოფად, რათა ესრეთ დამწყსილნი გამოუჩნდენ რა მწყემსთმთავარსა ქრისტესა და მიიღონ დაუჭნობელი იგი გვირგვინი, ამისთვისცა დამწყსენ ღვთივმოცემული შენდა სამწყსო, ვითარცა დედა შვილთა სწორისა სიყვარულისა მათ ყოველთა მიმართ მაჩვენებელი, სულმოკლეთა ნუგეშინის სცემდე, უძლურთა განამტკიცებდე და ჰკურნებდე, მცოდველთა განამართლებდე სულითა სიბრძნისათა; რომელი არა მორჩილებდეს ტიბიკონსა მონაზონებისასა და ვიდოდეს წინააღმდეგად წესთა მონაზონთასა, და სხვათა წარსაცემელად ფერხისად და შემაცთუნებელად მყოფელთა მათ მორჩილ და კეთილგონიერ ჰყოფდე სიტყვითა და სულიერითა მით მოთხრობითა; ხოლო უსმენელობითა განძვინებულთა და სიკვიდიდმდე ცოდვისმოქმედთა მათ, ვითარცა მოძღვრებისა სიტყვისა უმორჩილოთა, სათანადოსა მას შერისხვასა დასდებდე, რათა შეურისხავნი იგი განისწავლნენ და შემდგომნი იგი მათ მიერ სათნოებით მოიძვრნენ სულიერსა საქმესა ზედან იყვნენ. ხოლო სოფლისა ამისაგან სამონოზნოსა ცხოვრებისა მიმართ ყოვლითავე გულსმოდგინებითა მომავალნი მეცადინეობით გამოსცადენ ჯეროვანისა მონასტრის გამოცდილებითა, და არა უწინარეს სამისა წლის გამოცდილებასა შინა მონასტრისასა ჩვეულ იყვნენ, რათა საქმე მათი და გულსმოდგინება გამოცხადებულ იყოს, წარმოუდგენდე მღვდელთ-მთავარსა ღირსყოფისათვის მათისა ანგელოზობრივისა სახისა, ხოლო სამონოზონოსა სახესა შინა მყოფნი, რომელნიცა იყვნენ ყოველთა შემდგომად სახელადოსა საქმისა უბრძანებდე, ჰსწავლად უფროს ყოველთასა „დავითნისა“, რათა არა ყოველივე ჟამი დალეულჰყონ ქვეყნის საქმეთა შინა; ხოლო უქმად მყოფნი მონოზონნი, ნურა ოდეს გნებავს ხილვად და ნუცა – სმენად; სხვათა მონასტერთა შინა აღთქმისა მყოფელთა მონაზონთა თვინიერ კურთხევისა მღვდელთმთავრისა, სამწყსოსა ქვეშე შენსა ნუ შეიწყნარებ, ხოლო ქვეშე შენსა განწესებულთა მათ აყენებდე ქალაქთა და სოფელთა შინა სლვად უსარგებლოდ, და მითვისებასა ნათესავთა და მეგობართა თანა, რომელნიცა არიან სოფელსა ამას შინა, სრულიად მოუკვეთდე. და თვით შენდაცა ჯერარს საეკლესიოსა წესისა დამარხვა შეუცვალებელად ყოველსავე შინა რომელიცა წინა გვისხენ წმიდისა აღმოსავლეთისა ეკლესიისა მიერ, რათა უწყოდე ვითარ შუენის ზედად-მდეგთა კეთილად წინამდგომარეობა, და მონასტრისა შენებითა შემჭირნეთ გონება, გარნა არა თვით ნებისად და არა თვით წესობით, ანუ თუ თვითწინააღმდეგობით თვისისა გონებისაებრ, და არცა რომელი მცირე, ანუ თუ დიდი ჰყო შენ თავით თვისით, ანუ თუ რომელთამე მლიქვნელთა მონოზონთაგან ანუ თუ განძის დამდებელთაგან, და კვალად, რომელნიცა არიან სოფელსა ამას შინა მონაზონნი, ანუ შენობათა რამ მონასტრისათა ზრახვად ანუ რჩევად, გარნა ყოველივე მოხუცებულთა მონოზონთა თანა, რომელთაცა დაუყოფიათ მრავალნი წელნი და ყოვლისავე წვრილეულად მცნობელთა თანა მარადის ზრახვად, ყოველთავე ზრუნვა და მონასტრისათა და შენობათათვის, ვინაითგან მრავალთა მიმართთა ზრახვათა შორის ცხოვრება იყოფების. ხოლო უკეთუ მონასტერსა შინა უხმდეს უმჯობესისა რასამე ზედან წარმართებად და შემატება, ამათ ყოველთა ქმნად და განმართავად ჯერარს შენდა არა თავით თვისით, არამედ თანაგანზრახეობითა დათა, რომელნიცა არიან მონასტერსა ამა

შინა და გარდაწყვეტილებითა სასულიერო მთავრობისათა. ჰსცნობდე რომელნიცა შვრებიან წმიდასა ამას მონასტერსა შინა და ჰყვენ იგინი უფროსად უმეტესსა სიყუარულსა ზედან საქმისა მათისათვის. ნუ მიუღებ, რომელნიცა ხელსა ქვეშე შენსა არიან ღირსებულსა უხოცესობასა, რათა არა რომელსა ბრალსა ქვეშე შევარდე, დაღაცათუ უმეტესითა წინამჯდომრეობითა პატივცემულხარ შემდგომთა მათ შორის, გარნა საეროთა მათ პატივითა ბუნებისათა არა რითამე განიყოფებით, ნუცა გამოგცდის შენ სახელი იგი იღუმენიაობისა, რამეთუ არა რა არს უმეტესი; გარნა ხოლო შენსა ქვეშე განწესებულთა მათ მონოზონთა მძღომელი ამისთვის გეწოდების იღუმენია დათა თანა, და არა უფალი ხელმწიფებასა ქვეშე მყოფთა თანა, ყოველსავე შესავალსა და გამოსავალსა ჰყოფდე მონასტრისა მის ჰრჩეულთა მათ მონაზონთა თანა და კაზნაჩეისა თანა, უწყოდე და წარაგებდე კეთილსა საქმესა ზედა და ღვთისა სათნო საყოფადოსა, და ნუცა ყოველსავე საგრობასა ზედა წარაგებ, რამეთუ საქონელი მონასტრისა საეკლესიო არს და საქონელი საეკლესიო საგლახაკო არს, და ესენი უფროსად სახმარ გიჩნდეს გლახაკთა მათ ძმათა და დათა ჩვენთა ზედან, რომლისათვისცა ქრისტე ღმერთი ჩვენი დღესა მას მართლმსაჯულებისა თვისისასა იტყვის: მშიოდა და მეცით მე ჭამადი, მწყუროდა და მასუთმე, უცხო ვიყავ და შემიწყნარეთ, შიშველ ვიყავ და შემმოსეთ მე, უძლურ ვიყავ და მომხედეთ მე, საპყრობილესა შინა ვიყავ და მოხვედით ჩემდა; თანაგაც ზრუნვად; რათა ყოველთავე, რომელნიცა იმყოფებიან და შვრებიან წმინდასა მონასტერსა მას შინა მონოზონთაგანნი, რათა ზედეთ-ზედან წმიდითა სინანულითა განწმენდილჰყონ სული თვისი და სამღვთოთა საიდუმლოთა ზიარ იყვნენ, ყოველნივე ცხოვრებდნენ პატიოსნებით, სიწმინდით, სიფხიზლით და უმანკოებით, ხოლო აღსრულებულთა დათა მის მონასტრისათა ჯერგიჩნს მოხსენებად უსისხლოსა მის მსხვერპლის შეწირვასა შინა. სად სულთა მათთვის მონასტრისა მის საქონელთაგან წყალობისა ყოფად; და რომელთაცა არა აღესრულებინოს ცოდვათა მათთათვის, რომელიცა ჯერუჩნდეს ყოფად ესე ვითართათვის, მოწყალებისა და ლოცვისა მიერ შეწევნასა მოსწრაფებად რათა იგინიცა ღირს იქმნენ ხილვად პირისა ღვთისა. უკეთუ ესე ყოველივე ზრუნვითა და მოსწრაფებითა მით შენითა დაცულ იქმნეს, შემძლებელ იქმნები კადნიერებით თქმად უფლისა მიმართ: აჰა ესერა მე და შვილნი ესე, რომელნი მომცენ მე და ღირს იქმნები ერთბამად მათ თანა სმენად ხმისა მის ყოვლადტკბილისა მსაჯულისა მისგან მართლისა: მოვედით კურთხეულნო მამისა ჩემისანო და დაიმკვიდრეთ თქუენთვის განმზადებული სასუფეველი დასაბამიდგან სოფლისა.

WMIDA ALEQSANDRE (OQROPIRIZE)

SAMTAVROS WMIDA NINOS MONASTRIS IRUMENIA NINOSADMI (AMILAXVARI) DARIGEBA

ახლადხელდასხმულს მცხეთის სობოროს მონაზონ ნინოსადმი, 1869-სა წელსა მარტის 12 დღესა, ტფილისის ექზარხოსის საჯვარო ეკლესიაში.

მონოზონო ნინო! მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტე ბრძანებს: „მოვედით ჩემდა ყოველნი მაშვრალნი და ტვირთმძიმენი და მე განგისუენო თქვენ; აღიღეთ უღელი ჩემი თქუენზედა, და ისწავეთ ჩემგან, რამეთუ მშვიდ ვარ და მდაბალ გულითა, და ჰპოვოთ განსუენება სულთა თქვენთა; რამეთუ უღელი ჩემი ტკბილ არს და ტვირთი ჩემი სუბუქ არს.“

აჰა, დღეს შენ, სიტყვისაებრ ღვთისა, აგიღიეს უღელი იესო ქრისტესი და გიტვირთავს ტვირთი მისი თავსა შენსა ზედა; აჰა, დღეს შენ მიგიღიეს სახე ანგელოსებრივი, შეგიმოსიეს სქემა მონაზონობისა, მიგიტევებიეს წარმავალი სოფელი ესე და თვით სახელიცა, ძველად სოფელში მიღებული; და მიგიღიეს სახელი ქართველთგანმანათლებელისა წმიდა ნინოსი.

ჭეშმარიტად, ყოველივე ეს კეთილ არს და ნეტარხარ და იქნებიცა საუკუნოდ, უკეთუმცა ყოველსავე, რაიცა აღგითქვამს დღეს ამ მონაზონის სახის მიღებაზედ, კეთილად და დაუზარებლად დაიცავ და აღასრულებ.

რადგანაც დღეს მარჯვენემან ჩემმან აღგკვეცა შენ მონაზონად, შეგმოსა ანგელოსებრივის სახითა და გარდამოაწვია შენზედა მადლი უფლისა, ამისათვის ვალი მაქვს, გამცნო შენ, მონაზონო ნინო, თუ ვითარი აღთქმა მიგიციეს შენ წმიდა ეკლესიაში ღვთისათვის და რა გაძს ვალად, რომ აღასრულებდე აღთქმათა მათ წმიდათა და სასიამოვნოდ ღვთისა და ყოველთა წმიდათა.

აღთქმა შენი, ვითარცა აღთქმა მონოზონობისა, არს უმთავრესად სამი: **მორჩილება, სისაწყლე და ქალწულება** ანუ წმიდა ქალწულებრივი ცხოვრება. აღსრულება ამ სამთა აღთქმათა: მორჩილებისა, სისაწყლისა და წმიდა ქალწულებრივი ცხოვრებისა მიგიყვანს შენ სამოთხის კართან;

პირველი აღთქმა ითხოვს შენგნით, რათა შენ დაეპყრა მორჩილებით მონაზონობას და მონაზონობის კანონშეურყეველად, შენგან აღმორჩეულს ადგილზედ, მცხეთის წმიდა საკათედრო სობოროზედ; რათა იმყოფებოდე მორჩილებაში ყოველთა პირთა თანა, და უმეტესად – უფროსებთან და მათთან, რათა ერთგულად, ბეჯითად და კრძალვით ემსახურებოდე დიდსა მცხეთის ტაძარსა, და ცდილობდე, რაოდენიცა შეიძლებოდეს შენ მიერ, მისს სიწმიდეს და სიმშვენიერეს; და რათა იმყოფებოდე დუმილებაში და მოთმინებაში; ესე იგი შენ უნდა იყო წყნარი ლაპარაკში, ქცევაში, და უკეთუ გაჯავრება ვითარმე შეგემთხვიოს ვისგანმე, მოითმენდე, არა განფიცხდებოდე და არცა მიაგებდე მაგიერს; არა მიმოსთქმიდე და არა დრტვინვიდე.

აღთქმა მეორე – აღთქმა სისაწყლისა ითხოვს მას, რომელ შენ არა სცხოვრებდე განცხრომით, არც შესამოსით და არც სანოვაგეთი, არამედ ყოველსავე ცხოვრებასა შინა უნდა გაჩნდეს და გაქვნდეს სახე სისაწყლისა. სისაწყლისათვის და სიმშილისათვის ნუ შეძრწუნდების გული შენი. მიუტევე ზრუნვა შენი უფალსა და მან გამოგზარდოს შენ.

აღთქმა მესამე – აღთქმა წმიდა ქალწულებრივი ცხოვრებისა ითხოვს, რომ იცხოვრო სულით და გულით წმიდათ; ითხოვს, რომ არა თუ გულის ამაოს

იღუმენია ნინო ამილახვარი
(1816-1905)

წადილისა და სოფლიურს ბილწიერებრივს ცხოვრებას განელტვოდე, არამედ გულშიაც არ წარმოიდგენდე ცოდვას, და უკეთუ წარმოგიდგებოდნენ ჰაზრნი ცოდვისანი, მსწრაფლ აღმოხოცდე მათ გულიდამ. მაშასადამე, აღთქმა წმიდის ცხოვრებისა ითხოვს შენგნით, რათა შენ, გულსა, თვალთა და ბაგესა შენსა დასდებდე საცოსა მძიმესა, რათა იგინი არა გახსნილ იყვნენ ცოდვათათვის, არამედ, დახშულ – მარადის.

ღვთისმოშიშო მონაზონო ნინო! დღეს შენვე მიგიცემიეს წმიდის სახარების და წმიდის ჯვარის წინაშე აღთქმა მონაზონობისა ღვთისათვის და მე რაღა ბევრი გავავრცელო. შენ თვით გესმის და უწყი მნიშვნელობაცა ყოვლისა შენ მიერ მიცემულისა აღთქმისა, და სრული იმედია, ეცდები ღვთის შიშით და ლოცვით აღასრულებ მათ აღთქმათა. იმედსა ამას გვაძლევს ჩვენ პირველად თვით შენი წმიდა ხნოვანება და მოხუცი წლოვანება,დაჭკნობილნი სოფლიურის სიმშვენიერისათვის და მიდრეკილი წმიდა ზეციურის ცხოვრებისადმი; მეორე ეს, რომ შენ წარემართები მცხეთას და დაეპყრობი იქაურს წმიდა სობოროზედ; და მაშასადამე, იმედია, რომ შენ მიბაძამ შენს მოსახელეს წმიდა ქალწულ ნინოს, რომელიც შენ ამოირჩიე პატრონად და რომელიცა თვითცა იღწვიდა მცხეთას და მის ცხოვრებას მაგალითად დაუდებ თავსა შენსა და შენცა წმიდა ნინოს მფარველობით იცხოვრებ მარადის კეთილად.

იცხოვრე კეთილად და წმიდად, ღვთისმოშიშო მონაზონო ნინო, რათა ღმერთმან მადლითა და მფარველობითა ყოველთა წმიდათა დედათა და მამათა ჩვენთათა, მოგანიჭოს სასუფეველი ცათა, ადგილი ზეციურისა სამოთხისა, ადგილი ბრწყინვალებისა, სადაცა გუნდნი ანგელოსთანი მარადის ადიდებენ უფალსა.

გაზეთი „დროება“ №-13 1869წ.
„დარიგება“- გვ.1.
მოგვაწოდა ბ-ნმა ლუარსაბ ტოგონიძემ
(ხაზგასმა ყველგან ჩვენია – რედ.)

EPISTOLEEBI

მღვდელმონოზონი გრიგოლი (ნადარეიშვილი)

WERILEBI

სულიერნო დანნო ეპრაქსია და მართა!

პირველად მოგიკითხავთ საღმრთო სიყვარულით, ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს ვთხოვ და წმიდა მთავარანგელოზ მიქაელ და გაბრიელსა, რათა წარგიმართონ თქვენ სულიერ გზაზე და აღაორძინოს თქვენი სულიერი მისწრაფება იმ ზომამდე, რაოდენი თქვენთვის იქნება სასურველი. გარდა ამისა, გთხოვთ, მომიკითხოთ სულიერი სიყვარულით დანი თქვენი მონასტრისა.

...უკეთუ ჩვენ ყოველი ვნებისა და სათნოების აღწერას ხელვჰყოფთ, შევცდებით, რამეთუ ვერ შევძლებთ ყველას აღწერას და უკეთუ აღვწეროთ – დავიბნევით და ვერ აღვასრულებთ. მთელი დაბადება, მთელი საწინასწარმეტყველო, მთელი სახარება შეადგენს ვნებების წინააღმდეგ ბრძოლას და იმის სწავლას, როგორ უნდა სათნოების შოვნა. დარწმუნებული ვარ, მე ჩემს მხრით, რომ უკეთუ კაცი შეუდგეს ამის ყოვლის სწავლას და აღსრულებას საქმით, ვერ შეძლებს, დაიბნევა. თქვენ მეტყვით: უკეთუ ეგრეა, რისთვის დაიწერა ესე? უკეთუ გადავხედავთ ქვეყანას, ყოველი ადამიანი, დიდი თუ პატარა, მოძრაობს, რათა შეიძინოს ოქრო და ვერცხლი. აწ დაუკვირდეთ, ნუთუ ყველა ერთნაირი გზით მიდის მის საშოვრად? – არა, არამედ – სხვადასხვა გზით: ერთი პურის მუშაა, მეორე – სიმინდის, მესამე ვაჭარია, მეოთხე მასწავლებელია, მეხუთე აფიცერია, სხვა პოლკოვნიკია, სხვა გენერალია. ხოლო ყველას თუ თავის შრომაზე ეძლევა ოქრო, საზომისაებრ და ღირსებისაებრ თავისი ნამოქმედარისა; ეგრეთ, წმიდა წერილის სწავლა მომატყვებელია ყველა ზეციერი ოქროჲსა – ხოლო ჩვენ ძალისაებრ ჩვენისა უნდა ავიღოთ რომელიმე მოკლე სწავლა, მცირე ტვირთი, რათა არა დავეცეთ. მთელი სახარება შეადგენს აუცილებელ ჩვენთვის საჭირო გზას; მაგრამ ერთ ადგილს იხილე, რას ეუბნება გონიერ ყმაწვილს სახარება (მარკ. თავი 12. მუხლი 30,31). მეორე ადგილს, ამ მუხლებს ზეით, დასძენს, ყოველი სჯული და წინასწარმეტყველნი ამ ორ მცნებათა ზედა დამოკიდებულ არიან. აწ იხილე გონიერს მოწაფეს როგორ მოკლედ და სრულად გადასცა მისი დიდება, რამეთუ ხედავდა მას გულისხმისმყოფელად, ხოლო უგულისხმოთათვის საჭირო იყო ვრცელი სწავლა და ამისათვის გააზვიადა. უკანასკნელ დროს, როცა იოანე ღვთისმეტყველს ეგულვებოდა სამუდამოდ განშორება თავის მოწაფეებისაგან, მაშინ რაოდენიმეჯერ განიმეორა ერთი და იგივე სიტყვა: – გიყვარდენ ერთიმეორე, გიყვარდენ ერთიმეორე. ხოლო უკანასკნელ მიუგო ერთმა: – რა, მამაო, მუდამ ერთ და იგივე სიტყვას იმეორებ! მაშინ მიუგო იოანემ: უკეთუ ეს მცნება დაიცვენით, მაშინ ყოველ მცნებას აღასრულებთ, რამეთუ ამა სიყვარულის სათნოებაზე შთანთქმულ არს ყოველივე სათნოება; აქიდან გამოირკვევა, როგორც ამბობს ერთს ადგილს იოანე კლემაქსი კიბის აღმწერელი: ზოგიერთი სათნოება ნაშობი არის სხვა სათნოებისა, და ზოგიერთი – მშობელი არს სხვადასხვა მრავალთა სათნოებათა. ამისთვის სთქვა ნეტარმან მან, რამეთუ: რომელი გონიერი იყოს, ხელყოფს მშობელსა, რათა მშობელი და ნაშობიც ერთად დაადგრეს მისთანა. ამისთვის ჯერ არს ჩვენდა, რათა ხელვყოთ ამ რჩევას, რათა გზა გვექმნას მოკლე, ტვირთი – სუბუქ და მრავალფასიანი.

აწ, ვიხილოთ სიტყვა კლემაქსს შინა წერებული რას ამბობს (გვერ. 260. მუხ. 3.- ესე იგი 6.), მასთან მივაქციოთ ყურადღება – (გვ. 261. მუხლი ივ.). მაგ ორი მუხლი გვიმტკიცებს, რომ ამპარტავნება არის დიდი და მთავარი ვნება, ესე იგი – უკეთუ კაცი ამპარტავანია, იგი არა თუ ამ ერთი ვნების პატრონია, არამედ – ყოველივე ვნებისა, რომელ არის ცისა ქვეშე, რომლის რიცხვი არის ათერთმეტი. აწ მეორე მუხლი – ივ, გვიჩვენებს: უკეთუ ამპარტავნება განქარდეს, შემოვალს სიმდაბლე, მასთან – გვიჩვენებს, რა ქნა ამპარტავნებამ და რა ქნა სიმდაბლემ. აქედან სჩანს, დედა ყოველთა ვნებათა ყოფილა ამპარტავნება; ხოლო დედა ყოველთა სათნოებათა ყოფილა სიმდაბლე. ამისთვის ღირს შევებრძოლოთ ამპარტავნებას და დავანგრიოთ ათერთმეტთა ვნებათა ზღუდენი და მოვიპოვოთ სიმდაბლე და ამით განუღოთ კარი ყოველსა სათნოებასა, რათა თამამად შევიდეთ და გამოვიდეთ და საძოვარი ვპოვოთ, ვითარცა სთქვა მაცხოვარმან. ეხლა დავრწმუნდით, რომ ჩვენი სიკვდილი

ყოფილა ამპარტავანებაში და ცხოვრება – სიმდაბლეში. მაშასადამე, უნდა შეებრძოლოთ ერთს და აღვფხვრათ ძირითურთ, რათა შემოვიდეს მეორე – სიმდაბლე, რომელ არს სრული ცხოვრება. აწ საჭიროა (ვიცოდეთ – რედ.) როგორ შეებრძოლოთ მას, ხოლო მისი გამოქვეყნება ვგონებ ადვილია, მისი სისრულეში მოყვანა კი დამოკიდებულია სურვილზე. სურვილი ყველას აქვს; ხოლო ესენი განიყოფება სამ ნაწილად: პირველი – დაბალია და შესაწყალობელია მისი პატრონი, ვინაიდან ვიცი, არ არის შემძლებელი შებრძოლებისა; მეორე – საშუალია; ეს საშუალი სურვილი ხან დაეცემა, ხან აღსდგება და თუ იგი არა დასცხრა და არა უკუნ იქცა, მოელის ამა სოფელში გამარჯვება, თუმცაღა გვიანად. ესეც მოხდება, რომ ზოგიერთი ვერ მიაღწევს თავის სურვილს ამა სოფელში, მაგრამ იქ კი გვირგვინოსანი გამოსჩნდება – ესეც განგებულებითა ღვთისათა იქნების; ხოლო მესამე – სრული სურვილია, რომელსა უწოდებენ ყოვლადცეცხლს, ამ ცეცხლის პატრონი ყოველ მხრით ბედნიერია, თუ გინდ ადრე მიიღოს, თუ გინდ – გვიან. უძლური კაცის ბუნება ეძებს, რათა ადრე მიიღოს განთავისუფლება ვნებებისაგან, ხოლო ღმერთსა უნებს, რათა ჩვენ მრავალჟამ ვიდგეთ ბრძოლაში და გვირგვინოსანი გამოვსჩნდეთ. ამისთვის, პირველად გვიღირს ვევედროთ ღმერთსა, რათა ამ ცეცხლის სურვილი მაღალი გარდამოგვივლინოს ღმერთმან და უკეთუ ამა ცეცხლის მაღალ სურვილს მიემთხვიო, ღვთისა მიერ – გიხაროდენ და მეც მეოხ მეყავ. არ მოგატყუოს ეშმაკმან, მუნ გამოჩნდებიან ვნებანი და არა შეშინდე, არამედ ცეცხლი იგი უხილავად სწვავს მას (ვნებებს – რედ.). ოდენ კაცმან დაიწყოს საპნით ხელის ბანვა, მაშინ გამოსჩნდება უმეტესად ჭუჭყი, ხოლო შემდგომად რაოდენიმე ხნისა გახდება სპეტაკ, ვითარცა თოვლი, – ეგრე გულისხმაჰყავ ბრძოლა.

აწ მინდა, მოგახსენო სხვადასხვა მამების სწავლისგან, ჩემ მიერ წაკითხული წიგნებიდგან, თუ რომლითა სახითა შეიძლება შებრძოლება ამპარტავნებაზე. აიღე კალამი და დასწერე გულის ფიცარსა შინა შენსა: 1. მარადის თავისბრალობა ყოველსა ზედა, თუ გინდ მართლად მიგაჩნდეს თავი, თუ გინდ – უმართლოდ (იხილე წიგნი აბბა დოროთე. გვერდი 95. მუხლი ს.); მასთან – კლემაქსი (გვ. 264. მუხლი - მე.). კარგად დაუკვირდი ამ მუხლს, რასა ბრძანებს, რამეთუ მას დიდი სივრცე აქვს და და ძალიან ფართოდ ხსნის. 2. უნდა იტვირთო მოყვასისაგან შეურაცხება, გინება, ლანძღვა, ბასრობა, თუ გინდ მართალი იყო, თუ გინდ – უმართლო და ესრეთ უნდა შერაცხო ისინი, ვითარცა კეთილისმოქმედნი და ქველისმოქმედნი და ჭეშმარიტად ეგრე არს, და უნდა შეიყვარო ისინი, ვითარცა თავი თვისი. ხოლო ქება გძულდეს – მაქებელს გრილი თვალი უჩვენე, რათა მეორეჯერ არ გაბედოს ქება; ხოლო შინაგან შეიყვარე. ეძიებდი შეურაცხი მორჩილებას და იტვირთე მორჩილება უფროსისაგან და უმცროსისაგან. 3. ეძიებდი ნების დატოვებას, ესე იგი იქმოდე მორჩილებას, არა ეგრე – როგორც შენ გენებოს, არამედ, ეგრე – როგორც გიბრძანებდნენ, ხოლო მათი ბრძანება კარგი გამოვა თუ ავი, მაგას ნუ არჩევ, არამედ – როგორც გიბრძანონ, ქენი და ბოლო როგორი იქნება, მაგას ნუ ეძებ. შენ მარტო ის ეცადე, რათა ბრძანება აღასრულო სრული მორჩილებით. 4. სიყვარული ყოველთა(იქონიე –რედ.), რამეთუ ესენი მომტევებელ არიან ყოველთა უსამართლოებათა თავსდებად, რომელი მოიწევიან თქვენზედა. 5. დამჭირვა თავისა თვისისა უქვესყოველთა დაბადებულთა, ესე

მონოზონი ეპრაქსია (ჩარკვიანი) – წინა რიგში, მარცხნიდან მეორე

იგი ყოველი კაცის უარესად მიგაჩნდეს თავი, და უკეთუ ესე დაიმჭირო, ადრე წარემართო, და მასთან – ზემოდან (შენს – რედ.) ჩამოგდებას მტერი ვერ შეძლებს – ასეთი დიდადმნიშვნელოვანია ესა. 6. ამას უნდა მივუმატოთ: დუმილი, ლოცვა, მარხვა და მღვიძარება მორჩილებით, ესე იგი მოძღვრისაგან განკ-

ანონებული ყოველისა საქმისა შესრულებას უხმს პირველად ძალა, რათა შევასრულოთ იგი. ხოლო მაგ საქმის შემსრულებელ ძალას უნდა შოვნა. აწ ვსთქვათ, თუ ვითარ იშოვების იგი.

რქვა უფალმან ისო ნავეს,მოადგილეს მოსე წინასწარმეტყველისას, შემდგომად მოსესსა: „ყოველსა რომელსა ვამცნებდი მონასა ჩემსა მოსეს და რომელი დასწერა სჯულსა თვისსა, იგი ჰქმენ,იმას იწურთიდ,იმას იგონებდ დღე და ღამ და ესრეთ წარემართო.“ – გულისხმავყოთ სიტყვანი ესე, რამეთუ საიდუმლო ესე ღრმა არს. ისუ ნავე იყო წინამძღვარი ისრაელთა ერისა, რომელ თვით უფალმან აღმოირჩია ის წინამძღოლად თვისისა ერისა, მისი საჭიროებისათვის და ავალებს, რათა მუდამ იგონებდეს და იწურთიდეს და ესრეთ წარემართოს და აღასრულოს სჯული მოსესი. საკვირველ არს საქმე ესე, რამეთუ თვით ღმერთმან მისი საჭიროებისათვის დანიშნა და ერთბაშად არ აძლევს ძალას,არამედ ცოტ-ცოტას,უხილავად, რამეთუ ესრეთ სათნო იჩინა უფალმან. ამას მიუმატოთ კიდევ სიტყვა ერთი ვინმე წინასწარმეტყველთაგანისა რომელმა სთქვა: „წინასწარ განვემზადე და ესრეთ მოვითმინე.“ აწ იხილე, რამეთუ წინასწარ განმზადება, წვრთა და მოგონება საქმისა, ვითარ მომტყვებელი ყოფილა ძალისა. არ შესცთე უეცრად, არ მოსთხოვო ეს ძალი ღმერთს, თუ არა – დაეცემი. პურს რო დასთესენ, მაშვინათვე კი არ მომკიან, არამედ, რაოდენიმე ხნის მერმედ – ესრეთ გულისხმაყავ. ესეც იცოდე, რამეთუ განმზადება ამა საქმეზე, წვრთა, თავისა თვისისა ბრალობა და მოგონება ამა სათნოებათა სწორ არიან ლოცვისა. თუ მეტყვი, ვინ მომცემს მე ნებას,რათა დუმილი დავიცვა,რამეთუ კრებულთა შორის მორჩილებაში ვიმყოფები; რასაც მოითხოვს მორჩილება, კითხვაც მიეცი და პასუხიც მიუგე, ხოლო დანარჩენ შემთხვევაში – დადუმდი. იცოდე, დუმილი მდიდარი საგანია.

ეხლა მივაქციოთ ყურადღება მარხვას. უკეთუ მარხვა არა დაიცევ, უკეთუ მუცელი არა შეაიწროვო, ისთე ვერ წარემართები. ხოლო უცთომელი ეს არის, რომელი ქადაგეს წმიდათა მამათა: მიღება ყოველდღე საზრდელისა, მაგრამ არა განძღომა, მაგალითად ეგრე არის: უკეთუ ზომიერად განძღობაში ყოფნის 4 გირვანქა პური, მაშინ უნდა მიიღოს 3 გირვანქა პური; უკეთუ ყოფნის 2 გირვანქა პური – მაშინ უნდა მიიღოს 1/2 გირვანქა პური, ესე იგი ერთი მეოთხედით ნაკლები იმ ზომიდან, რომელიც ყოფნის განსაძღობად. ერთი სიტყვით, მარხვა კრებულთა შორის სხვანაირად უნდა იქმნეს და დაყუდებულთა შორის სხვანაირად. თქვენ, როგორც კრებულთა შორის მყოფი ასე უნდა მოიქცეთ: უნდა სჭამოთ კარგად, მაგრამ იმ დროს უნდა მიატიოთ, რომ არ განსძღე, ესე იგი კიდევ კარგად გითქმიდეს გული ჭამაზე.

ეხლა მივყვები და ჩამოვთვლი რიგ-რიგად ყველას რა და რა ქნა:

1. დუმილი, 2. მარხვა, 3. მორჩილება და შეურაცხება, ვითარცა ზემოთ სწერია ისთე. 4. ბრალობა თავისა თვისისა ყოველსა ზედა, თუ გინდ მართლად მიგაჩნდეს თავი, თუ გინდ – არა. 5. ტვირთვა ყოველთა შემაწუხებელთა საქმეთა, რომელი მოიწევიან მოყვსისაგან, თუ გინდ მართლად, თუ გინდ უმართლოდ, ვითარცა ზემოთ სწერია. 6. სიყვარული ყოველთა, რამეთუ ესენი მომატყვებელ იქნებიან მოთმინების გულისა. 7. მღვიძარება – ესე იგი უნდა იკმარო ძილი 4-5 საათი. 8. დამჭირვა თავისა თვისისა უქვეს ყოველთა დაბადებულთა. 9. მარადის ამ სათნოებათა ხსოვნა და წვრთა, ვითარცა ზემო სწერია, ისთე. 10. მარადის ვედრება ღვთისა მიმართ, რომ წარგიმართოს ამას შინა.

ზემო ვსთქვი, ერთხელ, სიყვარული ღვთისა, სიყვარული მოყვასისა, ვითარცა სთქვა მაცხოვარმან, არიან პირველი და მეორე მცნება და ესენი არიან სრულმყოფელ ყოველთა სათ-

ნოებათა. უკეთუ ზემო მოყვანილი ათი მუხლი და ის ორი მუხლი, რომელიც აწ ქვემო მეგულვების დაწერად, თუ ესენი პირველად არ შეიწყნარე, ესე იგი თუ ეს ათორმეტი მუხლი პირველად არა განახორციელე შენ შორის – მანამ მაცხოვრის ნაჩვენები ის ორი მუხლი არ განხორციელდება. ხოლო უკეთუ ეს ათორმეტი მუხლი განხორციელდეს შენ შორის, მაშინ – იხილე რანაირი ძალი და ნაყოფი გამოჩნდება შენში, ვითარცა სთქვა პავლე მოციქულმან: ნაყოფი სულისა არს სიყვარული, სიხარული, მშვიდობა, მყუდროება, მარხვა, მოთმინება. ეს პავლე მოციქულის ნაჩვენები სიტყვები არიან ნაყოფნი იმ სათნოებათა, ესე იგი იმ ნაყოფის გამომდებელ ათორმეტთა ედემის ხეთა, რომელ არიან ზემო და ქვემო წერებულ. ხოლო ხსენებული ორი მუხლი არის: 1. დაცვა ყურისა და 2. დაცვა თვალისა. ამ ათორმეტი მუხლის განხორციელებას, როგორც ზემო სწერია, ისთე მუდამ უნდა იწურთიდე – სანამდინ ვერ მიაღწევ.

ახლა მინდა ავხსნა, რა არის პავლე მოციქულის სიტყვები. ზემოხსენებული პავლე მოციქულის სიტყვანი არიან შრომის ნაყოფნი, იგივე ძალთა შეუხებელი. უკეთუ კაცმა იღუაწა ზემოწერებული ათორმეტი მუხლით, რაოდენიმე ხნის შემდეგ ოდნავ გამოჩნდების სიყვარული ღვთისა და კაცისა, მერმედ თანდათან იზრდება და განსრულდება; შემდგომად ამისა გამოჩნდება სიხარული, რამეთუ უხარის მას რომ ის ღირსი შეიქნა და შეიყვარა ღმერთი და მეგობარნი. ამის შემდგომ კაცი იქნება მშვიდი, მყუდრო, არავის აწუხებს, არავის მიაგებს მაგიერს, არავის შეაშფოთებს, გინდ მართლად, გინდ – უმართლოდ, არამედ ყოველსა მომავალსა ჭირსა, განსაცდელსა, იწროებასა, შეწუხებასა, შეურაცხებასა და დამდაბლებასა გინდ ეშმაკისაგან, გინდ ამხანაგებიდან, რომელნი მოიწევიან მის ზედა, იმას ითმენს სრულად, შეუწუხებელად, მხნეობით და ამას რქვიან მარხვა – მოთმინება – რომელ უკანასკნელ დაასახელა მოციქულმა და ესე არის იმ ათორმეტთა ნაყოფნი და უძლიერესნი ძალნი. ესეცა უწყოდე, რომ ვისაც სურს სწავლის შეწყნარება, პირველად უხმს, რათა აღასრულოს ვითარცა სწერია ისთე; ხოლო აღსრულებას ვერ შესძლებს მანამდი, სანამდინ ჭეშმარიტად არა რწმენეს უეჭველად სწავლა. ხოლო რომელსა უეჭველად რწმენეს სწავლა და სურვილი და მხურვალება, თუმცა აქვს სათნოებისა, მაშინ ხელს მოკიდებს; ხოლო როცა ხელს მოკიდებს, იმ წამსვე წინ დაუხთება ეშმაკი და არწმუნებს, რომ ეს სწავლა ტყუილი ყოფილაო, ესე იგი სათნოების მაგიერ, პირველად გამოჩნდება ვნება, სიყვარულის მაგიერ – სიძულვილი მოყვასთა, და უკეთუ მოღვაწე არ შეშინდა და განაგრძო მოღვაწება, მერმედ, რაოდენიმე ხნის შემდეგ, ეშმაკს ეკარგება ძალა და გამოჩნდება კეთილი ნაყოფი. მეორე ხერხი ეშმაკის ეს არის, რომ მოღვაწეს პირველად ნამეტანი გაუძნელდება და უკეთუ არ შეუშინდა, რაოდენიმე ხნის შემდეგ თანდათან გაუადვილდება და ბოლოს მთლად აღუსუბუქდება. ესეცა უწყოდე, რომ არ არის კაცი ქვეყანაზე, თუ სურვილი აქვნდეს მოღვაწეობისა, რო არ შესძლოს, თუ არ შეუშინდა. რა არის შეშინება? – შეშინება არის, რაჟამს კაცმან იწყოს საქმე და რო წაუხთეს – ჩემი საშველი არ ყოფილაო – და თავს დაანებებს. და უკეთუ დღეში ასჯერ წაუხთეს საქმე და მერმედ კიდევ განაგრძო მოღვაწება სიკვდილამდინ – მაშინ წარემატება და გამოჩნდება ძლევამოსილ. ამისთვის სთქვა ბერმან ვინმემ წმიდასა ბერსა: – რა ვქნა მამაო, უკეთუ დავეცე? ხოლო მან რქვა: – უკეთუ დაეცი, აღსდეგ. ხოლო ბერმან მან რქვა: – უკეთუ კულა დავეცე? კიდევ აღსდეგ – მიუგო წმიდანმა; ასთე უნდა განაგრძო უკანასკნელ სიკვდილამდე. და ამისთვის სთქვა მაცხოვარმან: „რომელში გნახო, იმაში განგიკითხოო“. მაშასადამე, ყოველმხრით გამარჯვება ჩვენია, უკეთუ არ დავანებეთ თავი მოღვაწებას, რაც უნდა არ წარემართოთ სათნოებაზე. ამისთვის თქმულ არს: დასი მონოზონთა მუდამ სძლევს ეშმაკსო. ხოლო ეს სიტყვა ეკუთვნის იმას, ვინც, რაც უნდა არ წარემათოს და დღეში თუ გინდ ასჯერ დაცემა მოხდეს, მაინც არ დასცხრება მოღვაწებისაგან მთელ მის სიცოცხლეში. ასეთ მოღვაწეს ჰქვია მებრძოლი. და ასეთი მებრძოლნი გამოჩნდებიან ღვთისმოყვარე და გვირგვინოსანნი, რომელსაცა თქვენ გისურვებთ, რათა ღირსგყოთ ღმერთმან თქვენ ესევითარი ცეცხლის შეწყნარების და გვირგვინისა, საოხად თქვენთა ნათესავთა და ჩემდა. ამ ერთსაც მოგახსენებთ:

ჩემი ნათესავია მონოზონი, რომელიც ეხლაც ცოცხალია, ერთხელ ძლიერ ავად გახდა და რაც ჰქონდა, ყველაფერი დახარჯა მის ავადმყოფობაში და ექიმბაშებმა ვერც იცნეს მისი სნეულება და ვერც მიეხმარნენ. ასე დიდხანს გაგრძელდა. ერთხელ მას ეს-ტუმრა ერთი უბრალო ბერი, ჩვენი ქვეყნისა. ბერმა უთხრა ავადმყოფს: – შენ ამპარტავანება მოგსვლია და იმისთვის არის, რასაც შენ იტანჯებიო და უკეთუ გნებავსა მორჩენა, ასთე მოიქეცი – როგორც მე ეხლა გეტყვიო და

მალე მორჩებიო: ყოლიფერი რაც გინდოდესო, მას ნუ იზამო, არამედ – პირველად სხვას ჰკითხეო, სთხოვეო და როდესაც ნებას მოგცემენო – მერმედ ქენიო, თითქმის ჭიქა წყალიც არ აიღოო და არ დალიოო, სხვის დაუკითხებელადო და შემდგომ კითხვისა და ნების დართვისა, დალიეო. დაკითხვა დაავალა ყველასთან, ვინც შეხდებოდა, დიდი თუ პატარა. კიდეცა ასთე მოიქცა ავადმყოფი და ერთი თვის შემდეგ ძველი ძალი და ღონე დაუბრუნდა. დღესაც არის ისთე. აწ დაუკვირდი, რა ყოფილა მორჩილება. წაიკითხე წმიდა დოროთეს წერილები და იქაც ნახო ამისთანები.

თქვენი სულიერი ძმა გრიგორი
1916 წ. ივლისი 10დღესა.

WERILIII

სულიერო დედაო სიდონია!

პირველად მოგიკითხავთ საღმრთო სიყვარულით, მერმედ ვსთხოვ ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს, რათა ეს სულიერი ცეცხლი, რომელიც თქვენს შინაგანში არის დაფუძნებული, ის უფრო მეტად გააჩაღოს თქვენს სულში და არა მოგაკლდეს. გთხოვთ, მომიკითხოთ ჩემი სულიერი დედა ევპრაქსია საღმრთო სიყვარულით, მასთან – თეკლა და ანეტაც. გარდა ამისა, თქვენი წერილი 25 ივნისს მივიღე და დანარჩენის არა რა ვიცი. მე თვით მინდოდა წერილის მოწერა თქვენთვის, მაგრამ, რადგან თქვენ ბევრ რამე იმისთანას ეძებდით ჩემგან, რომელიც არ იყო ჩემი საქმე, ამისთვის გეშალებოდით...

სხვა, ჩემს ამბებს თუ იკითხავ, მე დიდ ბრძოლაში შემიყვანა ეშმაკმა – დღეს კიდევ მის ტყვეობაში ვიმყოფები, მაგრამ ეხლა ქე ვარ დარწმუნებული, რომ ეს ბრძოლა ყოფილა ჩემთვის ბედნიერება. ამისათვის მრჩობლ სიხარულში ვიმყოფები. ვიცი, რომ ეს ბრძოლები არის ბეჭედი, თუ გინდ კვერთხი ჩემი ბერობისა, რომლის მეოხებით არა შევიძრა მე უკუნისამდე, უკეთუ აღდგომა მომელის. კითხვაზე: მომელის მე თუ არა აღდგომა? ვუპასუხებთ: ჰე, მწამს ღვთისა, რამეთუ მე აღვსდგე და არა შევიძრა მერე უკუნისამდე ძალითა ქრისტესითა რამეთუ ესე არს შემეცნიერება ღმერთკაცობისა...

ოდეს მაცხოვარი მიაკრეს ჯვარზე, მან სთქვა: „ესე არს დიდება ჩემი,“ ხოლო მოწაფენი დაიბნენ, რამეთუ დაბრკოლდეს მისსა მიმართ. ბევრი მაქვს ამის შესახებ სიტყვა, მაგრამ დავიდუმებ, რადგან გამიგრძელდება. მოკლედ ვიტყვი: ბრძოლის საიდუმლოს იცნობს ბრძოლით განკაფული კაცი, ხოლო დანარჩენები იქნებიან მსხვერპლნი განკითხვისა.

გარდა ამისა, თქვენ იწერებით სამოღვაწო კანონების შესახებ. კითხვა ჩემთვის გაურკვეველია – თქვენ რა გინდათ ჩემ მიერ. სხვაა მუდმივმოძღვრება და სხვაა ერთი დარიგება. თუ დარიგებას თხოულობთ – ეს დარიგება, რომელსაც თქვენ თხოულობთ, სამოღვაწეო კანონად უნდა დაიჭიროთ – ეს იგივე მოძღვრებაა. ეს მოძღრება მე არ ვიცი და რომ ვიცოდე, მაინც მე არა მაქვს ნაკურთხი ჩემი მოძღვრიდან. მოძღვრება არის უმაღლესი საქმე, როგორც შენ ჩემ მიერ ეძებ კურთხევას, გზის ჩვენებას, ისე მოძღვარსაც სჭირია მისი მოძღვრიდან კურთხევა; ისთე შრომა ნაყოფს არ გამოიტანს, პირიქით – რაცა ხარ, ის კიდე

მონოზონი სიდონია (ბაქრაძე) – წინა რიგში მარცხნიდან პირველი.

არ იქნები. უკეთუ შენ ჩემ მიერ მადლს ეძებ, მეც უნდა ვეძიო თქვენი მისაცემი მადლი ვინმესგან, უამისოდ ვიქნებით ჭურ ეშმაკისა. რადგან თქვენ ჩემთან ასეთი სარწმუნოება გაქვენ, მიუხედავად ჩემი ასეთი უღირსებისა, გაძლევთ პირობას, რომ თქვენ იქნებით ჩემი მოწაფე, უკეთუ მე მეღირსა მოძღვრების შენდობა მოძღვრიდან. უკეთუ თქვენ ასთე გწამთ, რომ თვინიერ მოძღვრის შენდობისა, მე ეს შემიძლია, ეს ძალიან საწყენი დარჩება ჩემთვის; იმისთვის, რომ თქვენ მიგიჩნევთ უგუნურად და უჭკუოდ. ხოლო სანამდინ მე ვიქნებოდე თქვენი მოძღვარი, მანამდინ ასთე იხლაფორთედ:

1, შენ ნებას ნურასოდეს ნუ იზამ საღმრთო საქმეზე. ესე იგი უკეთუ საცოდველ საქმეს არ გირჩევს, მუდამ მიუტევე შენი ნება შენს ამხანაგს.

2, არა ზრახვა სასოფლო საქმისა.

3, ხვალ რო ორშაბათი იყოს, ამეღამ ძილი ქვეჯდომით გადიხადე; ხვალ რო ოთხშაბათი იყოს – ამეღამ ასთე ქენი; ხვალ რო პარასკევი იყოს – ამეღამ.

4, საზრდელი მიიღე ჩვეულებისამებრ თვინიერ გაძღომისა – ესე იგი ერთი მეოთხედი გაკლდეს, რო გინდა ამიდგან.

5, ლოცვის კანონის მიცემას მე ჯერ ვერ გავბედავ, თავის დრომდინ. ზემო გწერთ ამის შესახებ, მიმართეთ სხვას ვინმეს მახლობელს.

ეს ზემოხსენებული 4 მუხლი არ მოიადვილო, არ დაიწუნო: ესენი არიან – გზა სამეუფო და ფრთე ზეცად აღმყვანი. უკეთუ ეს დაიწუნე. მაშვინ იქნები სხეულიანი.

6, დაიძინე ღამე 4 საათი და უკეთუ არ გეყო, შუადღე კიდე დაიძინე ერთი საათი.

აწ მშვიდობით, კეთილწარმატებებით

გწერთ თქვენი სულიერი ძმა გრიგორი
1919წ. ივლისი 29 დღესა

WERILIII

სიმდაბლით მოგიკითხავ ქრისტეს მიერ სულიერო დაო სიდონია.

გისურვებ ყოველს კეთილს, ღმერთსა ვსთხოვ, ყოვლადძლიერსა, მომნიჭებელს ყოვლის კეთილისა – გყოს გულისხმისმყოფელ ყოველსა ზედა. დაო სიდონია, მოციქული იტყვის

მონოზონი ეპრაქსია და მონოზონი სიდონია.

ქრისტესი: მღვიძარე იყვენით. უკეთუ იღვიძებდით – მპარავი ძნიად წარიპარავს საუნჯესა თქვენსა! დაო ჩემო, უკეთუ კრძალვით ხვიდოდე, არა ადრე წარსცე ფერხი; ყოველსა ზედამცა ხარ ფრთხილ; ყოველსავემცა დაითმენ, ვითარცა ქრისტემან შენთვის.

ვსცნათ უკუე, ჰოი სულიერო დაო, ვითარმედ, ცუდისაცა სიტყვისათვის, სიტყვისმიცემა თანაგვაც უფლისა და ღვთისა და შემოქმედისა ჩვენისადმი. ყოველსავე ზედამცა ხარ ზომიერ; ყოველსავე საქმესა და სიტყვასა შენსა წამებამცა აქვს წმიდათა წერილთა და თვინიერ მათსა, ნურარას ჰბრძნობ თავით თვისით, რამეთუ ყოველნივე ვსცთებით. რომელი სიტყვით არა სცთებოდეს, იგი სრული კაცი არს – იტყვის მოციქული.

მოგილოცავ ახალს ჯვარს. აბა, შენ იცი – გოლგოთამდე დიდი გზა გაქვს, იწრო. არ გაამპარტავნდე, მოიგონე, რამეთუ იუდა კრებულსა შორის მოციქულთასა იყო, და დედაკაცი იგი – რომელმან ფრიად შეიყვარა – კრებულსა შორის მეძავთასა იყო. შეიყვარე წმიდანი წერილნი და აღმოიკითხევდი მათ დღე და ღამე, რათა მათ მიერ განმტკიცდე. დაო ჩემო, უკეთუ ისუს ძესა ნავესსა, ეტყოდა, ვითარმედ ძველისა წიგნისა შესაქმეთათვის აღმოიკითხვიდეო წიგნსა ამას დღე და ღამე, რათა უმეტესად გულისხმაყოო – რაზომ ჩვენ, უსწავლელთა ამათ, გვეტყვის სული წმიდა, რათა ვიწრთიდეთ დღე და ღამე წმიდათა წერილთა, რათა უმეტესად გულისხმავყოთ.

იყავი ღვთისა სათნოდ. ღმერთი მშვიდობისა იყოს შენთან. ლოცვაყავ ჩემთვისაც.

1919 წ. 10 დეკემბერსა

WMIDA ALEQSI BERI (SUSANIA)

SWAVLA MONOZONTATVIS

ეცადე, რომ არ მიეჩვიო სხვების მხილებას და გასწორებას, შენი თავი კი დაგრჩეს უმხილებელი და გაუსწორებელი. დაუკვირდი შენ, ძმაო, რომელსაც გიყვარს სხვისი მხილება და გასწორება, და მოექეც თავსა შენსა და ნახე თუ როგორი ხარ შენ სხვისაგან მხილების დროს, გწყინს თუ არა? და აქედან ისწავე სხვისიცა, რამეთუ შენ თუ არ გიხარიან, არცა სხვასა უხარიან.

გარეშე შენდამი რწმუნებულისა არა გაქვს უფლება მხილებისა, თვინიერ სიყვარულით და სიმდაბლით მარტოდმყოფობაში სიტკბოებით მითხრობისა.

კაცსა მარადის სხვისა მამხილებელსა ფარულად აქვს დიდად თავისი მოწონება და ამპარტავანება, ხოლო რომელსაც შეეკრძალოს და შეეთვისოს თავისი უღირსების მხილება და ყვედრება, მას სხვებზედ არა აქვს სინდისი მამხილებელად, არამედ – ქვეშევრდომობა ყოველთა და მარად ხსოვნა თვისის სიყალბისა და ცოდვებისა ადუმებს მას. ჯერ შენ მიეჩვიე, ძმაო, სხვებისაგან მხილებას და სიხარულით შეიწყნარე გასწორება მათგან. და როცა ასე წარემართო და ეძიებდე გასწორებასა თავისა შენისასა, მაშინ გაქვს სიმართლე სხვებსაც ძმურად და სიმდაბლით გაუსწორო. როდესაც გამრავლდეს უღირსების ხედვა შენ შორის და სრული უძლურების სიგლახემ დაგასაწყლოს განსაცდელთა მიერ, მაშინ „ვითარცა ირემსა წყურინ წყაროთა მიმართ," ეგრეთვე შენცა მოგეწყუროს და ფრიად გსუროდეს მილტოლვად სულიერი მამისადმი და მინდობად მისდამი შენი საშიშარ მდგომარეობისა, რომელიც დაგიხატა და გაგაცნო უძლურების ცოდნამ, განსაცდელთა მიერ.

სულო ჩემო, ასი წელიც რომ იცოცხლო ამა ქვეყანასა ზედა და ბევრი რამ განსაცდელთა მიერ გამოხურვებულ იქმნე, მაშინაც ვერ იცნობ შენს სიმტკიცეს და გეშინოდეს, რამეთუ მებრძოლი ჟამსა არა ითვლის და ვითომ გამოცდილების სიბრძნით შენ არ მიეცე კადნიერებასა, რათა არა უგამოცდილესმან მტერმან გიპოვოს ჟამი და დაგცეს.

სულო ჩემო, სანამ მსოფლიო ხედვა არ დაგავიწყდება და მარადის ზეცის ხსოვნანი გონებასა შენსა არ აღამაღლებენ ქვეყანისაგან, მანამ უწყოდე, არა ხარ დამტოვებელი სოფლისა.

სულო ჩემო, სანამ ხორციელნი ზრუნვანი სმისა, ჭამისა, ვერცხლისმოყვარებისა და ნივთთა შეძენისა არ შეგძულდება, მანამ, იცოდე, არა ხარ თავისუფალი მონებისაგან მამონისა.

წმიდა ბერი ალექსი (შუშანია)

სულო ჩემო, სანამ სულის მჭმუნვარება სამარადისო, სულიერ მხედველად და გლოვა გულისა – სულთქმის საუნჯედ არ გამხდარა, მანამ განცხრომა და ნივთიერი ხედვა უფლებდეს გემოვნებით შენთანა;

ხოლო რაჟამს სულის მჭმუნვარება და გლოვა გულისა დაემტკიცოს შენში სამარადისო სულთქმით, მაშინ განცხრომა განქარდეს და მსოფლიო ყოველი განგეშოროს.

ვაი არს ჩემდა, რამეთუ ოცდაათი წელიწადი გავიდა, რაც სულიერ სკოლაში ვარ მოსწავლედ და ჯერ კიდევ ანბანის მეტი ვერა ვისწავლე რა.

ოხ! როგორ მტანჯავს წარმოდგენა წმიდანებისა, თუ ვითარ შეძლეს მათ გასწორება თავისა, დაძლევა ვნებისა და მიწდომა უვნებელობისა.

ოხ! ვითარ შეძლეს მათ ზვაობის და ამპარტავანების ძლევა, ვითარ დაიმონეს მუცელი და სოფელი, ან ვითარ ისწავლეს საღვთო დუმილი, ესე იგი უფარისევლო, უპირ-მოთნო, უმანკო და უზვაო ლაპარაკი.

ჰოი, ვითარ საკვირველ არს და ძნელად მისაწვდომელ ცხოვრება წმიდანებისა, რამეთუ კაცნი იყვნენ ხორცით შეკრულნი და უხორცონი განაკვირვნეს. და თუ გნებავს ცნობა ძლიერებისა მათისა, აღიღე საგნად ერთი რომელიმე ბუნებური ვნება შენს შორის დაბუდებული და ეცადე მის აღმოფხვრას, მაშინ ნახავ, თუ რა ძალა შეუმოსიათ წმიდანებს, ოდეს ყველა ბუნებური, ესე იგი ადამიანური ვნებანი აღმოფხვრეს და სძლიეს.

დავიდევ გულსა ჩემსა მიტევება თანანადებისა, რათა არა დახდეს მზე გულძვირობითა წყენასა ზედა ძმისასა. და განვიდა რა ათი წელი, რაც ვიბრძვი ამაზედ, რომლისათვის ურიცხვი საბრხე დამიგო მტერმან და ყოვლის ღონისძიებით მეკვეთა ბოროტი სული გზისა ამის დახრწევად და თუმცა ჰე ძალითა ქრისტესითა არა მახსოვს, თუ მცირე შეშფოთების გარდა, ერთი ან ორი საათის შემდეგ დადგრა ძვირისყოფად ძმისადმი წყენა გულსა ჩემსა. გარნა ღმერთმან უწყის სისრულით უძლე თუ არა წარმართება ქრისტეს მიერ. ამისთვის განდიდდა ჩემში სიყვარული წმიდანებისადმი და ნატვრა, თუ ვითარ შეძლეს მათ აღსლვა უვნებლობისადმი! ოხ! აღსავალო გამაღმერთებელო სულისაო!

სულო ჩემო, შეუძლებელია პოვო მშვიდობა აღშფოთებასა ზედა წყენისასა, უკეთუ არა აბრალო თავსა შენსა, რამეთუ თვინიერ თავის ბრალობისა, განრისხება განრისხებასა ზედა გაშფოთებდეს უმეტესად; და უკეთუ აბრალო თავსა შენსა, ან ცოდვათათვის შენისა მოწევნულად, გინა სხვებრ, მყისვე დაყუდდეს და დაწყნარდეს ღელვა გულისა.

შენს უფლებაშია, სულო ჩემო, სიფიცხის დათრგუნვა: საგანს გინდა განადიდებ და გინდა დაამცირებ, მით, რომ რაც გინდ მცირე წყენა იყოს, თუ გაადიდე გულში, უეჭველად აღგაშფოთებს ძლიერად; აგრეთვე რაც გინდა დიდი იყოს წყენა, თუ არა რად ჩააგდე, დამცირდება იგი და აღგისუბუქდება მოთმინება.

სულო ჩემო, თუ იესოს მოწაფე ხარ, ისწავლე მისი მაღალი სიმშვიდე საქმით, თორემ სახელის დება მარტო რას გარგებს?

სულო ჩემო! თუ აღიარებ, რომ გრწამს და ემორჩილები სახარებას, მაშ იმაში წერილ ქრისტეს მოძღვრებას დაემორჩილე, თორემ ურწმუნოთა თანა შეირაცხები და უმეტეს ურწმუნოთა განკიცხული გამოჩნდები, ოდეს ბოროტის წილ ბოროტსა მიაგებ და მაგინებელთა შენთა მოიძულებ.

სულო ჩემო, თუ შენ არ მოინდომებ და წყენის დროს არ გამოიჩენ გულადობას, რათა სძლიო აღშფოთებასა, ისე, წიგნების კითხვამ მარტო, შენ ვერ გიხსნას სულის დამამხობელი სიფიცხლისაგან და ვერცა მოძღვარმან გარგოსრა; ამისათვის საჭიროა ეომო გულსა შენსა და სილაღე დაამდაბლო და სულის ძლიერებით შეიმოსო.

სულო ჩემო, მიზეზების ძებნა თავის გასამართლებლად ცთომაა, რამეთუ სიფიცხლე და შურისძიება ყოველი სიმართლის საფუძველისაგან მოკლებულია და მიზეზიცა ცრუა, რადგან წოდება შენი მოითხოვს მოთმინებას და მტრისა შეყვარებას.

სულო ჩემო, რაც უნდა სიმართლე გქონდეს, თუ ძმისაგან შეურაცხყოფა და წყენა არ მოითმინე, არა გაქვს ნაწილი იესოსთანა და სახარების მადლისაგან შორს დარჩები.

სულო ჩემო, არ მოსტყუვდე, კარგად დაუკვირდი, რათა გონებდე ქრისტეს მოწაფეობას, და სრულიად განდგომილი კი იყო მის მოწაფეობისაგან მით, რომელ გარეშე სახარებისა რბი და მოძღვრებანი მისნი შენ შორის არ სრულდება.

ძმაო! ხომ გესმის შენი დღიური ლოცვა: „მომიტევენ ჩვენ თანანადებნი ჩვენნი, ვითარცა ჩვენ მივუტევებთ თანამდებთა მათ ჩვენთა“. ამ ლოცვას აქვს ორი ძალა: ერთი ცხოვნებისა და მეორე წარწყმედისა. ეს ლოცვა ზოგსა აცხოვნებს და ზოგიერთსა დასჯის. უმრავლესნი პირნი, ამ ლოცვის მთქმელნი, სთხოვენ ღმერთსა თავის დასჯას. ნუ გაიკვირვებ,და თუ ვითარ არს ესე, მოგახსენო: შურიანი და მტერობის მიმდევარი და ძმის მოძულე კაცი,როცა ლოცულობს ლოცვასა ამას, მაშინ იგი სწორედ თავის დასჯას თხოულობს ღვთისაგან,მით, რომ ევედრება ღმერთსა: როგორც მე ჩემ ძმას, შემცოდეს, მივუტევებ დანაშაულობას, ისე მომიტევეო; ესე იგი, მე როგორც ვეპყრობი ჩემდამო დამნაშავეს, მეც ისე მომეპყარიო. აი, თავის დასჯისათვის უგულისხმო თხოვნა. შენ გეტყვი, შურიანო ძმაო და მოყვასის სიძულვილით აღვსილო, შენ ხომ გინდა შენი დამნაშავე დასაჯო, მოიძულო და ნაცვალი მიაგო და ღმერთსა ევედრები, მეც ისე მომაგეო,როგორც მე ვექცევი ჩემს დამნაშავესო. ხომ ხედავ, ძმაო, თუ ვითარ შენს წაწყმედას, გინა დასჯას ევედრები ღმერთსა. გულისხმა ჰყავ და განეკრძალე, რათა არა ლოცვა შენი მოიქცეს შენდა დასასჯელად,არამედ მიუტევე და მოგეტევოს, შეუნდევ და შეგენდოს, ნუ მიაგებ ბოროტსა, და არ მოგეგება შენი ცოდვების მაგიერი – და ესე არს საღმრთო ძალა მეორე,ლოცვისა ამის,რომელიც მოგაგებს საუკუნო ნეტარებას.

ეცადე, ძმაო, გულის ძლევას, რომ შეურაცხმყოფელი არ მოიძულო, თორემ ქრისტეს მორჩილი არ იქნები და ვინც ამას ვერ ძლევს, იგი უსათუოდ მონა იქმნება მარადის გულძვირობისა და ლოცვა მისი შეუწყნარებელი დარჩება.

არა არს არც ერთი სათნოება ისე მაღალი და კაცის დამაგვირგვინებელი და გამწმედელი, როგორიც არის შეურაცხმყოფელის და მტერის სიყვარული.

ჰოი, სანატრელი ესე ძლევამოსილება, რომელიც ანგელოზთაცა აკვირვებს.

ეს ძვირფასი ძლევამოსილი სათნოება იმას ექნება, ვისაც გულისსიღრმით ცნობილი აქვს თავისი უღირსება და მისდევს შინაგან მაღალ,სიმდაბლეს ქრისტეს მიბაძვით.

სიბრძნე ზეციერი ნაყოფობს (ნაყოფს გამოიღებს – რედ.) შეურაცხმყოფელთა არ მოძულებით; ხოლო სიბრძნე ქვეყნიერი ნაყოფობს მაქებელთაგან.

ნეტარ არს კაცი იგი, რომელმან სისრულით გაიგო თავისი უმტკიცობა და ღრმად იცნა სიგლახე ბუნებისა მისისა, მან არაოდეს მოიგონოს ძალა თვისი და არცა მიენდოს ძლიერებასა თვისსა,არამედ, ვითარცა მართვე ბუდესა ზედა პირგაღებით შეჰყურებს მშობელსა მისსა, ეგრეთვე ღრმად მცნობელი სისუსტისა თვისისა, შეყურებს ღმერთსა და ითხოვს მისგან მარადის შეწევნასა, რადგან ეშინის თვისი ბუნებური უმტკიცობისაგან.

არის დრო, როცა გრძნობ დიდ ძლიერებას და გულმხურვალებით ამტკიცებ შენს შეუძვრელობას. და მაშინ შეუორგულებელად, მსგავსად დავითისა, შენცა გეტყვის გული: „არა შევიძრა მე უკუნისამდე“, მაგრამ ეს უძლურების უცნობელობით გულის ამაღლებაა დროებითი საღვთო ცეცხლისაგან, თორემ მოვა დრო, როცა მსგავსადვე დავითისა, დაარღვევ შენს წინანდელს მტკიცე აღნათქვამს და იტყვი: „განმეგდებულ ვარ მე პირისაგან უფლისა.“

განკითხვასა ძმისასა დაადუმებს და განაქარვებს გლოვა თვისი უბადრუკებისა, რამეთუ რომელმან ზედმიწევით იცოდეს თვისი უბადრუკება, მან დაადუმოს ენა თვისი სხვების განკითხვად, ვინაიდგან საშიშარსა გზასა წინამდებარესა სჭვრეტს, რომელიც აღსავსეა საბრხითა, და ღონე კაცობრივი მას არ ეხმარების, უკეთუ არა დაიცვას უფალმან.

ყოველი გულისსიტყვა,კეთილ საქმეთათვის აღმოცენებული, რომელიც გირჩევდეს ქმნასა რომელიმე საქმისათვის, მყისვე ცაშიდ აღამაღლე და უჩვენე უფალსა და მას შესთხოვე, რათა უმჯობესი განაგოს. არს თუ არა ესე ნება მისი, თვინიერ ამისა ნუ მიჰყოფ ხელსა, ოდეს მოძღვარი ახლო არა იყოს, რათა არა აღეშენოს შენში ძეგლი თავისი მინდობისა და უკანასკნელ – იქმნას დაცემა დიდი.

საღმთო მარჯვენა შთაიბეჭდე გულსა შინა შენსა მტვირთველად მარჯვენისა შენისა, რომლითა შენ რონინებ ღრუბლითი-ღრუბლად სულიერსა მას უფსკრულსა მრავალმღელვარე ბუნებისასა და უკეთუ

განგიტეოს ხელისაგან მისისა, რბიოდე შენ ქვესკნელად.

ვაი ჩვენს უგულისხმოებას, რა ფიცხლად ვსჯით ძმის შეცდომას და მწარედ განვკიცხავთ და იმას არ ვიგონებთ, რომ ზოგიერთ საქმეში ჩვენზე უფრო პატიოსანია.

თავსა ჰგონებ წმიდა კაცად და მეძავსა ძმასა განიკითხავ ფიცხლად, ხოლო ხარ ანგარი, ძუნწი და უწყალო. ხოლო ძმა იგი არის უპოვარი და მოწყალე, რომლისათვის თქმულ არს: „ნეტარ არიან მოწყალენი, რამეთუ იგინი შეიწყალნენ“. შეიწყალნენ მით, რომ მოწყალების ძალით მისცა ღმერთმან ბოლო სინანულისა და მოსპო ცოდვა და განიწმიდა. ხოლო ანგართა და უწყალოთა ქალწულთა დაეხშა სასძლო კარი.

ხშირად განიკითხვიან ნაყროვანნი და მემთვრალენი მმარხველისაგან, მაგრამ შეიძლება მმარხველი იგი შურითა და სიძულვილითა უფრო მთვრალი იყოს, ხოლო ძმა იგი თავისუფალ სენისა ამისგან.

ასე, თითოეულ საგანში, რომლითა განიკითხვის მოყვასი ჩვენგან, შეიძლება მეორითა და სხვითა საქმითა უფრო მაღლა იდგეს ხარისხი მისი, ვიდრე ჩვენი. მეღამურა ბნელში უფრო ხედავს. განეკრძალე, საწყალო სულო ჩემო, არ მოემსგავსო მას სიბნელის ხედვაში, რომელ არს ნაკლულევანებისა შენისა დავიწყება, გინა დაფარვა და ძმისა ცოდვის გამოკვლევა და ხედვა. ვინ დამადგინა მე მსაჯულად ცოდვილებისა, რადგან მათი ცხოვნება და წარწყმედა ჩემს უფლებაში არ არის, მაგრამ უგულისხმოება და უმეცრება ბუნების სისუსტისა მაცდენს მე და მავიწყებს მას, რომ თვინიერ ბუნების შემოქმედისა მე არა რა ძალმიძს კეთილი. დღეს ბრწყინვალე დღეა და მზე ანათებს ქვეყანას, ხვალ ღრუბელმან დაფარა მზე და სასტიკი სეტყვით მოოხრდა ბაღი და ზეგ ისევ განათლდა დღე. ესე ყოველი მოვლენაა მაღლისაგან. მაშ, წმიდანი და ცოდვილნი ცვალებადნი არიან და მხოლომან ღმერთმან უწყის მათი ბოლო აღსასრული. მაშ, დიდი ბრძენი იგი არს, ვინცა მარადის თავის შინაგან ცუდთვისებასა და ნაკლულევანებასა იკვლევს და ასწორებს, რომლითგან განთავისუფლებას ეძიებს და ისწრაფის საღმრთო მადალ ხარისხის აღსავალად. რა ეშველება ზვაობას? – მოძღვარო, შენ გეკითხები, რა ეშველება ამპარტავნობას? მაგრამ რა უნდა მითხრა, რომ არ არის საშველი ამისი, თუ არა მხოლოდ – ღმერთი.

ქვეყანა – ეს სიბრძნეა ღვთისა და ცხოვრება მას შინა გამოსაცდელია და სავაჭრო კაცისა, რომელიც შეადგენს ღმრთის მცნების მორჩილებით დიდებასა კაცისასა, ხოლო ღვთის ურჩთა და მცნებათა შეურაცხმყოფელთათვის – სასჯელსა სამარადისოსა.

ამისთვის ვეტყოდე სულიერთა ძმათა ჩემთა, რომელთა შეიგნეს სიბრძნე ღვთისა მიერ ქმნული და სივლტოლვით ივლტოდენ სოფლისა ამის თვალთმაქცობისაგან და მოიძულეს ხორცთა ნებანი, აღსასრულებელად ღვთის საიდუმლოებითი მადლისა, ამათ ვეტყვი, რათა პირველ გამოსვლისა თანა ნუ იწყებენ ქადაგებათა და მოძღვრებათა, რამეთუ არა იცი, ძმაო, ჯერ ჭეშმარიტება გზისა მის მით, რომ საგანში გამოცდილება საქმით არ მიგიღია, იმაში მსჯელობა შენი სიცრუვეა და ცთომილება; რამეთუ რომელი გზით არ გივლია, იმ გზის გარემოებაცა ჭეშმარიტებით არ იცი; არა იცი, თუ სად ხნარცვია, სად კაპანი და რავდენი მთა და ჭალაკია, და სად უნავო მდინარე გასავალია და სად – უდაბური ტყეა მრავალ მხეცებით და ავაზაკებით სავსე. მართალია, გაგიგონია და გზის აღწერილობა წაგიკითხავს, მაგრამ ცარიელი უსაქმო სმენა შენთვის ჯერ ქართა ბერვაა. ჯერ სცადე შენ, საქმით გაიარე ის საშიშარი და მრავალძნელოვანი ვიწრო გზა, მიმყვანებელი სასუფეველად და იხილე ჭირი მაშვრალობითა და მას შინა კვეთებანი მებრძოლთა ავაზაკთაგან და ოდეს მიიღო ძლევამოსილება გამოცდილებითა საქმისათა, მაშინ მოგვითხარ ყოვლადსაჭირო და ჩვენთვის ფრიად საყურადღებო მოგზაურობა შენი. ხოლო სარწმუნოა ისიცა, ოდეს საშვალსა გზისასა მიაღწიო, მაშინაც მოგვითხრა შენი შრომით დანახული გზისა გარემოება.

EPISKOPOSI PETRE (KONWOSVILI)
1836-1909

ეპისკოპოსი პეტრე (კონჭოშვილი)

ყოველი ქართველის საღვთო მოვალეობაა, არ დაივიწყოს თავისი ქვეყნისა და ეკლესიისათვის თავდადებული და უმწიკვლო პიროვნებები. სწორედ ასეთთა რიცხვს მიეკუთვნება ეპისკოპოსი პეტრე კონჭოშვილი.

მისი გვარი, საკმაოდ იშვიათია და ყვარლის რაიონის სოფელ საბუედან მომდინარეობს. ამ გვარის პირველი ხსენება ჩვენ 1801-1802 წწ. კახეთის მოსახლეობის აღწერილობაში დავაფიქსირეთ. ორი ძმა: ივანე და გლახა კონჭოშვილები იოანე ნათლისმცემლის მონასტრის ყმები ყოფილან. დღესდღეობითაც, ამ გვარის ყველაზე მეტი წარმომადგენელი საბუეში და ყვარელში სახლობს.

პეტრე კონჭოშვილი დაიბადა სოფელ საბუეში, 1836 წელს. მამამისი, დავითი, საბუის უძველესი ეკლესიის, იოანე ნათლისმცემლის მღვდელი იყო (გარდაიცვალა 1846 წელს); მისი დედა მარიამი კი, 1859 წელს გარდაიცვალა. ოჯახში ოთხი შვილი იზრდებოდა: მათე, პეტრე, სოლომონი, მელანია. ამ უბრალო, ქართულ ოჯახში ძლიერად იგრძნობოდა თვითნებადი, ხალასი ნიჭი და ღმრთისა და სამშობლოს სიყვარული. პეტრეს უფროსი ძმა მათე (რომელიც, დედის მხრივ, დიდ პაპად ეკუთვნის ამ სტრიქონების ავტორს), ასევე ღმერთის და ეკლესიის სამსახურში იყო და იგიც იოანე ნათლისმცემლის ეკლესიაში მედავითნეობას ეწეოდა. ასეთ გარემოში იზრდებოდა პატარა პეტრე. 1899 წელს, იმ დროს დეკანოზი პეტრე კონჭოშვილი წერდა: „სიყრმიდგან ჩემიდგან, რაც კი თავის ცნობაში მოვსულვარ, რაც კი ჩემ საყვარელ მშობელთაგან შემისწავლია პირჯვრის გამოსახვა და შევიძელ ხსენება და გამოთქმა სახელისა ყოვლად ტკბილისა უფლისა იესო ქრისტესი... იმ დროიდან, მარადჟამს ჩემთვის სანატრელი შეიქმნა მიმოხილვა და მოლოცვა წმინდა ადგილთა...“ ეს ნატვრა მამა პეტრემ მართლაც აისრულა და ქართულ სამოგზაურო-სასულიერო ჟანრს შესანიშნავი წიგნიც შესძინა – „მოგზაურობა წმინდა ქალაქს იერუსალიმს და წმიდა ათონის მთაზედ“ (1901).

პეტრე კონჭოშვილმა დაამთავრა თელავის სასულიერო სასწავლებელი და თბილისის სასულიერო სემინარია. თანდაყოლილი ნიჭის წყალობით, შესანიშნავად შეითვისა წმიდა წერილი, ქრისტიან მამათა ნაწერები, საქართველოს ეკლესიის ისტორია და ღრმად შეისწავლა რამდენიმე უცხო ენა, მათ შორის, რუსული და სლავური.[1] ყველაზე მეტად მას მაინც მშობლიური ქართული ენა უყვარდა. მთელი სიცოცხლე, მეუფე პეტრე სწორედ ქართული ენისა და საქართველოს ეკლესიის უფლებების დასაცავად იღწვოდა; ამიტომაც ისმის გულიდან ამოძახილივით მისი სიტყვები: „მშობლიურ ენაზე უტკბესი, ხომ არა რომელიმე სხვა ენა იქმნების“-ო.

XIX ს-ის 60-იანი წლების დასაწყისში მამა პეტრე დაოჯახდა. მისი მეუღლე გახლდათ მართა მახვილაძე,[2] რომელმაც საოცარი ერთგულება და თანადგომა გაუწია სახელოვან მოძღვარს. სამწუხაროდ, მართა ადრე გარდაიცვალა, 1896

წელს. იგი ვაკეში, იოანე ღვთისმეტყველის ეკლესიაში დაკრძალეს. მართას, მამა პეტრესთან ერთად, დიდი ღვაწლი მიუძღვის ისტორიულ ჰერეთში (საინგილოში) ქართველების აღზრდაში. პეტრე კონჭოშვილისა და მისი მეუღლის მოწაფე იყო ცნობილი ისტორიკოსი, მოსე ჯანაშვილი. ამგვარად, თავისი მოღვაწეობა პეტრე კონჭოშვილს ჰერეთში, სოფელ კახში დაუწყია. XIX ს-ის 60-იანი წლების შუა ხანებში კი, შიდა ქართლის მთიან რეგიონში, ჯავაში გადასულა.[3] მამა პეტრე კეთილმოწესის (ბლადოჩინის) თანამდებობასაც ასრულებდა. საინტერესო ფაქტია, რომ მამა პეტრე ჯავაში მოუნახულებია განთქმულ ისტორიკოსს დიმიტრი ბაქრაძეს, რომელიც იმ დროის სასულიერო განათლების კერების ინსპექციით იყო დაკავებული. მამა პეტრეს იგი უწოდებს ერთ-ერთ ყველაზე „ნიჭიერსა და სანდო“ მოძღვარს მათ შორის, ვინც კი ამ რეგიონში ნახა.

1868 წლიდან პეტრე კონჭოშვილი თბილისში გადადის სამოღვაწეოდ. აქედან მოყოლებული, 35 წელიწადი იგი ამიერკავკასიის ქალთა სასწავლებელში საღვთო სჯულს უკითხავდა კეთილშობილი წარმოშობის გოგონებს. როგორც ჩანს, სწორედ აქ ასწავლიდა იგი ნიკო ნიკოლაძის მეუღლეს, ოლგა ალექსანდრეს ასულ გურამიშვილს, რომლისთვისაც, მოგვიანებით თავისი „მოგზაურობის“ წიგნი მიუძღვნია ასეთი წარწერით: „სულიერს შვილსა, ყოფილს მოწაფესა, აწ სამაგალითო დედასა და მამულის მოყვარესა, ოლგა ალექსანდრეს ასულსა ნიკოლაძისას, შობილს კნიაჟნას გურამიშვილსა. სახსოვრად, პატივისცემით – სულიერის მამის – ავტორისაგან. 15-ს ენკენის თვესა 1901 წელსა.“[4] ოლგა გურამიშვილი, ილიას მეუღლის (ასევე ოლღა გურამიშვილის) ახლო ნათესავი და მისი ნათლულიც იყო.

გაზეთი „დროება“ წერდა, რომ საღვთო სჯულის სწავლებასთან ერთად, მამა პეტრე მტკიცედ იბრძოდა ქართველი მოწაფეების დასაცავად, მრავლადმოღვაწე რუსიფიკატორი სასულიერო პირებისაგან. თუმცა, პეტრე კონჭოშვილი ხშირად ჩიოდა თურმე, რომ ქართველი სამღვდელოების სხვა წარმომადგენლები სათანადოდ ვერ უჭერდნენ მას მხარს და ხშირად ის უმცირესობაში აღმოჩნდებოდა ხოლმე. ამ პერიოდშივე დეკანოზი პეტრე კონჭოშვილი აქტიურად ებმება საზოგადოებრივ ცხოვრებაში. სასულიერო საკითხებზე წერილებს აქვეყნებს იმდროინდელი პრესის სხვადასხვა ორგანოში („მოამბე“, „ივერია“, „კვალი“ და ა.შ.). ასევე, იგი უანგარო ქველმოქმედებას ეწევა. სოფელ საბუეს იოანე ღვთისმეტყველის ტაძარს მან ძვირფასი საეკლესიო აღჭურვილობა აჩუქა, ხოლო სოფელ აწყურში (ახმეტის რ-ნი), თავისივე სახსრებით აგებულ პატარა ეკლესიას, სახარება და ბარძიმ-ფეშხუმი გაუგზავნა. ამავე ეკლესიის ეზოში, სხვა მოღვაწეებთან ერთად, პირველი სახალხო „წიგნთსაცავიც“ (ბიბლიოთეკა) დააარსა. საინგილოს სოფელ კახის ქალთა სკოლას, სადაც მისი ძმისშვილი სოფიო კონჭოშვილი-ყულოშვილისა მოღვაწეობდა (მისი სახელი დღესაც კარგად ახსოვთ და პატივს სცემენ ჰერეთის ამ კუთხის მცხოვრებლები), მამა პეტრემ ათეულობით ძვირფასი წიგნი შესწირა.

პეტრე კონჭოშვილმა ანდერძშიც არ დაივიწყა მშობლიური საბუე და იქ ეკლესიის ასაგებად 6000 მანეთი დატოვა, სხვათაშორის, მის ანდერძში სხვადასხვა თანხაა გამოყოფილი თითქმის ყველა ქართული საქმისათვის: მოსწავლეთა სტიპენდიებისთვის, საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისათვის და ა. შ.

1905 წელს, უკვე მხცოვან მოძღვარს ალავერდის ეპისკოპოსად ხელი დაასხეს. ეს 1905 წლის 13 ნოემბერს მოხდა. აღსანიშნავია, რომ ეპისკოპოსად ხელდასხმიდან სულ სამი დღის შემდეგ (1905 წ. 16 ნოემბერს), მეუფე პეტრემ ხელი მოაწერა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის პეტიციას (სამ ქართველ მღვდელმთავართან ერთად). თავისი ურყევი პოზიცია საქართველოს ეკლესიის თვითმწყემსობის აღდგენის საქმეში, მან ნათლად გამოხატა 1906 წელს გაზეთ „ცნობის ფურცელში“ მოთავსებულ განცხადებაშიც: „საღმრთო ვალად ვრაცხ, გამოვაცხადო საჯაროდ, წინაშე ქართველი ერისა, რომ მე გულითადი, მხურვალე მომხრე ვარ საქართველოს (ეკლესიის) ავტოკეფალიის აღდგენისა!“ – წერდა ის.

1906 წელს მეუფე პეტრე დროებით ასრულებს იმერეთის ეპარქიის მმართველის მოვალეობას (ეპისკოპოს ლეონიდეს პეტერბურგში გამგზავრებასთან დაკავშირებით). ქუთაისში ჩასვლისთანავე, მეუფეს პირველ რიგში, გუბერნატორისთვის მოუთხოვია,

შეეწყვიტათ ქალაქის აწიოკება და გადაწვა, რაც ახლადგაჩაღებულ რევოლუციას უკავშირდებოდა. აღსანიშნავია აგრეთვე ის, რომ პეტრე კონჭოშვილმა, როგორც იმერეთის ეპარქიის მმართველმა, პერსონალურად გასცა ნებართვა დაბეჭდილიყო მელიტონ კელენჯერიძის პოლემიკური წიგნი: „სიმართლე ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ“ (რუსულ ენაზე). ავტორმა ვინაობის გამჟღავნება არ ისურვა და წიგნი დაიბეჭდა „ტონკმელისის“ ფსევდონიმით. ამგვარად, მთელი პასუხისმგებლობა წიგნზე, რომელშიც დასამარებული იყო რუსული ოფიციოზის საეკლესიო პოლიტიკა საქართველოს მიმართ, ცენზორმა, ე.ი. მეუფე პეტრემ აიღო თავზე.

1908 წელს კი მეუფემ კიდევ ერთ დიდ საქმეს შეასხა ხორცი. მან შეასწორა და საკუთარი საფასით გამოსცა დიდტანიანი, ხუცურად დაბეჭდილი „სამღვდელმთავრო კონდაკი“ (წიგნის შესავალში პეტრე კონჭოშვილი მადლობას უხდის თანამშრომლობისათვის იმხანად დეკანოზს, კორნელი კეკელიძეს და იმხანად მღვდელს, კალისტრატე ცინცაძეს).

ცოტა ადრე პ. კონჭოშვილმა რუსულიდან თარგმნა პ. სმირნოვის „მართლმადიდებელთა სახელმძღვანელო („კატეხიზმო“), რომელსაც ქართულ პრესაში დადებითი რეცენზიებით გამოეხმაურნენ.

მეუფე პეტრე აქტიურად თანამშრომლობდა ქართული გალობის აღმდგენ კომიტეტთან. ამასთანავე, ერთმანეთს ადარებდა და ასწორებდა ძველი აღთქმის ქართულ ვერსიათა გამოცემებს და ამზადებდა მათ ახალი გამოცემისათვის. მეუფე პეტრე იყო აგრეთვე საქართველოს საეგზარქოსოს საოლქო სასწავლო საბჭოს თავმჯდომარე; სვეტიცხოვლის აღმდგენი საზოგადოების ჯერ წევრი, ბოლოს კი - თავმჯდომარე და ა. შ.

პეტრე კონჭოშვილის შემოქმედების ბრწყინვალე ნიმუშია იერუსალიმსა და ათონზე წიგნი, რომელიც, როგორც აღინიშნა, 1901 წელს დაიბეჭდა თბილისში (გამოცემას ახლდა წმ. მიწის საილუსტრაციო შესანიშნავი 16 ლითოგრაფია). გადასახლებაში მყოფ ეპისკოპოს კირიონ საძაგლიშვილთან მიწერილი მისი წერილები ცხადყოფენ, რომ 1901 წლის შემდეგ, პეტრე კონჭოშვილი ცდილობდა მეორედ, შევსებული სახით გამოეცა „მოგზაურობის“ წიგნი, მაგრამ სამწუხაროდ, მის განზრახვას აღსრულება არ ეწერა.

პეტრე კონჭოშვილმა იერუსალიმსა და ათონის მთის ეკლესია-მონასტრების გარდა, მხურვალედ მოილოცა სმირნის (იზმირის) იოანე ღვთისმეტყველის ეკლესია, კიევო-პეჩორის ლავრა და სხვა მრავალი ეკლესია-მონასტერი. რას ეეედრებოდა იგი უფალს?! ალბათ, დაბეჯითებით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ღმერთს იგი მშობლიური ეკლესიის, ხალხის, მამულის სიცოცხლესა და აღორძინებას შესთხოვდა! 1909 წლის მარტში, როდესაც გადასახლებაში მყოფმა წმიდა მღვდელმთავარმა კირიონმა მისი უახლოესი მეგობრის, მეუფე პეტრეს გარდაცვალების ამბავი შეიტყო (მეუფე პეტრე იმავე წლის 5 თებერვალს გარდაიცვალა), ტარასი კანდელაკს მისწერა: „ერთი პატიოსანი ქართველი მოღვაწე კიდევ მოაკლდა საქართველოს, ვიღა დაიჭერს პეტრეს ადგილს?“

ჩვენი ვალია კიდევ ერთხელ მოვიგონოთ ეს შესანიშნავი მოძღვარი, რომელიც ალავერდის დიდებულ ტაძარში განისვენებს; თითქოს მასზე თქვა პავლე მოციქულმა: „ამიერითგან მომელის მე სიმართლისა იგი გვირგვინი, რომელი მომცეს მე უფალმან...“ (ტიმოთეს მიმართ, 4.8.).

შენიშვნები:

1. მისი ნაქონი სრული სლავური ბიბლია (1863 წელს მოსკოვში გამოცემული), დღეს ალავერდის ტაძრის სიძველეთსაცავში ინახება.

2. შემონახულია მართა მახვილაძის ერთადერთი ფოტო. იგი გამოვაქვეყნეთ კრებულში „ალავერდის ეპარქიის ფურცლები“ (თბ. 2007, გვ. 85), ხოლო დედანი გადავეცით ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს.

3. ასეა მითითებული გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნებულ ნეკროლოგში, მაგრამ ანტონ ნატროშვილის პატარა შენიშვნაში, რომელიც 1905 წლის საქართველოს საეგზარქოსოს სასულიერო უწყების №21-22-ში გამოქვეყნდა, აღნიშნულია, რომ პირიქით, მამა პეტრემ მოღვაწეობა შიდა ქართლში ე.წ. სამხრეთ ოსეთში დაიწყო და 1865-1868 წლებში კი, საინგილოში გადადის. ამგვარად, საკითხი მოითხოვს დამატებით დაზუსტებას.

4. „მოგზაურობის“ ეს ეგზემპლარი, ამ წარწერით დღესდღეობით საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკაში ინახება. მასზე მიგვითითა ბატონმა ზურაბ გაიპარაშვილმა, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ.

გამოყენებული ლიტერატურა:

• გიორგი ბოჭორიძე, კახეთის აღწერა 1801-1802 წლისა, ჟურნალი „საქართველოს არქივი“, წიგნი III, ტფილისი, 1927, გვ. 173.

• მოსე ჯანაშვილი, მართა კონჭოშვილი (ნეკროლოგი), „ივერია“ №28, 1896 წ., გვ. 3.

ვაჟა კიკნაძე

ისტორიის მეცნიერებათა

დოქტორი, პროფესორი

QARTVELI HIMNOGRAFI QALI
(MARIAM-MAKRINA BAGRATIONI)

მართლმადიდებელი სამყარო სასულიერო მწერლობის დარგში – ჰიმნოგრაფიაში, ქალის მონაწილეობის ორ მაგალითს იცნობს: ეს არის IX საუკუნის ბიზანტიელი ქალი კასია ან იკასია, მეორე მაგალითს ქალის მონაწილეობისა ჰიმნოგრაფიაში იძლევა მარიამ-მაკრინა ბაგრატიონი. მარიამ – მაკრინა ბაგრატიონის მოღვაწეობა ქართველ მეცნიერთა ერთ-ერთი კვლევის საგანია.[1] ჩვენთვის ცნობილი გახდა მისი მოღვაწეობისა და წარმომავლობის შესახებ. მარიამი იყო შვილი ერეკლე I-ისა და დედოფალ ანასი. თავის მხრივ ერეკლე I გახლდათ შვილიშვილი თეიმურაზ I-სა. აქედან გამომდინარე, მარიამ-მაკრინა შთამომავალია დიდმოწამე ქეთევანისა და თეიმურაზ I-ის შვილის, დათუნას, მემკვიდრეა. მარიამის მამის, ერეკლე I-ის, არამდგრადი ცხოვრების წესის მიუხედავად, რომლის შესახებ წერს ვახუშტი ბაგრატიონი თავის „ქართლის ცხოვრებაში“, დედოფალ ანას აღზრდამ განაპირობა თავისი შვილების ღრმა განსწავლულობა და მათი მომავალი წარმატებები. თვით დედოფალ ანას შესახებ ანტონ I კათალიკოსი თავის „წყობილსიტყვაობაში“ წერს, რომ ანას ჰქონია დიდი წიგნსაცავი, რომელთა შორის დაცული ყოფილა ზოგიერთი ის წიგნი, რომელსაც ჩვენამდე ვერ მოუღწევია. მათ შორის იყო ვინმე კოსმა-მგალობელთუხუცესის მიერ შექმნილი მთელი წლის „აკოლოთია“ მიძღვნილი ქეთევან დედოფლისადმი, რომელიც ანტონს ახალგაზრდობაში ზეპირად შეუსწავლია. გარდა ამისა, ანა დედოფალს მონაწილეობა მიუღია XVIII ს. საეკლესიო კალენდრის შედგენაში. საკითხი ეხებოდა საღვთისმსახურო კრებულებში წმინდანთა ხსენების დღეების შესწორებას.

1 კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. XIII.; ლ. მენაბდე, ძველი ქართველი პოეტი ქალები, თბ.,1936; მ ქავთარია, ძველი ქართული სასულიერო პოეზიის ისტორიიდან, თბ.,1977; მ. ქავთარია, ბესარიონ ორბელიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, 1, მისივე დავით გარეჯის ლიტერატურული სკოლა, თბ.1965. „ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები”, წიგნი IV, (სვინაქსარული რედაქციები XI–XVIII სს.) გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ენ. გაბიძაშვილმა, თბ. 1968.

მარიამ-მაკრინა ბაგრატიონის ბიოგრაფიული მონაცემებიდან ცნობილია, რომ იგი, სავარაუდოდ, დაბადებულა 1697-98 წწ, ხოლო გარდაცვალების თარიღად კორნელი კეკელიძე, მ.ქავთარია მიიჩნევენ 1744 წ. იგი ადრეულ ასაკში დაოჯახებულა ედიშერ ჩოლოყაშვილზე. 1714-1716 წწ. ხელნაწერთა ანდერძები ნიკოლოზს გარდაცვლილად მოიხსენებენ. მაკრინას ერთი ქალიშვილი დარჩენია. ქმრის გარდაცვალების შემდეგ, 1716 წ. იგი უკვე მონაზონია და იწოდებოდა მაკრინად, ალავერდის ეკლესიის „ენკრატისის პატივით“. მიხეილ ქავთარიას განმარტებით, მისი ენკრატისობა უკავშირდება ალავერდის წმ. გიორგის სახელობის კათედრასთან არსებულ წმიდა ნიკოლოზის სახელობის ტაძრის ერთ-ერთი ეკვდერს,სადაც ცხოვრობდა და ლოცულობდა მაკრინა. მარიამ-მაკრინას წარმომავლობისა და მის მონათესავე ბაგრატიონთა შთამომავლობის გათვალისწინებისას, საქმე გვაქვს მნიშვნელოვან პიროვნებებთან, რომლებმაც დიდი კვალი დატოვეს საქართველოს ისტორიაში.

მარიამ-მაკრინა ბაგრატიონის გენეალოგიური შტო:

```
                    წმ. ქეთევან დედოფალი
                              |
                          თეიმურაზ I
                              |
                           დავითი
                              |
                       ერეკლე I     (ანა დედოფალი)
              /          |          |              \
   დავითი   ელენე  თეიმურაზ II  მარიამ-მაკრინა
                         |          |
                      ანტონ I     ერეკლე II
```

მარიამ-მაკრინა ბაგრატიონის ცხოვრება და მოღვაწეობა XVII-XVIII სს. ისტორიული რეალობის ანარეკლია. ეს იყო მძაფრი მოვლენებით დატვირთული ეპოქა. დიდ სახელმწიფოთა ინტერესების გადაკვეთაზე მდებარე მართლმადიდებლური საქართველო ფიზიკური არსებობის ბეწვის ხიდზე გადიოდა. სამეფო-სამთავროე-

ბად დანაწევრებულ, ირან-ოსმალეთისაგან ორად გახლეჩილ ქვეყანაში უმართავი პროცესების შედეგად იგი მრავალრიცხოვან უცხო ეთნოსთა ჩამოსახლების არეალად იქცა: აფსუების, დაღესტნელების, ლეკების, ოსების, სომხების, ქურთების, ასევე ირანის მიერ 400 000 ქართველის გადასახლების შედეგად დაცარიელებულ ადგილას ჩამოსახლებულ მომთაბარე ელებისაგან. ეს იყო ქართველებისათვის მაჰმადიანური ქვეყნებისაგან არა მარტო ფიზიკური, არამედ ეკონომიკური გენოციდის პერიოდი. შემორჩენილია XVII საუკუნის კახეთის სამეფოს ცხოვრების ამსახველი რეალური დოკუმენტური მასალა:[2] დანგრეული ეკლესიების და სახლების, გადამწვარი სასახლეების, უკიდურესი გაჭირვების, გაჩეხილი ბაღ-ვენახების შესახებ, ასევე აღწერილია ქართულ ეკლესიებში წირვა-ლოცვის ხის ჯვრებითა და ჯამებით ჩატარების, თვით კახეთის მეფის, თეიმურაზ I-ის ყოველგვარი სამეფო ატრიბუტიკის ყოფის შესახებ. ამ პერიოდისათვის საქართველო კარგავს თავისი ტერიტორიის 1/3; კარგავთ საზღვარგარეთულ კულტურულ-სამონასტო ცენტრებსა და სიწმინდეებს. ოსმალეთის ბაზრებზე ეწევიან ქართველი ტყვეებით ვაჭრობას. საქართველოს ცხოვრებაში თანდათან ისადგურებს სპარსული ცხოვრების წესი. ამ პირობებში ეროვნული ცნობიერების შენარჩუნების, ქვეყნის გამაერთიანებელ ერთადერთ ძალად რჩებოდა ქართული მართლმადიდებელი ეკლესია. ამიტომაც ირანის შაჰმა XVII ს. ერთ ღამეში ამოწყვიტა დავით გარეჯის 6000 ბერ-მონაზონი, ირანში მოწამეობრივი სიკვდილით სამაგალითოდ დასაჯა კახეთის დედოფალი ქეთევანი, ქართლის მეფე ლუარსაბ II. სწორედ XVII საუკუნის ბოლოსა და XVIII ს. დასაწყისში იწყება გაცხოველებული ქმედებები ქვეყნის, ენის, სარწმუნოების, ფიზიკური გადარჩენისათვის. ამავე პერიოდში სამოღვაწეო ასპარეზზე გამოდიან გვიანი შუასაუკუნეების პერიოდის ისეთი მოღვაწეები, როგორებიც იყვნენ ვახტანგ VI და მისი სკოლის წარმომადგენლები, აგრეთვე, მწერალი და მეცნიერი სულხან-საბა ორბელიანი. ამ პერიოდში მარიამ-მაკრინა ბაგრატიონი მომსწრე გახდა თავისი უფროსი ძმის, თეიმურაზ II-ს გამეფებისა, ასევე საქართველოს კათოლიკოსის ანტონ I-ის, თეიმურაზ II-ის შვილის, ერეკლე II-ის მეფობისა. სწორედ ეროვნულ-სარწმუნოებრივი მიზნებით გამსჭვალული თითოეული განათლებული პიროვნების საქმიანობა იყო მნიშვნელოვანი წვლილი საერთო ინტერესების დასაცავად. ჯერ კიდევ XVII საუკუნის ბოლოს ქართლის მეფის ვახტანგ VI-ის ხანმოკ-

ალავერდის ტაძარი

ლე მმართველობის პერიოდში მოხდა, უპირველესად, სპარსული ცხოვრების წესის შეჩერება და ეროვნული ცნობიერების განახლება სწორედ განათლების საფუძვლების წამოწევით იქმნება მეცნიერთა წრე „სწავლულ კაცთა კომისიის“, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საქართველოს ისტორიის ქრონიკალურ აღწერის თვალსაზრისით და ასევე საფუძველი შეუქმნა სამართლებრივ საწყისებს; სწორედ ვახტანგ VI-ის ინიციატივით საქართველოში, ქ. თბილისში, პირველად 1708-1709 წწ. არსდება სტამბა რუმინეთიდან მოწვეული ანთიმოზ ივერიელის მოსწავლის ხელშეწყობით, სადაც დაიბეჭდა 19 სხვადასხვა სახის წიგნი, აგრეთვე შეადგინეს კანონთა კრებული – დაფუძნებული არა მარტო ძველი და ახალი პერიოდის ქართულ მასალაზე, არამედ ბერძნულ, სომხურ და სხვა წყაროებზე. ვახტანგ VI-ის ეროვნულ საქმიანობას გვერდში ამოუდგა მისი ძმა, დომენტი კათალიკოსი, რომელმაც საპატიო წვლილი შეიტანა დავით გარეჯის კულტურულ-რელიგიურ კერის ეროვნულ-სარწმუნოებრივ საქმიანობაში. გარეჯელთა ერთ-ერთ მიზანს შეადგენდა საღვთისმსახურო კრებულების შევსება-გავრცელება. დომენტი კათალიკოსის „სა-

2 ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, III, თბ.,1987,

დღესასწაულოში“ (A 425) პირველად იქნა შეტანილი თითქმის ყველა ქართველი წმიდანის ხსენების დღე, მათ შორის, ქეთევან დედოფლის ხსენების დღე. დომენტის კრებული საინტერესოა როგორც თავისი დანიშნულებით – ქართველ მოღვაწეთა ღვაწლის აღწერის თვალსაზისით, ისე მხატვრული ღირებულებითაც, რადგან მასში ყოველი წმინდანის ხსენების დღეს დართული აქვს შესატყვისი მინიატურა. მათ შორის თავისი სიმბოლიკით გამორჩეულია ქეთევან დედოფლის მინიატურა.

დიდმოწამე წმიდა ქეთევანი
მინიატურა სვინაქსარიდან

ისტორიულ-პოლიტიკური თვალთახედვით საგარეო სპექტრში XVII ს. ბოლოსათვის საქართველო და მთელი ამიერკავკასია უკვე მოიაზრებოდა ერთ სივრცედ, რომლის დაპყრობის მცდელობა უკვე მაშტაბურ ხასიათს იღებდა. ამ პირობებში „მოსკოვის რუსეთის“ პეტრე I-ის რადიკალური რეფორმების ფონზე მისი სწრაფვა ჩრდილოეთ და სამხრეთ საზღვრების გასაფართოებლად, თანხვედრი აღმოჩნდა სამხრეთ კავკასიის ქრისტიანებისათვის, რომელნიც რუსეთს მოიაზრებდნენ ერთგვარ გარანტად ირან-ოსმალეთის ბრძოლაში მხარდაჭერისას. მაგრამ გადამწყვეტ ეტაპზე ქართველები მარტონი აღმოჩნდნენ მაჰმადიანების წინაშე, რის შედეგადაც, ვახტანგ VI-ის გადაწყვეტილებით, 1000 განათლებულმა რჩეულმა ქართველმა იძულებით დატოვა სამშობლო, რომელთა მემკვიდრეები დღესაც ცხოვრობენ რუსეთში, შესაძლოა თავისი წარმომავლობისადმი გაუცხოვებული გრძნობებით. საერო ცხოვრებაში მომხდარი დიდი პოლიტიკური მარცხი ერთგვარი გამოწვევა შეიქნა სასულიერო პირთა მეტი გაძლიერებისათვის. დავით გარეჯის რელიგიურ კერაში არც ერთი წუთით არ შენელებულა მუშაობა ეროვნული საქმიანობის სასიკეთოდ. სწორედ XVIII ს. გარეჯში იწერება ანტიმონოფიზიტური სტატიები, ანტიპაპისტური წიგნი „გრდემლი“. ქვეყნის სირთულეები გრძელდება მთელი XVIII საუკუნის მანძილზე, რომლის დროს მენტალობის შეცვლის ყველაზე ქმედით საშუალებად მიღებული იქნა მართლმადიდებელი ქართული ეკლესიის ავტორიტეტისა და მისი უფლებების შეზღუდვის მცდელობა. სწორედ ეს იყო შედეგი ქართველების გაკათოლიკებისა, გასომხებისა. მაგრამ საერთო ძალიხმევას უკვალოდ არ ჩაუვლია, როდესაც სპარსეთის შაჰი დათმობაზე მიდის და ერთი საუკუნის შემდგომ ქართველებს საშუალება მიეცათ სვეტიცხოველის დიდ საკათედრო ტაძარში თავისი მეფის ქრისტიანული წესით კურთხევისა. ეს გახლდათ მარიამ-მაკრინას უფროსის ძმა, თეიმურაზ II ბაგრატიონი. თეიმურაზ II გამეფება უმნიშვნელოვანეს მოვლენად ითვლებოდა XVIII ს. საქართველოს ისტორიაში, როგორც დიდი ძალისხმევის შედეგი, შედეგი ეროვნული სულისკვეთებით გამსჭვალული თითოეული ქართველის წვლილისა. მათ შორის წამყვანი ადგილი უჭირავს დავით გარეჯის რელიგიურ-კულტურულ კერას და მასთან დაკავშირებულ პიროვნებებს. სწორედ დავით გარეჯის ეროვნულ-სარწმუნოებრივი ამოცანების გამოძახილია მაკრინას მიერ დოგმატური ხასიათის კრებულის შედგენა (A 427). რომელშიც თავმოყრილი იქნა შემდეგი საკითხავები: „სჯულის კანონი“, სვიმეონ თესალონიკელის „წიგნი სამოძღვრო“, იოანე მმარხველის „კანონნი შეცოდებულთათვის“. საგანგებოდ აღნიშვნის ღირსია კრებულზე დართული მაკრინას ანდერძი, რომელშიც გადმოცემულია კრებულის შემდგენელის დამოკიდებულება კონკრეტული საკითხისადმი: ავტორის დოგმატური საკითხების ცოდნა, ფართო განათლებულობა, ასევე პიროვნული თვისებები. ანდერძში ვკითხულობთ: „...ფრიად მსურდა, რამეთუ ფრანგთა (კათოლიკეთა) და სომეხთა ჰქონდათ ესევითარნი აღსარების წიგნი არა სადა პოვნილ იყო. მეც ამისათვის დავშუერ, რამეთუ ჩუენ ერთ-

მან გულისხმისყოფა, თქუენ უმჯობესად შესცვალეთ და აღაშენეთ საფუძველსა ამას ზედადა... მე საფუძველი დავსდევ და რომელსა მოგცესთ ღმერთმან გულისხმისყოფა, თქუენ უმჯობესად შესცვალეთ და აღაშენეთ საფუძველსა ამას ზედა“. ამ-ღენად, განათლებულ ბაგრატიონთა წრეში ისახებოდა ქვეყნის გადარჩენისა და მისი მომავლის კეთილდღეობისათვის რეალური ნაბიჯები, ქართული საზოგადოებისა ზნეობრივი გაჯამრთელების მიზნით – მათ შორის ერთ-ერთი ასურელი მამის, იოსებ ალავერდელის ცხოვრების აღწერა და მისადმი საგალობლების შედგენა დაევალა ბაგრატიონთა სამეფო საგვარეულოს წარმომადგენელს, მარიამ-მაკრინა ბაგრატიონს. როგორც მარიამ-მაკრინას, ისე ამ პერიოდის მოღვაწეთა მნიშვნელობა შეუძლებელია არ განისაზღვროს XVII–XVIII სს. ისტორიული კონტექსტის გათვალისწინებით. უნდა ითქვას, რომ მაკრინა ბაგრატიონის საერო ცხოვრებიდანვე გამოვლენილი იქნა ის ქმედებები, რომელითაც იგი პასუხობდა დროის მოთხოვნებს. მისი ძმები, დავითი და თეიმურაზი ხშირად მიმართავდნენ მას სამეფო დოკუმენტების, შეწირულობის წიგნების შესადგენად, რადგან მარიამ-მაკრინას კალიგრაფიული სტილი და მაღალმხატვრული სიტყვიერი მასალა გამორჩეული იყო. სწორედ დავით გარეჯის პატრიოტული ძარღვი ჩანს მის შემოქმედებით მოღვაწეობაში, მის მიერ სულხან-საბა ორბელიანის ვრცელი რედაქციის ლექსიკონის გადაწერისას. მიხეილ ქავთარია წერს იმის შესახებ, რომ ლექსიკონზე მაკრინას დაურთავს მისივე შედგენილი ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი აკროსტიქული საგალობელი. გარდა ამისა, პოეტ-აკადემიკოსი გიორგი ლეონიძე წერს მაკრინას ჩვენამდე არ მოღწეული გიორგი სააკაძესთან დაკავშირებულ ისტორიული ნაწარმოების შექმნის შესახებ. იმ პერიოდის საქართველოს ცხოვრებაში დავით გარეჯის რელიგიურ-კულტურულმა კერამ ბიძგი მისცა მნიშვნელოვან შემოქმედებით საქმიანობას: შესწორებული და შევსებული იქნა აგიოგრაფიული და ჰიმნოგრაფიული კრებულები, შედგა ქართველ წმიდანთა სრული აღნუსხვა და მათი ჩართვა საღვთისმსახურო კრებულებში. ერთმანეთის მიყოლებით იქმნება მთელი რიგი მნიშვნელოვანი ჰაგიოგრაფიული კრებულები. გარეჯელები ინიციატორები გამოდიან XVIII ს. ქართული საგალობო ტრადიციის აღორძინებისა, რომელიც ქართული საგალობო ტრადიციის ახალ ეტაპად იქნა მიჩნეული, რომლის დროს, ივ. ჯავახიშვილის აღნიშვნით, საგალობლების ჩაწერის ძველი სისტემის დავიწყების შედეგად შემოუღიათ ახალი ე.წ. „ჭრელების სისტემა“, სადაც გალობის მელოდიური ქარგა წინასწარ განსაზღვრულ კილოზე ანუ მელოდიაზე უნდა შესრულებულიყო.[3] მარიამ-მაკრინას შემოქმედებასთან დაკავშირებით გვიანი შუასაუკუნეების

ერეკლე I – მარიამ-მაკრინას მამა

თეიმურაზ II – მარიამ-მაკრინას ძმა

3 ივ. ჯავახიშვილი, ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, თბ. 1983.

ქართული ჰიმნოგრაფიის შესახებ მიხეილ ქავთარია წერს: „აღორძინების ხანის ჰიმნოგრაფიისათვის საერთოდ და კონკრეტულად მაკრინას შემოქმედებისათვის დამახასიათებელია ის, რომ საგალობლების ცალკეული გალობანი აღარ არის პოეტური მეტრით გაწყობილი,არამედ წარმოადგენს პროზაულ სტროფებს, რომლებსაც აღარ ახასიათებს მარცვალთა რაოდენობის განსაზღვრა სალექსო სტროფებად და სხვა. ამიტომ, ძლისპირ-ტროპართა ურთიერთობათა შესახებ საუბრის აუცილებლობა, რაც ასე საჭიროა კლასიკური ჰიმნოგრაფიის დახასიათებისას. ცხადია, გალობათ ძლისპირები, რომელთაც მაკრინა იყენებს, ძველია და მათი უმრავლესობა დადასტურებულია (იხ. ძლისპირთა კრებული 603 ხმა დ გ ი), მაგრამ მაკრინა აღარ თვლის საჭიროდ მთელი სიზუსტით დაიცვას. ხაზს ვუსვამთ სიზუსტეს, პრინციპში მაინც ძლისპირების თარგზე აკეთებს მაკრინა თავის საგალობლებს“[4] .

უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდის ქართველი სასულიერო პირები არა მარტო ლოცვით აძლიერებდნენ საქართველოს, არამედ ისინი თანამონაწილენი იყვნენ საქართველოს საერო ცხოვრებაში მიმდინარე მოვლენებისა. ამ ფაქტის უტყუარი ნიმუშია მარიამ-მაკრინას ახლობელი ნათესავის, ანტონ I სასულიერო, სახელმწიფოებრივი და შემოქმედებითი მოღვაწეობა. ანტონ I თავის „მარტირიკაში“ აღნიშნული აქვს მარიამ-მაკრინას შესახებ, რომლის შთაგონებით მან თავის აგიოგრაფიულ კრებულში ჩართო ქეთევან დედოფლის მოწამეობრივი ღვაწლის აღწერის ერთერთი საუკეთესო ნიმუში. აღსანიშნავია, რომ XVIII ს. 60-იან წლებში, როდესაც ანტონ I ამუშავებს სადღესასწაულოების ახალ რედაქციას, მან საღვთისმსახურო კრებულების გამართვისას მარიამ-მაკრინას ჰიმნები იოსებ ალავერდელზე, ძირითადად, უცვლელი სახით შეიტანა თავის „სადღესასწაულოში“ (S 1464). ამდენად, დავით გარეჯის რელიგიურ-კულტურული კერაში იქმნებოდა და იხვეწებოდა საღვთისმსახურო კრებულები. კერძოდ, დომენტი კათალიკოსის „სადღესასწაულოს“ (A 425) საფუძველზე შესრულებული იქნა ბესარიონ კათალიკოსის ჰაგიოგრაფიული კრებული, ხოლო დომენტი და ბესარიონ კათალიკოსების გარდაცვალების შემდგომ, მიხეილ ქავთარიას თქმით, მაკრინეს წილად ხვდა შემდგომი პერიოდის ჰაგიოგრაფიული კრებულების მოწესრიგება. მათ შორის, მაკრინეს საკმაო შრომა გაუწევია ბესარიონ (ორბელიშვილი) კათოლიკოსის რედაქციით შედგენილი ჰაგიოგრაფიული კრებულის დამუშავებაში. ამ ნიშნით, მარიამ-მაკრინე ბაგრატიონს თავისი წვლილი შეუტანია საღვთისმსახურო კრებულების სრულყოფასა და გავრცელებაში. სწორედ ბესარიონ კათალიკოსის კურთხევით, მაკრინეს დაევალა ერთ-ერთ ასურელ მამაზე, იოსებ ალავარდელზე ცხოვრებისა და ჰიმნოგრაფიული თხზულების შედგენა. საკითხი დგას შემდეგნაირად: იმდროინდელი ისტორიული რეალიების გათვალისწინებით, ასურელი მამის ხსენების დღის ჩართვას, ეკლესიაში ღვთისმსახურების შესრულებისას, თუ რა დატვირთვა ექნებოდა მრევლისთვის და საზოგადოდ, ვინ იყვნენ ასურელი მამები? ასურელი მამები იყვნენ VI ს. სირიიდან მოსული სასულიერო პირები (ქართული წყაროებით 12, 13 პირის შემადგენლობით), რომლებიც საქართველოში მოვიდნენ ქრისტიანული რელიგიის დაცვა-გავრცელებისათვის. ესენი იყვნენ, კორნელი კეკელიძის მტკიცებით, დიოფიზიტი ქრისტიანები, რომლებიც, მონოფიზიტებისაგან განსხვავებით,ცნობდნენ იესო ქრისტეში ორ ბუნებოვან საწყისს. ისტორიამ შემოინახა გამორჩეული სირიელი მამების ვინაობა. მათ შორის ანტიოქიიდან VI ს. I ნახევარში პირველად მოსულა დავით გარეჯელი, ხოლო VI ს. შუა ხანებში – იოანე ზედაზნელი, თავის მოწაფეებთან ერთად, შემდეგ – აბიბოს ნეკრესელი,იოსებ ალავერდელი და სხვანი. კავკასიის რეგიონში მათ იქადაგეს არა მარტო საქართველოში, არამედ – სომხეთში და ალბანეთში, ასევე – ჩრდილოეთ კავკასიაშიც. აღმოსავლეთ საქართველოში სირიელ მამებს მრავალი მონასტერი აუშენებიათ. ენციკლოპედიური მონაცემებით, ასურელი მამების ქადაგებების შედეგად ჩრდილოეთ კავკასიაში ქრისტიანობის გავრცელებისას, კავკასიელი ხალხები, ეკლესიურად, საქართველოს დაუქვემდებარეს, რომელიც თავისთავად გულისხმობდა ქართული ქრისტიანული სახელმწიფოს გაძლიერებასა და გამთლიანებას,

4 მ. ქავთარია, ძველი ქართული სასულიერო პოეზიის ისტორიიდან XVII–XVIII სს., გვ.221.

მაჰმადიანური ირანის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამავე დროს, საქართველოს ტერიტორიაზე უკაცრიელ ადგილებში ეკლესია-მონასტრების მშენებლობისას ისინი საფუძველს უყრიდნენ არა მარტო ტერიტორიის განმტკიცებას, ასევე იგი განსაზღვრული იყო როგორც სამეურნეო კეთილდღეობის საშუალება, ასევე ქართული მწიგნობრული კერის გაფართოებისა და სირიულ-ქრისტიანულ ცენტრებთან ურთიერთობის პირობა. ამდენად, მარიამ-მაკრინეს მიერ ასურელი მამის, კერძოდ, წმიდა იოსებ ალავერდელის ცხოვრების ღვაწლის აღწერა, XVIII ს. დასაწყისის საქართველოსთვის ნიშნავდა ქრისტიანული ცნობიერების გაძლიერებას და მისი მნიშვნელობის გავრცელებას ჩრდილოეთ კავკასიელ ქრისტიანებზეც, რაც ემსახურებოდა მშვიდობიან გადაწყვეტას საერთო კავკასიური ინტერესებისა. წმიდა იოსებ ალავერდელზე მარიამ-მაკრინას შეუქმნია ალავერდელის სვინაქსარული ანუ შემოკლებული ცხოვრება, როგორც ღვთისმსახურების შესრულებისას მრევლისათვის წასაკითხი ტექსტი, ასევე მასვე ეკუთვნის წმიდა იოსებ ალავერდელზე შექმნილი ორი საგალობელი. მეცნიერთა გამოკვლევების თანახმად, მაკრინას ეს სამუშაო შეუსრულებია 1733-1735 წწ. როგორც სვინაქსარულ ცხოვრებაში, ისე საგალობლებში ძირითად იდეას წარმოადგენდა პატრიოტული თემატიკა. მაკრინა ამასთან დაკავშირებით წერს ასურელ მოღვაწეთა დანიშნულების შესახებ: „განამტკიცოს და განაახლოს ნინოს მიერ ქადაგებული სარწმუნოება“, ასევე, რათა „დასცე მტერი ქუეშე ფერხთა მათთა“. მაკრინა საგალობელში მაღალმხატვრული ოსტატობით მიმართავს, როგორც ყველა ასურელ მამას, ისე კონკრეტულად, იოსებ ალავერდელს. საგალობელში ვკითხულობთ:

„ეჰა ათორმეტნო მამანო,
გონებითა და განზრახვითა შეერთებულნო,
რომელნი აღგრძნა სულმან წმიდამან
და მოგიძღუათ ქვეყანასა ამას,
და მოიწიენით რათა,
მოჴნენით გულნი დაკორდებულნი
და დასთესეთ თესლი ღმრთის-მსახურებისა“.

„ჰოჲ მამაო ღირსო იოსებ,
სამწყსო, რომელი შეჰკრიბე მოძღვრებითა შენითა,
ყოვლად ბრძენო, დაიცევ მშვიდობით,
და წმიდა ლოცვითა შენთა მინდობილთა
მართლმადიდებელთა მეფეთა ჩუენთა
შარავანდედი წარმართე და სკიპტრაჲ განაძლიერე,
და დაეც მტერი ქუეშე ფერჴთა მათთა,
და აღამაღლე რქაჲ მორწმუნეთაჲ
და ყოველი ერი და მგალობელნი შენნი
ერთბამად შეგჳწყალენ
დიდითა წყალობითა შენითა“.

აღსანიშნავია, რომ მაკრინას ორი საგალობლიდან ერთი აკროსტიქონია ანუ ტექსტი დალაგებულია გარკვეული შინაარსის მქონე საწყისი სიტყვებით, სადაც მაკრინა თავის ვინაობას ასახელებს: „მაკრინა შემსხმელი შენი, შემიწყალე წმიდაო“.

ქართული მართლმადიდებელი ეკლესია იოსებ ალავერდელის ხსენების დღეს აღნიშნავს ალავერდობის დღესასაწაულს ახ. სტილით 28 სექტემბერს. **ალავერდის ტაძარი, ეს ქართული სატაძრო არქიტექტურის მშვენება, ბევრ სიწმინდეს ინახავს. მათ შორის აქ დაბრძანებულია წმიდა იოსებ ალავერდელისა და წმიდა ქეთევან დედოფლის წმიდა ნაწილები. სწორედ ამ წიაღში გაატარა მარიამ-მაკრინა ბაგრატიონმა თავისი ცხოვრების უმეტესი ნაწილი. მარიამ-მაკრინას ცხოვრება ქართველი ქალის ის ნიმუშია, რომელმაც თავისი მოკრძალებული ცხოვრების წესით, თავის თანამედროვეთათვის და მათი შემდგომი თაობებისათვის, ერთგვარი მისაბაძი მაგალითი შექმნა, მართლაცდა იმ დიად საქმიანობაში, რომელსაც სამშობლოსადმი და მისი ეკლესიისადმი მსახურება ჰქვია.**

ფილოლოგიურ მეცნიერებათა
დოქტორი **მარინე ცინცაბაძე**

MARTLMADIDEBEL SAMEFO OJAXTA XVEDRI

IRUMENIA TAMARI (ROMANOVA _ BAGRATION-MUXRANELISA)

1946 წელს თამარის სახელით შემონოზ-ვნდა იერუსალიმში, ელეონის მაცხოვრის ამაღლების მონასტრის იღუმენია თამარი (ტატიანა რომანოვა-ბაგრატიონი), რომელ-საც წუთისოფელმა სამეფო დიდგვაროვნე-ბასთან ერთად წარსტაცა ამქვეყნიური ყოველი სიხარული და „დაუტევა ყოვე-ლივე მსოფლიო ზრუნვაჲ“ და ერიდან – ბერში, რუსეთიდან – ახლადდამყარებულ

იღუმენია თამარი (რომანოვა)

სახელმწიფო იზრაელში დაემკვიდრა. ხუთი წლის შემდეგ დედა თამარს რუსე-თის საზღვარგარეთული ეკლესიის დედა-თა მონასტრის იღუმენიად აკურთხებენ.

დედა იღუმენია თამარის სახელი და ღვაწლი დღეისათვის რუსეთის მართლ-მადიდებელ ეკლესიაში ფრიად პატივდე-ბულია, ხოლო საქართველოში ცოტამ თუ იცის, რომ იგი ქართველი უფლისწულის თეიმურაზის და პრინცესა ნატალიას დედა იყო.

იღუმენია თამარი, ერში – ტატიანა რო-მანოვა, იმპერატორ ნიკოლოზ პირველის შვილთაშვილი იყო და წმიდა მოწამე ნიკოლოზ მეორის ბიძაშვილის, დიდი მთავრის, კონსტანტინე კონსტანტინეს ძის ქალიშვილი, ხოლო დედა – საქსონიის პრინცესას ქალიშვილი იყო. ტატიანა რო-მანოვას შვიდი ძმა და ერთი და ჰყავდა. შვილების მართლმადიდებლურ აღზ-რდაზე მამა ზრუნავდა. იგი ინფანტერიის გენერალი და სამხედრო სასწავლებლებ-ისა და საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის ხელმძღვანელი იყო. ტატი-ანამ და-ძმებთან ერთად სამეფო გვარის შესაფერი განათლება მიიღო. ყმაწვილები პავლოვსკის სასახლეში, იდილიურ გა-რემოში, იზრდებოდნენ, ყმაწვილები სუ-ლიერებით გამოირჩეოდნენ. წმიდა იო-ანე კრონშტადტელმა, რომელიც ხშირად სტუმრობდა მათ ოჯახს, ბავშვებს თავზე ხელს გადაუსვამდა ხოლმე და ეტყოდა: „ღვთივსათნო ბავშვები არიანო“

1910 წელს ტატიანა დაუმეგობრდა საიმპერატორო ცხენოსანთა პოლკის კავალერგარდის კორნეტს, 21 წლის თავ-ადს, კონსტანტინე ბაგრატიონ-მუხრანელს (1889-1915წ.), რომელიც სახელმწიფო მრჩევ-ლის, კამერჰერისა და კავკასიის მეფის-ნაცვლის განსაკუთრებულ საქმეთა მოხე-ლის, ალექსანდრე მიხეილის ძის ვაჟი იყო. ახალგაზრდების მეგობრობა გაღრმავდა და მალევე დაქორწინება გადაწყვიტეს, მა-გრამ რომანოვები ამ ქორწინებას წინ აღ-უდგნენ; რადგან საქართველოს ანექსიის შემდეგ ბაგრატიონები მმართველ დინას-ტიად აღარ ითვლებოდნენ, არამედ ისინი რუსეთის რიგით თავად-აზნაურობას გაუ-თანაბრდნენ. ამდენად, კონსტანტინე, წარ-მოშობით, აღარ ითვლებოდა ტატიანას თანასწორად. მას პეტერბურგი დაატოვე-ბინეს და ფრონტზე გააგზავნეს. 19 წლის ტატიანა დარდით დასნეულდა. ერთხელ მას, დასამშვიდებლად მოუტანეს ნიკო მარის რუსულ ენაზე გამოცემული წიგ-ნი „თამარ მეფე – საქართველოს ოქროს

ტატიანა რომანოვა მშობლებთან და
და-ძმებთან ერთად

ხანა“. ამ პატარა წიგნმა ყმაწვილ ქალზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და გულით შეიყვარა წმიდა მეფე თამარი.

შვილის მდგომარეობით შეშფოთებულმა მშობლებმა გადაწყვიტეს გამოეყენებინათ არადინასტიური ქორწინების უფლება, რომელიც 1911 წელს გამოქვეყნდა და რომლის მიხედვითაც მათ შთამომავლებს ტახტის მემკვიდრეობის უფლება ერთმეოდათ. ტატიანამ წერილობით თქვა უარი ტახტის მემკვიდრეობაზე თავისი და მომავალი შვილების სახელით. ასე გადაწყდა ორი სამეფო დინასტიის წარმომადგენლის ქორწინება.

ახალგაზრდა წყვილი პავლოვსკში, ტატიანას მშობლების სახლში დასახლდა. მათი ბედნიერი ოჯახური ცხოვრების გვირგვინი იყო ორი შვილი: თეიმურაზი და ნატალია, ცნობილია, რომ ნატალიასა და თეიმურაზის ნათლიები იყვნენ წმიდა მოწამე მეფე ნიკოლოზ II და პრინცესა ოლგა. – კონსტანტინე ბაგრატიონ-მუხრანელი პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე წავიდა ომში თავის 5 ცოლისძმასთან ერთად. იგი იაროსლავთან (აწ პოლონეთში) დაიღუპა 1915 წელს. პავლოვსკში მას პანაშვიდები გადაუხადეს, რომელსაც ესწრებოდნენ წმიდა მოწამე მეფე-დედოფალი, ნიკოლოზ II და დედოფალი ალექსანდრა. ტატიანამ და მისმა ძმამ კონსტანტინე გადმოასვენეს საქართველოში და დაკრძალეს მცხეთაში, სვეტიცხოველში.

ტატიანას მალე ძმაც გარდაეცვალა და მამაც. მასზე და მის დაობლებულ შვილებზე ზრუნვა ბიძამისმა, დიდმა მთავარმა დიმიტრიმ იკისრა. მან ობლები თავისთან გადაიყვანა საცხოვრებლად. ახალგაზრდა ქვრივმა თავი ღმერთს და შვილების აღზრდას მიუძღვნა, იგი ლოცვით ღვაწლს შეუდგა, მოილოცა ეკლესია-მონასტრები.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ბიძამისი და ოთხი ძმა დაუპატიმრეს, მალევე მისი ძმები: იოანე, კონსტანტინე და იგორი დახვრიტეს და მათი გვამები შახტაში ჩაყარეს. 1920 წელს პეკინში, რუსულ მართლმადიდებლურ ტაძარში გადაასვენეს. 1931 წელს საზღვარგარეთის რუსულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ ისინი ახალ მოწამეთა შორის შერაცხა.

ტატიანა, რეპრესიების გამო, შვილებთან ერთად ტოვებს სამშობლოს, თან მიაქვს ხსოვნა გარდაცვლილ მეუღლისა და მასთან განუშორებლობის ნიშნად, ხელიდან არ უშვებს ბროშურას თამარ მეფეზე, რომლის სიყვარულმაც მრავალი განსაცდელი გამოატარა და მონასტრის კართან მიიყვანა.

ტატიანა რომანოვა მეუღლესთან –
კონსტანტინე ბაგრატიონ-მუხრანელთან ერთად

წვალებით აღიზარდნენ ბაგრატიონთა შთამომავლები: თეიმურაზი და ნატალია.

მათ ღირსეული განათლება მისცა ტატიანამ, რომელმაც შვილებზე ზრუნვის გამო, მეორედ ქორწინებაც იტვირთა...

კონსტანტინე ბაგრატიონისა და ტატიანას უფროსი ვაჟი, თეიმურაზი, მამისა და ბაბუის კვალს გაჰყვა და დაამთავრა სამხედრო აკადემია. იგი 10 წელი მსახურობდა სერბეთის სამეფო გვარდიაში. აგრეთვე, პარიზში დაარსებული „წმიდა ქეთევანის მართლმადიდებელი ძმობის“ თავმჯდომარე იყო, მუშაობდა იუგოსლავიის საელჩოში ჟენევაში, პარიზში, ლონდონში, ქართულ სათვიტომოსა და სხვადასხვა საქველმოქმედო სააგენტოებში...

როდესაც შვილები დამოუკიდებელ ცხოვრებას დაიწყებენ, ტატიანა საერო ცხოვრებას განშორდება და 1946 წელს ჟენევაში მონაზვნად აღიკვეცება. იგი პირველი ქმრის დიდი წინაპრის და მისი სათაყვანებელი წმიდანის, საქართველოს მეფე ქალის სახელს, თამარს, მიიღებს.

ამის შემდეგ დედა თამარი მოღვაწეობას იერუსალიმში, ელეონის მთის ძირას, მაცხოვრის ამაღლების მონასტერში აგრძელებს, იქ, სადაც მისი ნათესავი დიდი კნეინასა და შემდგომში წმიდანად შერაცხული ელისაბედის წმიდა ნაწილები განისვენებდა, ამ პერიოდში დედა თამარი ხშირად დადიოდა იერუსალიმის ქართველთა ჯვრის მონასტერში, სადაც შოთა რუსთაველისა და თამარ მეფის საფლავები ეგულებოდა. ხუთი წლის შემდეგ, 1951 წელს, დედა თამარი ელეონის ამაღლების მონასტრის იღუმენიად აკურთხეს და იგი გახდა წინამძღვარი მონასტრისა, რომელშიც 120 მონოზონი მოღვაწეობდა. მათ შორის მრავალი ხანშიშესული და სნეული იყო. ომმა მონასტერსაც დააჩნია კვალი: – მონოზვნებს უჭირდათ ეკონომიურად, დაზიანდა ნაგებობები, დაცარიელდა სალარო... მონოზონთა შემართებით და იღუმენია თამარის ძალისხმევით, მონასტრის მეურნეობაც მოწესრიგდა და ღვთისმსახურებაც მაღალ დონეზე დადგა. 1952 წლისათვის მონასტერში მომლოცველებმა იწყეს დენა. ევროპის სხვადასხვა კუთხიდან მოსული მლოცველები მონასტერს სოლიდურ თანხას სწირავდნენ. მონასტერში სასნეულო გახსნეს უძლურ დათათვის. 1962 წელს მონასტერი მოინახულა რუსეთის საიმპერატორო სახლის თავკაცმა, დიდმა მთავარმა, ვლადიმერ კირილეს ძემ და მისმა მეუღლემ ლეონიდა გიორგის ასულმა ბაგრატიონ-მუხრანელმა. სავანეს სტუმრობდნენ სხვა მაღალი სტუმრები: ბორის III -ის ვაჟი, იტალიის მეფე ვიქტორ-ემანუილ III-ის ქალიშვილი, ელჩები, კონსულები. 1958 წელს დიდი ზეიმით გადაიხადეს მონასტრის დაარსების 100 წლისთავი რომელსაც მაღალი რანგის საერო და სასულიერო პირები დაესწრნენ. მონასტერს ხშირად სტუმრობდა თამარის უმცროსი და ვერა, რომელსაც დიდად აფასებდნენ ემიგრაციაში. ის იყო აქტიური წევრი წმიდა სავანისა, საეკლესიო გუნდის მგალობელი. 1951 წელს ამერიკაში გადასახლების შემდეგ მუშაობდა სხვადასხვა საქველმოქმედო ორგანიზაციაში, ეხმარებოდა რუს ლტოლვილებს. არც ერთი ქვეყნის მოქალაქეობა არ მიუღია, პრინციპულად დარჩა „ხელმწიფე იმპერატორის“ ქვეშევრდომი. იღუმენია თამარს ხშირად აკითხავდა ვაჟი, თეიმურაზი, რომელსაც დედა მრავალგზის შეეწეოდა.

იღუმენია თამარს ყველა იხსენებდა, როგორც სათნო, მზრუნველ, მომთმენსა და მოსიყვარულეს. მის უსაზღვრო სიყვარულის უნარზე მრავალს ჰყვებოდნენ. მას ფართო კავშირები ჰქონდა მსოფლიოს მასშტაბით და დიდად აფასებდნენ: იერუ-

მცხეთა. სვეტიცხოველი.
კონსტანტინე ბაგრატიონ-მუხრანელის საფლავი

იერუსალიმი.
იღუმენია თამარის საფლავთან
სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტრის
მოძღვარი არქიმანდრიტი ლაზარე (გაგნიძე)

სალიმის პატრიარქი – საღვთო საქმისა და დების მიმართ გაწეული თავდადებისათვის, ბერძნები – იმის გამოც, რომ მათი დედოფლის, ოლგას ძმისშვილი იყო. იღუმენია თამარს მოწიწებითა და გულისხმიერებით ეპყრობოდნენ იერუსალიმის მერი, იორდანიის მეფე ჰუსეინი და მისი დედა, რომლებიც მფარველობასა და მზრუნველობას იჩენდნენ სავანის მიმართ. თანამედროვეთა გადმოცემით, იღუმენია თამარი სადა და მკაცრი ხასიათისა იყო. მას ასაკში უკვე აღარ შერჩენოდა რაფინირებული პროფილი, ენა ებმოდა და ცოტას ლაპარაკობდა. იგი მეტწილად სხვებს უსმენდა; ახლომხედველი იყო და დიდ სათვალეს ატარებდა.

1979 წელს, ღვთისმშობლის მიძინების მარხვის დაწყების წინ, დედა თამარი მოულოდნელად ავად გახდა, განგრენა განუვითარდა და საწოლს მიეჯაჭვა და მარიამობის დღესასწაულის წინა ღამეს ღვთივ განისვენა. ამერიკიდან ჩამოსულმა ვაჟმა, თეიმურაზმა, დედის უკანასკნელ ამოსუნთქვას მოუსწრო. დედა იღუმენია თამარი მონასტერში დაკრძალეს. მის გარდაცვალებასთან ერთად, ელეონის დედათა მონასტრის მეოთხედსაუკუნოვანი ეპოქა დასრულდა, რომელიც იღუმენია თამარის ღვაწლით არის აღბეჭდილი. მან ნათელი ხსოვნა დატოვა არა მარტო მონოზვნებისა და სასულიერო პირების, არამედ უამრავი მორწმუნე ადამიანის გულში, რომლებისთვისაც იგი იყო მაგალითი.

რუსუდან დაუშვილი

ისტორიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

OKULTIZMIS SESAXEB

ქართულ სინამდვილეში კარგა ხანია დამკვიდრებულია და მასმედია ფართოდ უწევს რეკლამას ოკულტური ხასიათის სხვადასახვა სწავლებებს. დიდი ადგილი ეთმობა: ჯადოქრების, ასტროლოგების, ექსტრასენსების, მისან-მკითხავების, პარაფსიქოლოგების თუ სხვა სახის მისტიკას. ახალგაზრდობაში ცდილობენ დანერგონ ოკულტური ხასიათის ისეთი დღესასწაულები, როგორიც არის „ჰელოუვინი“.

ოკულტიზმი (ლათ. ოცულტუს - საიდუმლო) ზოგადი სახელწოდებაა იმ სწავლებებისა, რომლებიც აღიარებენ ადამიანისათვის მიუწვდომელ ე. წ. საიდუმლო ძალებს და მათი აზრით, განსაკუთრებული ინიციაციის გავლის და სპეციალური მომზადების შემდეგ, „განდობილთათვის“ მისაღწევია.

სწორედ ეს „საიდუმლო ცოდნა“ უდევს საფუძვლად მაგიას, ჯადოქრობას და სხვ. რომელთაგან ხალხში უმეტესად დაინერგა ბიოენერგიის, ექსტრასენსოლოგიის, პარაფსიქოლოგიის, კარმას თუ სხვათა შესახებ სწავლება.

მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ ყოველგვარი მისტიკური სწავლება მკაცრად განკანონებულია და VI მსოფლიო კრების დადგენილებით მისან-ჯადოქრობის ყოველგვარი გამოვლენა კაცის კვლის სასჯელს ექვემდებარება, ექვსი წლით ეპიტემიას განუწესებს და ეკლესიის საიდუმლოებას განაყენებს: „არა შეუდგეთ თქვენ მუცლით მეზდაპრეთა და მსახვრალთა არა შეეყვნეთ, შეგინებად მათ შორის“, ხოლო გამოუსწორებლებს ეკლესიიდან განკვეთს.

მართლმადიდებელი ქრისტიანი არა თუ არ უნდა მიმართავდეს მისან-ჯადოქრებს და ოკულტიზმის სხვა სახის მაგებს, არამედ სალამსაც არ უნდა აძლევდეს მათ. ისეთი სახის ოკულტური რიტუალები, როგორიცაა: „ჰელოუვინი“ და მისი მსგავსი მაგიური მსახურებანი, ადამიანს რეალობას წყვეტენ, სულიერ ტანჯვას აყენებენ და ყველა მათი მსახური ცხოვრებას ტრაგიკულად ასრულებს.

ოკულტიზმი,წინააღმდეგ საღვთო სჯულისა და ეკლესიისა, სულიერ სამყაროში საკუთარი უწმიდური სულით იჭრება და კონტაქტს ამყარებს უარყოფით ძალასთან – ეშმაკთან.

მართლმადიდებლობის მიზანი ზებუნებრივი ძალების მოპოვება არ არის, არამედ იგი უმთავრესად სულის ცოდვათაგან განწმედას ეძიებს: სინანულით, ლოცვით, მარხვით, სიკეთით, ღვთისა და ადამიანების სიყვარულით. ქრისტიანული გზა ზნეობრივ სიყვარულს ეშურება და არა „ზებუნებრივი უნარების“ განვითარებას. ოკულტიზმი კი ადამიანებში აღძრავს: ძალაუფლების, ამპარტავნების და ეგოიზმისაკენ სწრაფვას, რითაც უწმიდური სული დაეცა.

ქრისტიანული ცხოვრების მიზანი „ზებუნებრივი უნარების“ განვითარება კი არ არის, არამედ, ღირსი სერაფიმე საროველის თქმით: – სულიწმიდის მოხვეჭა.

ოკულტიზმი სულ სხვა გზით მიემართება: რაღაც უჩვეულო ვარჯიშებით იგი უწმიდური სულისაგან იღებს გარკვეულ „ძალებს“, ადამიანი სულს აძლევს ეშმაკს და ყოველგვარი გარჯის გარეშე იგი იღებს „კურნების“, „ნათელმხილველობის“, „კარმის ამოცნობის“ და სხვა უნარებს. ამდენად ცხადია, რომ ოკულტისტები ღვთის მადლით კი არ მოქმედებენ, არამედ, ბნელი, უარყოფითი ძალების მიერ.

მრავალი ადამიანი დაბნეულია და უკვირს, თუ რატომ იყენებენ ოკულტისტები ხშირად საეკლესიო სანთლებს, ლოცვებს, ხატებს და სხვა სიწმიდეებს; მაგრამ ყველასათვის გასაგები უნდა იყოს,რომ ეს ყველაფერი არის სიწმიდეთა გმობა – მკრეხელობა; მაგალითად, სატანისტები ატარებენ ჯვრებს და სხვა. ამგვარი მოვლენების შესახებ წმიდა იოანე ოქროპირი ამბობს: „უკეთუ ამგვარ სეანსებზე ყოვლადწმიდა სამების,ან წმიდანების სახელს უხმობენ და უკეთუ ჯვარის ნიშსაც იყენებენ, მაშინ მსწრაფლ უნდა ვილტვოდეთ და განვეშორებოდეთ მათგან“.

ოკულტიზმის გზით ბოროტი სულები ადამიანებზე ახდენენ ზეგავლენას:

1. პიროვნების დათრგუნვა და ადამიანთა ცნობიერების მართვა;
2. ადამიანის ბიორობოტად გადაქცევა;
3. ღვთისაგან გაუცხოება;
4. ზნეობრივი ნგრევა;
5. ოჯახის ნგრევა, უზნეო ცხოვრების წესი, ზღვარგადასული სიამოვნება;
6. ადამიანთა ურთიერთგაუცხოება;
7. ორი რეალობის ზღვარზე ცხოვრება –

ვირტუალურ-მოჩვენებით და რეალურში;

8. სულიერ ავადმყოფთა რიცხობრივი ზრდა; თვითმკვლელობა;

9. ახალი რელიგიის აქტიური ჩამოყალიბება, რომელიც ბოროტი სულის თაყვანისცემას ემყარება და რომლის მსახურნიც არიან ოკულტისტები, აგრეთვე მათი მიზანია ანტიქრისტეს მისაღებად ადამიანთა მომზადება;

10. ანტიქრისტეს მიღება და მისი თაყვანისცემა.

ასეთ მძიმე შედეგებამდე მიჰყავს ადამიანი წყვდიადის მსახურებთან კავშირს. მაშასადამე, ეშმაკი ოკულტიზმის გზით ადამიანისაგან იღებს ყოველივეს რასაც ესწრაფოდა – ღმერთს განშორებული ადამიანის უნანელ სულს.

ოკულტისტების მტკიცებით, მათი საქმიანობა სიკეთეს ემსახურება: „ავადმყოფთა მკურნალობას," „ჯადოს მოხსნას", „კარმის აღდგენას" და სხვა. სინამდვილეში, როგორც ვხედავთ, ისინი არა თუ არ ეხმარებიან, არამედ – ზიანს აყენებენ და მათ სულს ეშმაკის კლანჭებში აქცევენ.

ვიფხიზლოთ ჩვენი სულებისათვის და აღვასრულოთ ღვთის მცნებები. უფალი ჩვენი იესო ქრისტე გვმოძღვრავს: „ეკრძალენით, ნუ ვინმე გაცთუნნეს თქვენ" (მათე, 24,4.), და „წარვედ ჩემგან მართლუკუნ, სატანა, რამეთუ წერილ არს: უფალსა ღმერთსა შენსა თაყვანისსცე და მას მხოლოსა მსახურებდე" (მათე, 4,10).

„იღვიძებდით უკუე ყოველსა ჟამსა და ევედრებოდეთ, რაითა ღირს იქმნეთ განრინებად ამის ყოვლისაგან, რომელი ყოფად არს, დადგომად წინაშე ძისა კაცისა" (ლუკა, 21,36.).

`GOGRIS DRESASWAULI~

დასავლეთ ევროპასა და ამერიკაში, სეკულარული საზოგადოება ნოემბერში აღნიშნავს ე. წ. „Helloween-ის დღესასწაულს". მრავალმა არც კი იცის მისი არსი და წარმოშობა, მაგრამ თანამედროვე ყოფაში აუცილებელია, ადამიანმა გარემომცველ სამყაროში: დღესასწაულებში, სხვადასხვა ასოციაციებში, საზოგადოებებსა თუ გაერთიანებებში მისი მონაწილეობის ყოველი ასპექტი დაწვრილებით გამოიძიოს სწორად განსაზღვროს მისი როლი და ადგილი, რათა გავარჩიოთ, რამდენად შეესაბამება მართლმადიდებლურ ცხოვრების წესს ჩვენი საქმიანობა და მონაწილეობა.

სკოლები, ადგილობრივი ორგანიზაციები, პრესა და ტელე-რადიო გასართობი პროგრამები ამგვარ „დღესასწაულებში" მონაწილეობით და მათი რეკლამირებით მოგებას გამორჩებიან. მართლმადიდებელი ქრისტიანებისათვის კი, ამგვარ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება, ღვთის რწმენისა და ერთგულების გამო დაუშვებელია.

ახლა ვნახოთ, რა დღესასწაულია „Helloween-ი", რომელსაც აღფრთოვანებით ეგებებიან ანტიქრისტიანული ძალები ევროპასა და ამერიკაში და მათ მიმბაძველ რიგ ქვეყნებში.

„Helloween-ი" თავისი ფესვებით, წარმართულ წარსულს უკავშირდება და კერპთაყვანისმცემლობის გაგრძელების ფორმას წარმოადგენს, რომლითაც თაყვანისცემენ სატანას, როგორც სიკვდილის ანგელოზს. როგორც ვიცით, ჩვენი წმიდა მართლმადიდებელი ეკლესია წმიდა მოწამეთა სისხლს ეფუძნება, მათ სისხლს, რომელთაც უარყვეს კერპებისათვის მსხვერპლშეწირვა, ვითარცა სატანის მსახურება, რის გამოც მრავალი ტანჯვა-წამება და სიკვდილი დაითმინეს. წმიდა მოწამეთა ესოდენი ღვაწლისათვის, ღმერთმა თავის ეკლესიას უხვად მოჰფინა მადლი, რისი წყალობითაც, ქრისტიანთა სასტიკი დევნულების ჟამს, სარწმუნოების დაცემის ნაცვლად, პირიქით, დღითიდღე მატულობდა მართლმორწმუნეთა რიცხვი.

თუ რატომ არ შეიძლება წარმართულ დღესასწაულ „Helloween-ში" ჩვენი მონაწილეობა, ამისთვის საჭიროა, რომ ამგვარი აქტის სულიერი საფრთხე გავაცნობიეროთ, რისთვისაც ამ ანტიქრისტიანული დღესასწაულის წარმოშობას უნდა გავეცნოთ.

ამ დღესასწაულის ისტორია, როგორც ზემოთ ითქვა, ქრისტიანობამდელ პერიოდს მიეკუთვნება. იგი დიდი ბრიტანეთის კელტურ ტომებში, ირლანდიაში და ჩრდილოეთ საფრანგეთში აღმოცენდა, სადაც წარმართ ხალხებს სჯეროდათ, რომ ფიზიკური სიცოცხლე სიკვდილისაგან წარმოიშვა და ამიტომ, ისინი სიკვდილის კულტს აღიარებდნენ. ამ

კულტის დღესასწაულს ძველად ახალ წელს აღნიშნავდნენ, შემოდგომას, ანუ მათი რწმენით, ახალი სიცოცხლის დაწყებას ზეიმობდნენ 31 სექტემბრიდან – 1 ნოებრამდე, როდესაც, მათი წარმოდგენით, სიცივეების, წყვდიადის, დაცემისა და სიკვდილის დრო დგებოდა. დღესასწაულის დამდეგს, ღამით, ზემოთხსენებული წარმართი ხალხები განადიდებდნენ თავიანთ კერპს, სამხაინს, რომელსაც თაყვანს სცემდნენ, როგორც სიკვდილის მბრძანებელს. სწორედ მას ეძღვნებოდა და დღესაც ეძღვნება ე.წ. „Helloween-ის“ დღესასწაული.

ამ დღესთან მრავალი რწმენა და ჩვეულება იყო დაკავშირებული, რომელთა შეფასებაც, მართლმადიდებლური თვალსაზრისით, სხვანაირად არ შეიძლება თუ არა როგორც – ეშმაკეულისა. ამ ჩვეულებებმა დღემდე მოაღწიეს:

ძველად, შემოდგომით ახალი წლის დამდეგს, დრუიდების (ქურუმების) მითითებით, ხალხი აქრობდა კოცონს, ცეცხლს – კერიაზე, სანათურებს. დღესასწაულის ღამეს კი ანთებდნენ დიდ კოცონს, მუხის ტოტებისაგან (რამდენადაც მუხა წმინდა ხედ ითვლებოდა). ამ კოცონზე წვავდნენ სამსხვერპლო ნაყოფს, ცხოველებს და ადამიანებსაც წირავდნენ მსხვერპლად. ყოველივე ამით სამხაინის გულის მოგება სურდათ. მათი აზრით, სიკვდილის „მბრძანებელი“ იმ დღით მიცვალებულთა სულებს შინ დაბრუნების ნებას აძლევდა. სწორედ აქედან წარმოდგა და დღემდე აღასრულებენ ჩვეულებას, რომლის მიხედვითაც, რიტუალის მონაწილეები ბნელში, ნიღბებსა და კოსტუმებში გამოწყობილები განასახიერებენ ჯადოქრებს, დემონებს და სხვა უწმინდურ ძალებს, ამ რიტუალით ისინი ცდილობენ თავიანთი კერპის გულის მოგებას. ამ წარმართული კულტის კიდევ ერთ მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს გასართობი „Trick or trekt“ (სისაძაგლე ან ძღვენი). ეს რიტუალიც მათი „დღესასწაულის“ მაგიური პრაქტიკის სისტემის ნაწილია.

ხსენებული კულტის, როგორც ძველი, ასევე თანამედროვე ადეპტები თვლიან, რომ სამხაინის სამსახურში მყოფი ბნელი ძალებისათვის შესაწირი უნდა გააკეთონ. კულტის მსახურთა აზრით, გარდაცვლილის სულები, რომლებიც სიცივის, წყვდიადის და სიკვდილის სამყაროში ბატონობენ, ცოცხლების მონახულების დღეს დაუცხრომელ შიმშილს განიცდიან. ამიტომ კერპთმსახურნი დღესასწაულის დამდეგს მოხეტიალე სულებისათვის საჭმელს ამზადებენ, რადგან მათი რწმენით, თუკი იმ ღამით მოსული მიცვალებულთა სულები უკმაყოფილოები დარჩებოდნენ, მაშინ სამხაინის რისხვა და წყევა დაატყდებოდათ.

აი, ეს არის ნამდვილი აზრი ამ წარმართული „დღესასწაულისა“. სრულიად ნათელია, რომ მართლმადიდებელ ქრისტიანებს ამგვარ დღესასწაულში მონაწილეობა ეკრძალებათ, რადგან მსგავსი ღონისძიებები კერპთაყვანისცემას წარმოადგენს. ქრისტიანი, რომელიც მსგავს რიტუალში მონაწილეობს, ნამდვილად ღვთის გამცემია, რადგან იგი ნებსით ეძებს სიახლოეს მასთან, ვისაც სინამდვილეში სამხაინი კი არა და – სატანა ჰქვია და რომელიც არის ღვთის მოწინააღმდეგე.

„Helloween“-თან დაკავშირებული კიდევ სხვა მრავალი ჩვეულებაც არსებობს. მაგალითად: ყოველგვარი მკითხაობა, „წინასწარმეტყველება“, ჯადოქრობა და შელოცვა, ან საშინელი, ყურებამდე სახედაღმეჭილი გამოსახულებიანი გოგრის გამოფენა-გამოდგმა, რომლის შიგნითაც „სანთელს“ ანთებენ და მას „Jack o’lantern“-ი (ლამფის ჯეკი) ჰქვია. გოგრით სახლებში მიჰქონდათ ცეცხლი კოცონიდან. გოგრაზე გამოსახული საშინელება მიცვალებულს განასახიერებს. გამოსახულებიანი გოგრის ლამფა, რომელიც მთელ ღამეს უნთიათ, ეშმაკეულ დამახინჯებას წარმოადგენს წმიდა კანდელისას, რომელსაც ქრისტიანები უფალს, დედაღვთისას და მის სათნო წმიდანებს უნთებენ. ამგვარი გოგრით სახლის ან სხვა სამყოფელის მორთვაც კი, წარმართულ დღესასწაულში – სიკვდილის ზეიმში მონაწილეობას გულისხმობს. „Helloween-ის“ ზეიმთან დაკავშირებული დღესასწაული მკითხაობით სრულდებოდა; მას მერე, რაც სამსხვერპლო კოცონი ჩაიწვებოდა, ქურუმები ხალხს მომავალი წლის მოვლენებზე უმკითხავებდნენ. მას შემდეგ „Helloween-ის“ ღამე ყოველგვარი ჯადოქრობის, მკითხაობის და მაგიური თამაშობების ღამედ დარჩა. მოგვიანებით, შუასაუკუნეებში, ეს დღე განკუთვნილი იყო შავი მაგიისა და სატანის მსახურებისათვის. ჩვენს დროში ე.წ. „სატანის ეკლესიამ“ ეს დღე საჯაროდ გამოაცხადა თავის დღესასწაულად. როგორც ვხედავთ, თანამედროვე „Helloween-ის“ წეს-ჩვეულების ფესვები კერპთაყვანისმცემლობიდან, წარმართობიდან იღებს სათავეს. წარმართები, რომელთა სარწმუნოებაც ოკულიტიზმს, სატანიზმს და მაგიას შეერწყმის, ადრეულ შუასაუკუნეებში, მთავარ ოკულტურ დღესასწაულად იქცა.

მისი აღნიშვნის ღამეს და მთელ მომდევნო დღეს, ჯადოქრობის ყველა შესაძლო აქტები ტარდებოდა. მრავალი მათგანი ქრისტიანობის წეს-ჩვეულების და სარწმუნოების დაცინვას მოიცავდა. ჩონჩხის გამოსახულებიან კოსტუმებში გამოწყობილნი წმიდა ნაწილების თაყვანისცემის ქრისტიანულ წესს დასცინოდნენ; იპარავდნენ სიწმიდეებს და სხვა.

თანამედროვე საზოგადოებაში გამუდმებით გვარწმუნებენ, რომ არც სულიერ ძირებს და არც ამა თუ იმ წეს-ჩვეულების წარმოშობას ყურადღება არ უნდა მივაქციოთ, რადგან მათი განმარტებით, „Helloween-ი“ და სხვა მსგავსი რიტუალები „გარეგნულ“, „მხიარულ“ და „უწყინარ“ ჩვეულებებს წარმოადგენენ. ამგვარი შეხედულებისა და დამოკიდებულების მიღმა ათეიზმის საწყისი იმალება, რომელიც უარყოფს ღმერთს და სატანასაც და ამიტომაც ასკვნის, რომ ეს აშკარა კერპთაყვანისცემლური ჩვეულება უწყინარია.

წმიდა ეკლესია თანამედროვე სეკულარული საზოგადოების ამ თვალსაზრისის წინააღმდეგია, რამეთუ უფალი ჩვენი იესო ქრისტე გვასწავლის, რომ ყოველივეს, რასაც ადამიანი აკეთებს, ღმერთი განსჯის და ყოველი ჩვენი საქციელი ან ღვთივსათნოა, ან მისი საწინააღმდეგო: „რომელი არა შეჰკრებს ჩემ თანა, იგი განაბნევს“.

თუკი არ გავაცნობიერებთ, რომ ჩვენი რეალური მტერი არის სატანა, რომელიც ერებს და ცალკეულ ადამიანებს კაცთა მოდგმის საწინააღმდეგო ცოდვას ჩააგონებს და რომელიც ადამიანებს ჭეშმარიტების გაცნობიერების საშუალებას არ აძლევს – ჩვენ არასოდეს გვექნება უკეთესი სულიერი ცხოვრების იმედი, „რამეთუ არა არს ბრძოლაჲ ჩვენი სისხლთა მიმართ და ხორცთა, არამედ მთავრობათა მიმართ და ხელმწიფებათა სოფლის მპყრობელთა მიმართ ბნელისა ამის საწუთოჲსათა, სულთა მიმართ უკეთურებისათა, რომელნი არიან ცასა ქუეშე“.

დღეს სატანისტური კულტების გავრცელების მოწმე ვხდებით. არსებობს ფაქტები, სატანის მსახურთა მიერ მრავალი დანაშაულისა. გაზეთის ჯიხურები სავსეა ოკულტურ-სატანისტური პრესით, სადაც ფართოდაა წარმოდგენილი მასალები სპირიტიზმზე, ზებუნებრივ მოვლენებზე, სეანსებზე „წინასწარმეტყველებებზე“ და ეშმაკისაგან შთაგონებულ ყოველგვარ ქმედებაზე.

„Helloween-ის“ წარმართულ – სატანისტური ფესვების შესახებ თქვენს შვილებს უნდა უამბოთ და ასწავლოთ ყმაწვილებს, თუ რატომ არ შეიძლება ამგვარ „დღესასწაულებში“ მონაწილეობის მიღება. მადლობა უფალს, რომ ჯერ კიდევ შეგვიძლია ქრისტიანული სინდისის საწინააღმდეგო ღონისძიებებში მონაწილეობაზე უარის თქმა. ღმერთი სატანის წინაღსადგომ საშუალებებს გვაძლევს და ჩვენ ვალდებულები ვართ, რომ ეს გამოვიყენოთ.

შეადგინა და თარგმნა:
მარიამ ნიაურმა

DAUJDOMELI SAGALOBELI WMIDISA MRVDEL-MOWAMISA KVIPRIANESI DA MOWAMISA IUSTINASI

ევედრებიან ჯადოქრობისაგან თავის დასაცავად
და ეშმაკეულთა განსაკურნებლად

ტროპარი:

საქმით მიემსგავსე მოციქულთა და საყდარსა მათსა ღირსიქმენ, საქმე მოიგე, ნეტარო, აღმყუანებელი ხედვად, ამისთვისცა სიტყუასა მას ჭეშმარიტებისასა მართლიად აღმოიტყოდი, და სარწმუნოებით იღუაწე, ვიდრე სისხლთა დათხევადმდე წმიდაო მღუდელმთავარო კვიპრიანე, ევედრე ქრისტესა ღმერთსა შეწყალებად სულთა ჩუენთათვის.

კონდაკი

ხელოვნებისა მისგან მოგებისა მოისწრაფე შენ, ღვთივგონიერო, საღმრთოთა მეცნიერებისა მიმართ, და აჩუენე სოფელსა სიბრძნეი შენი, ყოვლადბრძენო და პატივისმცემელთა შენთა კურნებასა მიანიჭებ, კვიპრიანე, იუსტინეს თანა, მეოხგვეყვენით წინაშე კაცთმოყუარისა მეუფისა, რათა ვედრებითა თქუენითა შეიწყალნეს სულნი ჩუენნი.

კონდაკი 1

ჭეშმარიტ ღუთისადმი მსახურებისათვის,ეშმაკის მსახურებისაგან გამორჩეულო და წმიდათა დასთან შეერთებულო, წმიდაო მღუდელმოწამეო კვიპრიანე, ევედრე ქრისტესა ღმერთსა, რათა გვიხსნას ჩუენ ბადეთაგან მზაკვარისასა და მოგუანიჭოს ჩუენ ძლევაი სოფელსა, ხორცთა და ეშმაკსა ზედა. და ესრეთ გიხმობთ შენ: გიხაროდენ, მღუდელ-მოწამეო კვიპრიანე, მსწრაფლშემწეო და მეოხო სულთა ჩუენთათვის.

იკოსი 1

ძალნი ანგელოზთანი განკვირდეს, ოდეს ხელოვნებისა მისგან მოგუობისა მოისწრაფე შენ, ღუთივგონიერო კვიპრიანე,საღმრთოიესა მეცნიერებისა მიმართ,და სინანულითა შენითა მოიღე ანგელოზებრივი უვნებელი ცხოვრება და აწ ჩუენცა მოქცევითა შენითა განკურვებულნი, გიღაღადებთ:

გიხაროდენ, მოქცევითა შენითა ანგელოზთა განმაკვირვებელო;

გიხაროდენ, წმიდათა დასის განმამხიარულებელო;

გიხაროდენ, სიბრძნისა შენისა წარმომაჩინებელო;

გიხაროდენ,ქრისტესათვის გვირგვინისა მომღებელო;

გიხაროდენ,რამეთუ შენს მიერ ეშმაკნი განიოტიან;

გიხაროდენ,რამეთუ შენს მიერ ყოველნი სნეულებანი განიკურნვნიან;

გიხაროდენ, მღუდელ-მოწამეო კვიპრიანე მსწრაფლშემწეო და მეოხო სულთა ჩუენთათვის.

კონდაკი 2

ჰხედვიდა რა უფალი,თუ ვითარ მცირისა მის ასაკისაგან,უსჯულო მშობელთა მიერ, მიცემულ იქნა სწავლად ეშმაკისადმი მსახურებისა, ინება მოქცევაი მისი, და ანგელოზთა და ყოველთა წმიდათა თანა გალობად თვისსა მომართ: ალილუია.

იკოსი 2

გონებაჲ არასრული გულსმოდგინედ იღვწოდა შეცნობად ჭეშმარიტებისასა, და გამოძიებითა ეშმაკთა მანქანებათა, იხილა რა უძლურებაჲ მათი და შიში ქრისტესი, მოისწრაფა ტაძარსა უფლისასა საღმრთოჲსა მეცნირებისა მიმართ. ამისთვის გიღაღადებთ შენ:

გიხაროდენ, ეშმაკთა მანქანებათა შემსწავლელო;

გიხაროდენ, მისდამი მსახურებისა ხიბლთა მამხილებელო;

გიხაროდენ, გუელისა მის ბოროტისა შემარცხვენელო;

გიხაროდენ, ქრისტეანთა განმადიდებელო;

გიხაროდენ, ამასოფლისა ბრძენთა უბრძენესო;

გიხაროდენ, გონიერთა უგონიერესო;

გიხაროდენ, მღუდელ-მოწამეო კვიპრიანე, მსწრაფლშემწეო და მეოხო სულთა ჩუენთათვის.

კონდაკი 3

ძალმან მაღლისამან განგიბრძნო შენ გონებაჲ, ოდეს ვერ ჰპოვე წარმატებაჲ, ჯადოქრობასა შინა აღლადოსისთვის იუსტინესა მიმართ. ეშმაკთა ჰრქუეს მას: გუეშინის ჩუენ ჯუარისა და ვკარგავთ ძალსა, ოდეს ლოცულობს იუსტინე. ხოლო მან ჰრქუა მათ: უკეთუ გეშინის თქუენ ჯუარისა, ჯუარცმული უძლიერეს არს მისსა. და მცნობელი ესე ეშმაკთა უძლურებისა, შევიდა ტაძარსა უფლისაჲსა გალობად ყოველთა მართალთა თანა: ალილუია.

იკოსი 3

აქუნდა რა, გონებაჲ ზესთა ძალითა განათლებული, მიისწრაფვის კვიპრიანე მღუდელისა მიმართ და სთხოვს მას ნათლისღებასა, მან კი შეძრწუნებულმან არა შეისმინა მისი. ხოლო კვიპრიანე მირბიოდა სახლსა უფლისასა და ჰსდგა რა წირვაზედ არა განვიდა ტაძრიდგან, ოდეს ღაღადჰყო დიაკვანმა: „კათაკმეველნო განვედით“. ჰრქუა კვიპრიანემ: „არა განვიდე, უკეთუ არა ნათელ მცეთ მე“. ხოლო ჩუენ ვითარცა შენისა განბრძნობისა მოხარულნი გიგალობთ ესრეთ:

გიხაროდენ, ზესთა ძალითა განათლებულო;

გიხაროდენ, უფლისა მიერ განბრძნობილო;

გიხაროდენ, ჯუარისა ძალისა შემცნობელო;

გიხაროდენ, ეშმაკთა თავისა თვისისაგან განმდევნელო;

გიხაროდენ, ცხოვრებისა თვისისა გამომასწორებელო;

გიხაროდენ, ეკლესიად სლვათა შენთა წარმმართუელო;

გიხაროდენ, მღუდელ-მოწამე კვიპრიანე მსწრაფლშემწეო და მეოხო სულთა ჩუენთათვის.

კონდაკი 4

ზრახუათა ქარიშხალმა მოგიცვა შენ, თუ ვითარცა ძალითა მიგეღო ნათლისღებაჲ. და შეჰკრიბა რა ჯადოქრობისა წიგნნი თვისნი, წარიღო და დაჰსწვა ქალაქსა შორის, ღუთისა მიმართ გალობითა: ალილუია.

იკოსი 4

ესმა რა მღუდელსა შესახებ შენსა და კეთილგანზრახუისა შენისა გამო, ვითარმედ გსუროდა ქრისტეანობა, ნათელს გცემს შენ და განგამწესეს მკითხუელად ტაძარსა შინა. ამისთვის გიგალობთ შენ:

გიხაროდენ, ბოროტთა სულთა მძლეველო;

გიხაროდენ, ჯადოქრობისა წიგნთა დამწუელო;

გიხაროდენ, ქრისტეანობის მომწადინებელო;

გიხაროდენ, წმიდისა ნათლისა მომღებელო;

გიხაროდენ, მღუდლისა მიერ განსწავლულო;

გიხაროდენ, მღუდელ-მოწამეო კვიპრიანე მსწრაფლშემწეო და მეოხო სულთა ჩუენთათვის.

კონდაკი 5

წმიდისა ნათლისღებისა, ღვთივქსოვილისა სამოსლისა მომღებელი, გულსმოდგინედ ჰვედრიდი ღმერთსა წარსულ ცოდუათა მოტევებასა და ყოველთა ქრისტეანთათჳს უგალობდი ღმერთსა: ალილუია.

იკოსი 5

ჰხედვიდა რა მღუდელი ღუწათა და შრომათა შენთა, წმიდაო მღუდელ-მოწამეო კვირპიანე: მარხუასა, მრავალძალსა მღვიძარებასა, მუხლმოდრეკასა, სინანულსა, ლოცუასა შინა ცრემლთა დენასა, შემდგომად რაოდენთამე ჟამთა დაგადგინეს შენ დიაკვნად. ხოლო ჩუენ ვმადლობთ

ღმერთსა და ესრეთ გაქებთ შენ:

გიხაროდენ, დღითა და ღამით ღუთისა მიმართ მღაღადებელო;

გიხაროდენ, ცოდუათა მოტევებისათვის მვედრებელო;

გიხაროდენ, წინაშე ღუთისა ლოცუათა შინა ცრემლთა დამთხეველო;

გიხაროდენ, გზისა მხსნელისა შემცნობელო;

გიხაროდენ, ღუთისადმი მგზნებარე სიყუარულისა წარმომაჩინებელო;

გიხაროდენ, მღუდელ-მოწამეო კვიპრიანე მსწრაფლშემწეო და მეოხო სულთა ჩუენთათვის.

კონდაკი 6

ქრისტეანულისა კეთილმსახურებისა სახითა ჰბაძვიდი რა ქალწულსა იუსტინეს, წმიდაო მღუდელ-მოწამეო კვიპრიანე, ჭეშმარიტად სრულყოფილ ქრისტეანედ წარმოგვიდეგ ჩუენ, უარჰყავ რა უღვთო სწავლება, ნათელიღე და ბაგითა შენითა და გულითა წმიდითა მადლობით უგალობდი ღმერთსა: ალილუია.

იკოსი 6

გაბრწყინდა რა გულსა შინა შენსა ნათელი ღუთაებრივისა სრულყოფილებისა, მიიწიე პატივსა მღუდელობისასა, ხოლო შემდგომად ამისა – ეპისკოპოსობისასა. გევედრებით შენ: ლოცუითა შენითა განანთლენ ჩუენნიცა გულნი, შენდამი მხურვალედ ესრეთ მლოცველთა:

გიხაროდენ, ეპისკოპოსად კურთხეულო;

გიხაროდენ, ქალაქო მთასა ზედა აღშენებულო;

გიხაროდენ, წინაშე ღუთისა აღნთებულო ლამპარო;

გიხაროდენ, ღუთისადმი დაუღალავო მლოცველო;

გიხაროდენ, ჩუენდამი ღუთისაგან ბოძებულო მოძუღუარო;

გიხაროდენ, მღუდელ-მოწამეო კვიპრიანე მსწრაფლშემწეო და მეოხო სულთა ჩუენთათვის.

კონდაკი 7

ინება რა უფალმან ხსნაჲ ყოველთა, მოგვანიჭა ჩუენ მეოხი ესე, შემწე და მკურნალი ამა სოფლისა ბოროტ სულთაგან. ზრახუათა და სიტყუათა შენთა მიერ მრავალთა მოიყუანებდი სინანულად და განშორებად ცოდვიან ცხოვრებისაგან, და ასწავებდი მათ გალობად ღუთისადმი ესრეთ: ალილუია.

იკოსი 7

ახალ ბრძენ-მკურნალად გამოუჩნდი სოფელსა მღუდელ-მოწამეო კვიპრიანე, რამეთუ ლოცვისა შენისა ძალითა მრავალფერ გრძნეულებათა ვერ ძალუძთ წინააღმდგომად ჩუენდა, არამედ ბოროტ კაცთა და მზაკუარ ეშმაკთა მიერ წარმოგზავნილნი მეყუსეულად შეიმუსვრიან და განიდევნიან, ხოლო ჩუენ, შენდამი მონიჭებულისა საღმრთოჲსა ძალისა მხილველნი, გიგალობთ ესრეთ:

გიხაროდენ, ჯადოქრულ მანქანებათა დამარღვეველო;

გიხაროდენ, საშინელ ეშმაკთა განმდევნელო;

გიხაროდენ, რამეთუ შენით ბოროტნი სულნი, ვითარცა კუამლი განქარდებიან;

გიხაროდენ, რამეთუ შენს მიერ, მრავალგვემულთა მზაკვარნი სულნი მეყუსეულად განეშორვნიან;

გიხაროდენ, ჭირთა და მწუხარებათგან გამომხსნელო;

გიხაროდენ, ტანჯუათა სიხარულად გარდამაქცეველო;

გიხაროდენ, მღუდელ-მოწამეო კვიპრიანე მსწრაფლშემწეო და მეოხო სულთა ჩუენთათვის.

კონდაკი 8

საკჳრველ სასწაულად გვიჩნს შენდამი რწმენით მოლტოლვილთა, წმიდაო მღუდელ-მოწამეო კვიპრიანეო, რამეთუ ღვთივბოძებულითა, კაცთა მტანჯუელ, უწმიდურ სულთა განდევნის მადლით, ეშმაკნი განისხმიან, სნეულნი განიკურნვნიან და უგალობენ ღმერთსა: ალილუია.

იკოსი 8

მთელითა გულითა შენითა, წინაშე ღუთისა ამაღლებულო და მთელითა სულითა შენითა მისისა შემყუარებელო, ყოვლითა გულსმოდგინებითა და სურვილითა იღწვოდი აღსრულებად ნებისა მისისა, ხოლო შენ, ვითარცა მწყემსმან კეთილმან, არა მოიძაგე ურვათაგან დამძიმებულნი, არამედ წარმძღოლველი ლოცვათა შინა წინაშე ღუთისა, კურნებათა და ნუგეშთა მიჰმადლებ მათ, ხოლო ჩუენ მაქებელნი ღუთისადმი შენისა სიყუარულისა, გიგალობთ ესრეთ:

გიხაროდენ, ყოვლითა გულითა ქრისტესა შემყუარებელო;

გიხაროდენ, ყოველთა სათნოებათა სრულმყოფელო;

გიხაროდენ, სნეულთა და უძლურთა შეწევნაო;

გიხაროდენ, ურვათა და მწუხარებათა შინა ნუგეშინისცემაო;

გიხაროდენ, ამა სოფლისა, ხორცთა და ეშმაკისაგან მომდინარე, ყოველთა ცილისწამებათა და საცდურთა განმაოტებელო;

გიხაროდენ, ყოველთა სულიერთა და ხორციელთა სნეულებათაგან განმკურვნელო;

გიხაროდენ, მღუდელ-მოწამეო კვიპრიანე მსწრაფლშემწეო და მეოხო სულთა ჩუენთათვის.

კონდაკი 9

ყოველნი ძალნი ანგელოზთანი მხიარულ იქმნენ,ჰხედვიდენ რა შეურყეველად და კადნიერად აღმსარებელსა ქრისტესა, ოდეს იუსტინესა თანა წარყუანილ იქმნა წარსაკუეთელად თავისა, ხოლო კვიპრიანე თანაუგრძნობდა, რათა არა განუდგეს იუსტინე ქრისტესა, ოდეს იხილავს მას თავწარკუეთილსა, და ჰრქუა კვიპრიანემ: უმჯობეს არს უწინ წარკუეთად შენდა, ხოლო შემდგომად – ჩემდა. და დაჰსდევდეს რა თავნი მახვილსა ქუეშე, უგალობეს ღმერთსა: ალილუია.

იკოსი 9

არცა რიტორთა მრავალმეტყუელთა ძალუძთ ღირსად გამოთქმად ქრისტესათვის თქუენთა ტანჯუათა, არა შეუშინდით ფიცხელთა ქადაგებათა, არამედ ნათლითა სახეებითა წარსდეგით წინაშე უსჯულოთა სამსჯავროისა და მით აღსძრავთ ყოველთა მართალთა გალობად თქუენდა:

გიხაროდენ, ქრისტეს სარწმუნეობის შეურყევნელო აღმსარებელნო;

გიხაროდენ, ყოვლადწმიდისა სამებისა კადნიერებით მქადაგებელნო;

გიხაროდენ, ქრისტესათვის სულთა თქუენთა დამდებელნო;

გიხაროდენ, ფიცხელთა წამებათა არარად შემრაცხუელნო;

გიხაროდენ, რამეთუ ტაჯუანი თქუენნი მართალმორწმუნეთა მიერ იქებიან;

გიხაროდენ, რამეთუ სახელნი თქუენნი ტაძარსა შინა ღმრთისასა იდიდებიან;

გიხაროდენ, მღუდელ-მოწამეო კვიპრიანე მსწრაფლშემწეო და მეოხო სულთა ჩუენთათვის.

კონდაკი 10

გენება რა ხსნაჲ, ბოროტ სულთაგან შეპყრობილთა, ყოველთა სულთა, ნუ დაჰსცხრები ვედრებად უფლისა მიმართ, მღუდელ-მოწამეო კვიპრიანე, რამეთუ მონიჭებულ არს მადლი ლოცვისა ჩუენ ყოველთათვის, რაჲთა შეწყალებულნი და განწმედილნი უგალობდეთ ღმერთსა: ალილუია.

იკოსი 10

კედლად მტკიცედ და ზღუდედ შეურყეველად, ყოველთა ხილულთა და უხილავთა მტერთაგან, გვექმენ ჩუენ, მხურვალითა რწმენითა და სიყუარულითა შენდამი მოლტოლვილთა, მღუდელ-მოწამეო კვიპრიანე, რათა შენისა მიერ დაცულნი და ხსნილნი გიგალობდეთ:

გიხაროდენ, სიმდაბლითა შენითა ბოროტთა სულთა ისართა დამწუელო;

გიხაროდენ, ხილულთა და უხილავთა მტერთაგან კედელო და ზღუდეო;

გიხაროდენ, მართლმადიდებელი ეკლესიისა ყოვლადდიდებულო სამკაულო;

გიხაროდენ, მწუხარეთა უსაყვარლესო ნუგეშო და მხიარულებაო;

გიხაროდენ, მღუდელ-მოწამეო კვიპრიანე მსწრაფლშემწეო და მეოხო სულთა ჩუენთათვის.

კონდაკი 11

კეთილინებე რა უღირსებისა შენისაგან ღირსყოფად და შერთუად ყოვლადწმიდისა სამებისა სამწყსოჲსა თანა, დაუცხრომელითა გალობითა მისდამი – წყალობისათვის ყოველთა შეცოდებულთა მომართ – სხუათა გარდაემატე, მღუდელ-მოწამეო კვიპრიანე, მსწრაფლშემწეო და მეოხო სულთა ჩუენთათვის. ხოლო ჩუენ, ესევითარისა ჩუენდამი მოწყალებისა გამო, ვმადლობთ ღმერთსა და ვჰხმობთ მას: ალილუია.

იკოსი 11

ნათელცისკროვან სანთლად მოევლინე ქრისტეს ეკლესიასა ღვთივ-განბრძნობილო, რომელი უნივთოითა ნათლითა განანათლებ სულთა მართალთა, გვედრით შენ, აწცა განგვინათლე ცოდუით დაბნელებულნი გულნი ჩუენნი, შენდამი ესრეთ მგალობელთა:

გიხაროდენ, განწირულთაგან, ვითარცა ცხოვარი დაკარგული აღმოტაცებულო;

გიხაროდენ, უღირსებისა შენისგან ღირსად ქმნილო;

გიხაროდენ, ღუთისა მიერ წმიდისა მისისა სამწყსოჲსა თანაშეერთებულო;

გიხაროდენ, ნათლითა უნივთოჲთა მართალთა სულთა განმანათლებელო;

გიხაროდენ, შეცდომილთა ჭეშმარიტ გზაზე მომყუანებელო;

გიხაროდენ, მღუდელ-მოწამეო კვიპრიანე მსწრაფლშემწეო და მეოხო სულთა ჩუენთათვის.

კონდაკი 12

შენდამი ღვთივბოძებულითა მადლითა დასთრგუნავ ძალთა მტერთასა და ყოველსა სატანებრივსა ზედამოსვლასა. სძლიე რა მტერსა შენსა და აღიბეჭდე მოწამეობრივითა წინაშე საყდრისა მეუფისა დიდებისასა, ევედრე ღმერთსა მონიჭებად ჩუენდა დაჰხსნისა ტყუეობისაგან ეშმაკისასა, რაჲთა ხსნილნი ესე უგალობდეთ მას: ალილუია.

იკოსი 12

უგალობთ რა, შენსა ღუთისადმი ერთგულებასა, და საკვირველთა, უდიდებულესთა სასწაულთა, გაქებთ და გადიდებთ შენ მღუდელ-მოწამეო კვიპრიანე, ღუთისაგან მიღებულისა ესე ვითარისა მადლისა გამო და გევედრებით შენ, რათა ჟამსა სიკუდილისა ჩუენისასა, ოდეს სულთა ჩუენთა გარე მოადგეს სიმრავლე ეშმაკთასა, მოგვივლინე შეწევნაჲ შენი, რაჲთა ჰხსნილნი შენს მიერ ვხმობდეთ შენდამი ესრეთ:

გიხაროდენ, მტერთა ძალისა ზედამოსვლათაგან მსწრაფლშემწეო;

გიხაროდენ, ყოველგუარ ჭირთა და მწუხარებათაგან გამომხსნელო;

გიხაროდენ, ქრისტეს სრულად შემყუარებელო;

გიხაროდენ, მისთვის სულისა შენისა დამდებელო;

გიხაროდენ, ზეციურ კრავის სისხლში განბანილო;

გიხაროდენ, უფლის ეზოთა შინა დამკვიდრებულო;

გიხაროდენ, წმიდათა დასთა თანა შეერთებულო;

გიხაროდენ, ნათლითა სამბრწყინვალითა განბრწყინვებულო;

გიხაროდენ, მღუდელ-მოწამეო კვიპრიანე მსწრაფლშემწეო და მეოხო სულთა ჩუენთათჳს.

კონდაკი 13

ჰ, ყოვლად საკვირველო და ყოვლად-დიდებულო, ღუთის სათნომყოფელო, წმიდაო მღუდელ-მოწამეო კვიპრიანე, მსწრაფლშემწეო ყოველთა შენდამი მოლტოლვილთაო, მიითუალე ჩუენ უღირსთაგან სადიდებელი ესე გალობაჲ ჩუენი, მრავალფერ სნეულებათაგან განგვკურნე, დაგვიცევ ყოველთა ხილულთა და უხილავთა მტერთაგან, და ევედრე ღმერთსა ხსნად ჩუენდა საუკუნო სატანჯუელთაგან, რათა ჩუენცა შენთანა უგალობდეთ მას ესრეთ: ალილუია.

(ეს კონდაკი იკითხება სამგზის, შემდეგ იკოსი 1 და კონდაკი 1)

სავედრებელი ლოცვა

ჰ, წმიდაო, სათნომყოფელო ღუთისაო, მღუდელ-მოწამეო კვიპრიანე,მსწრაფლშემწეო და მლოცველო ყოველთა შენდამი მოლტოლვილთათჳს, მიითუალე ჩუენ უღირსთაგან სადიდებელი ესე, ევედრე უფალსა ღმერთსა ჩუენსა, რათა მოგუმადლოს ჩუენ უძლურებათა შინა განმტკიცებაჲ, მწუხარებათა შინა – ნუგეშინისცემაჲ, და მოგუანიჭოს ჩუენ ყოველი სარგებელი ცხოვრებისა ჩუენთათვის აღავლინე უფლისა მიმართ მრავალძალი ლოცუაჲ შენი, რათა დაგვიცვას ჩუენ ყოველთაგან შეცოდებათა, გვასწაოს ჩუენ ჭეშმარიტი სინანული, გვიხსნას ჩუენ ტყუეობისაგან ეშმაკთა და ბოროტთა სულთა მანქანებათაგან და ყოველთა მაჭირვებელთა ჩუენთაგან. გვეყავნ ჩუენ მცუელად შეურყეველად, ყოველთა ხილულთა და უხილავთა მტერთაგან, მოგუანიჭე ჩუენ განსაცდელსა შინა მოთმინებაჲ და ჟამსა სიკუდილისა ჩუენისასა შეწევნაჲ მოგვივლინე მაწამებელთა ჩუენთაგან, რომელნი შეგვემთხვივნეს ჰაერთა შინა საზეერეთასა, რათა შენს მიერ ძღუანებულნი, მივიწივნეთ ზეციურისა იერუსალიმსა, და ცათა სასუფეველსა შინა ღირსვიქმნეთ ყოველთა წმიდათა თანა დიდებად ყოვლადწმიდისა სამებისა, მამისა და ძისა და წმიდისა სულისა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

მონოზვნის აღთქმა

კითხვა-მიგება

უკეთუ მოხრწყლნარ წინაშე ღვთისა, გეკითხვე ხოლმეადთ
და მოიგე ზ-ყენ ყოველთა კრძალულებითა:
კითხვა: რაიხათვის მოხრწყლნარ, ძმათ, შეეწყობოთ, წმიდანი
ამნი მეხვეწლის შეწირვანი და წმიდათა ანთ კრებულთა?
მიგება: მნეთავენ განშორებაი ხოფლისაგან, ბაკითხანთ ძმათ.
კითხვა: ნებითა შენითა ღირს ექმნეთა ანგელოზებრივნი ამნი ხანენი
და წესნი გუნდთა მონოზონთანა?
მიგება: ბე, ღუთისა ძალითა, ბაკითხანთ ძმათ.
წინაშეღუარძან: ხოლო რაკამს აღგირზეკეს ყეთილი და ხანატრელი ეხე
ხაქმე, უკეთუ გნებავს განხრწყლებაი ყეთილთანა ხაქმანი,
ძროთითა, რუდუნებითა და ტკივილითა განხრწყლდებინ.
კითხვა: ნებნთ გონებითა შენითა ძონ-ყალა წინაშე უფლისა?
მიგება: ბე, ღუთისა ძალითა, ბაკითხანთ ძმათ.
კითხვა: დაიცავ ქალწულებანა შენნი ყოველთა გონებითა და ხანიებითა?
მიგება: ბე, ღუთისა ძალითა, ბაკითხანთ ძმათ.
კითხვა: ცხოვრებანა შინა შენნი ვიდრე ხეკვდეადე ბყოფა
ძორწილებანი უფრთხილანა, და ყოველთა ქრისტეს მიერ ძმათანა?
მიგება: ბე, ღუთისა ძალითა, ბაკითხანთ ძმათ.
კითხვა: დათმენა ყოველნი ძვირისხილვანი, ოჩრობანი, ბორგნა
მიერ ალძრწყლნი ძნაკუარებანი, ხან-ეფეკეკლიანთვის ცანა?
მიგება: ბე, ღუთისა ძალითა, ბაკითხანთ ძმათ.

ხელმძღვანელი, 14 ხალხე.
სამაგალი ეკლესიელების ტაძარნ
ეკლესიის ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედ ხატნ
ანასტასიან ანძელაძე. აშენებინებენ ლიზიე (ტუნისი)
ალბნელებს ბანაკლის ქმაე ნაკეალიანის.

სამაგალის წმიდა ნინოს დედათა
ანასტასიან ანძელაძის ეკლესიის და ღიანეს
ეპისკოპოსის „ბანაკლის“ ხელმძღვანელის
ბ-ნ ალბერ ბანაკელის.

რედაქტორი: მარიამ (მარინე) ნიაური
სარედაქციო კოლეგია: არჭიმანდრიტი ლაზარე (გაგნიძე)
ილუმენია ქეთევანი (კოპალიანი)
მონოზონი სოსანა (კუპრეიშვილი).
კომპიუტერული მომსახურება:
მორჩილი მარიამი (იაკობაძე).

მისამართი: მცხეთის სამთავროს
წმიდა ნინოს დედათა მონასტერი.
მირიან მეფის ქუჩა №3
ტელ: 893 76 31 87; 893 30 07 07
ელ.ფოსტა: samtavrosmonasteri@yahoo.com
ანგარიშის ნომერი: 158107700